ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ კეისრები 8 ლარი 26 ივლისიდან




ორშაბათი, 1 აგვისტო, 2011 №180 (5561 ) ფასი: 30 თეთრი

# მერაბიშვილი და ბოკერია ერთმანეთს მალე დაეტაკებიან



გვ.4

## რა გეგმას ამუშავებს ოპოზიცია

## თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩა, დასავლეთი დახმარებას შეგვიწყვეტს!

საქართველოს 159-ზე მეტი დეპუტატი არ სჭირდება



გვ.2

## მართლაც დგას თუ არა რუსეთი თბილისში მომხდარი ტერაქტების უკან

გვ.9

## ხელისუფლებას მშვიდი ცხოვრების უფლებას არ მივცემთ!

გვ.6





## ნინო ბურჯანაძე: გადაწყვეტილებების დროა

გვ.9

## რატომ დაიწყო საარჩევნო კამპანია ანქვაბმა გალიდან



გვ.3



გვ.2

## დღეს ვერა ქობალია პარლამენტში ვერ მივა

## ბათუმში 17 000 თურქი ჩაეწერა



## ვინ რა თამაშს თამაშობს ოპოზიციაში

გვ.8

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

## ივლისის თვის უმნიშვნელოვანესი სიახლე — „მაგთი“, „ბანი“ და „ბალი“ „შატილში“

ეს არის გზა, შევინარჩუნოთ „ცოცხალი“ შატილი

გვ.5

ISSN 1987-9385

**2** დღეს უცხოური ენის გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება

**6** ილია II უკრაინიდან დაბრუნდა

**2** მგზავრობის გაძვირების გამო დღეს საპროტესტო აქცია გაიმართება

**8** დღეს თბილისის ანძას ელექტრონულ აუქციონზე გაიტანენ

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩა, დასავლეთი დახმარებას შეგვიწყვეტს!

## საქართველოს 159-ზე მეტი დეპუტატი არ სჭირდება

ქეთი ხომერიკი

**რას აპირებს ახალი ოპოზიციური ფრაქცია, რატომ იზრდება დეპუტატთა რაოდენობა პარლამენტში, სააკაშვილის გუნდიდან ვინ სთავაზობს თავს დასავლეთს, რომელ ოპოზიციურ ძალებს ეძახიან უცხოელი დიპლომატები „გამოქვაბულის კაცებს და გამოქვაბულის დედაკაცებს“ და რატომ აწყობს სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნა კრემლს? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ პარლამენტის წევრ პეტრე მამრაძეს ესაუბრა.**



პეტრე მამრაძე:

— რას ვაპირებთ, თავად სათაურიდანაც ჩანს — „ერთობა სამართლიანობისათვის“ და მე არაერთხელ მითქვამს, როცა უკითხავთ, როგორ გაერთიანდნენ ფრაქციაში სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები, მათ შორის, ბატონი ჯონდი ბაღათურია, რომელიც ლიდერია თავისი პარტიისა და პარტიები, რომლებსაც თავიანთი პოლიტიკური პროგრამა აქვთ და შეხედულებანი. ჩვენ გაგვაერთიანა იმან, რომ დღეს საქართველოში სპეციფიკური ვითარებაა, ანუ ფეხქვეშ ითელება ადამიანის ძირითადი უფლებები. სასამართლო ქცეულია პროკურატურის მორჩილ ფილიალად, უფლებებიდან ერთ-ერთი, მოგეხსენებათ, საკუთრების უფლება და სიტყვის თავისუფლებაა და ა.შ. ანუ ყველა უფლება ითელება ფეხქვეშ. დემოკრატიულ ქვეყნებში ოპოზიციას უშუალოდ ასეთ საკითხებზე არც კი უწევს ბრძოლა, იქ ეს დაცულია კანონის უზენაესობით. აქ კი, რომელი პარტიის წევრიც არ უნდა იყოს ადამიანი, ვალდებულია დაიცვას ადამიანის ხელშეუხებელი უფლებები. ამან გაგვაერთიანა ჩვენ სწორედ. ჩვენ შემოდგომამდე არც კი ვიცდით, აგერ დღეს მოვაწყობთ უკვე ფრაქციის სხდომას, რომელიც მიეძღვნება ანძის პრივატიზების, იჯარით გადაცემისა თუ მართვის უფლების საკითხს. ეს დასაზუსტებელია და ცაგარეიშვილი მუშაობს ამ მიმართულებით. მე კი დღეს გავეცნობი დეტალურად ამ საკითხს. როგორც ჟურნალისტებმა დაადგინეს, ეს არ არის საკმარისად გამჭვირვალე, სამართლებრივად გამართული და იბადება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლება ისევ თავის შერჩეულ ერთ-ერთ კომპანიას გადასცემს, რომელიც იქნება მისი მენეჯერი, რომელიც აწევს ტარიფებს და პატარა, ანუ დამოუკიდებელი ტელევიზიები ამით განადგურდებიან, ანუ ის ტელევიზიები, რომლებიც ამათი გამოისობით ველარ გადაიხდიან. გარდა ამისა, ნებისმიერ საკითხში, სადაც არის ნიშნები იმისა, რომ ილახება კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, ყველაფერი იქნება ფრაქციის უშუალო ყურადღების ქვეშ და ეს არავითარ შემთხვევაში არ შეუშლის ფრაქციის არც ერთ წევრს ხელს იმაში, რომ იყოს თავისი პარტიის წევრი და ჰქონდეს, თუნდაც განსხვავებული შეხედულება ნებისმიერ საკითხზე ფრაქციის სხვა წევრისაგან. ვთქვათ, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე შეიძლება სხვა გეგმა ჰქონდეს ერთ პარტიას, სხვა გეგმა მეორეს, მაგრამ ეს საკითხები, რომელიც მე ზემოთ ჩამოვთვალე, არის უნივერსალური.

***— სხვათა შორის, ითქვა, რომ ახალი ფრაქცია ალასანიას დასაყრდენი იქნება, მის ინტერესებს გაატარებს პარლამენტში...***

— მოვუწოდებ ყველას, რომ ამ პროვინციული ჭაობიდან, რაც შეიძლება მალე გამოვიდეთ. ჩვენთან სამწუხაროდ, ყველაფერი სულ მიბმულია პიროვნებებსა და პიროვნულ ურთიერთობებზე. აი, მაგალითად, რვიანი გახსოვთ და მისი მოლაპარაკება ხელისუფლებასთან, რომელიც მერე დავიდა ექვსიანამდე, გამოკითხვები აჩვენებს, რომ მოსახლეობის 7%-მა თუ იცის საერთოდ, ამ რვიანის, შვიდიანის თუ ექვსიანის არსებობა და ახლა ვიკითხოთ, იმ 7% -დან ნეტავ რამდენმა იცის, კონკრეტულად რაზე ელაპარაკებიან ხელისუფლებას? გამოგიტყდებით, ვერ ჩამოგითვლით რვიანს და ახლა დარჩენილ ექვსიანს, არ მახსოვს ვინ არიან. ასეთი რამ იმიტომ ითქვა ახალ ფრაქციაზე, რომ ეს ჩვენთან არის კლიშე — აჰა, აი, ცაგარეიშვილი ხომ ალასანიას პარტიის წევრია და ალასანიას პარტიის სახელწოდებას და პროგრამას ვინ გაიხსენებს და ვინ იტყვის თუ არა ის, ხომ? ჩვენ ხომ ჯერჯერობით ამ ფაზაში ვართ, როგორც ქვეყანა და საზოგადოება. ყველაფერი პიროვნულ ურთიერთობებამდეა დასული. აქვე ვაცხადებ, ნებისმიერ წინადადებას, რომელსაც მივიჩნევ დასაბუთებულად, მივიჩნევ, რომ არის კონსტრუქციული და გამოადგება ჩვენს საზოგადოებას და სახელმწიფოს, იქნება ეს საარჩევნო კოდექსი თუ სხვა ნებისმიერი საკითხი, ისე დავუჭერ მხარს, არც ვიკითხავ, რომელი პარტიიდან და ლიდერიდან არის წამოსული ესა თუ ის წინადადება. აი, ეს არის ჩემი კრედო.

***— ახალმა ფრაქციამ თითქოსდა ქდმ-ს გაღიზიანება გამოიწვია, ამას რითი ხსნით, ბატონო პეტრე?***

— ასეთ რაღაცეებზე სასაუბროდ არც კი ვკარგავ დროს. ერთს ვიტყვი ზოგადად და ძალიან მკაცრად, ბოლო 2-3 წელიწადში ოპოზიციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მოახდინა საკუთარი თავის სრული დისკრედიტაცია საზოგადოების თვალში. როგორც თქვა შარშან ერთმა ჟურნალისტმა, არ იქნებოდა ცუდი, რომ ამ ადამიანებმა ხანდახან მოიცალონ და სააკაშვილის რეჟიმი გააკრიტიკონ (ცხადია, დასაბუთებულად) და მთელი თავისი დრო და ენერგია ერთმანეთის ლანძღვა-გინებას და ჩაძირვას არ მოახმარონო. ამიტომ მე ვახსენებ ყველას, რომ ოპოზიციაში დაპირისპირება, ერთმანეთზე გაღიზიანება, კრიტიკული შენიშვნები და სხვა, მხოლოდ და მხოლოდ ამაგრებს სააკაშვილის ავტორიტარულ რეჟიმს. და ეს, მხოლოდ და მხოლოდ დიდ ზიანს აყენებს საქართველოს და დროა, ამ პროვინციული ჭაობიდან ამოვიდეს ქვეყანა და ისეთი მასშტაბის ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, თავისი მოსახლეობით და ეკონომიკით რა არის ეს 8, 28 და 38 პარტია? ეს ხომ დაცინვაა ქვეყნის, მაშინ როცა, ისეთ მსხვილ ქვეყნებში, როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, აშშ თუ ბრიტანეთი, ძირითადი პარტიები არის 2, 3 და 4 მაქსიმუმ, თუმცა იქიდან მაინც ორია ძირითადი.

***— როგორც ჩანს, ჩვენ „გაგვიმართლა“... დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას მხარს დაუჭერთ, ბატონო პეტრე?***

— კატეგორიულად არ დავუჭერ. თუ რამე გაკეთდა მნიშვნელოვანი, ეს იყო ის, რომ ჯერ კიდევ ვარდების რევოლუციამდე ჩატარდა გამოკითხვა, რომელმაც აჩვენა ტრივიალური შედეგი — მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა პარლამენტის შემცირებას 150 ადამიანამდე. გადახედეთ მსოფლიო სტანდარტებს, მათ შორის, ყველაზე დემოკრატიული ქვეყნების სტანდარტებს, სადაა, რომ 4 ნახევარი მილიონი, ან თუნდაც 5 მილიონი მოსახლეობის მქონე სახელმწიფოს ჰყავდეს ამხელა პარლამენტი.

***— რას ემსახურება ეს, რა საჭიროა დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა, თანაც ხალხის ნების საწინააღმდეგოდ?***

— ეს ემსახურება ერთ რამეს — ხელისუფლება არ დაეთანხმა ოპოზიციური პარტიების მოთხოვნებს საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით (რვიანის თუ ექვსიანის, დეტალები არ ვიცი და არც მაინტერესებს, მაგრამ ვიცი ამის შედეგი) და ამის სამაგიეროდ სააკაშვილმა ამ პარტიებს შესთავაზა გავზარდოთ დეპუტატთა რაოდენობაო.

***— სააკაშვილმა, ასე ვთქვათ, პარლამენტში ადგილები აჩუქა მათ?***

— ადგილების ჩუქება კი არა, ერთგვარი დაპირების ამბავია ეს, ჩუქებაზე ლაპარაკი არ არის, საბოლოოდ, შეიძლება ისევ წაიღონ 90%, როგორც ადრე წაიღეს, მათ ხელშია რესურსი და ახლა ვნახე გამოკითხვები, სადაც მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კატეგორიულად წინააღმდეგია დეპუტატთა რაოდენობის გაზრდისა. მე დავუჭერდი მხარს იმას, როგორც ისრაელშია, 120 კაცია იქ სულ და 6 მილიონი კი არიან, აქ კიდევ რა ამბავია, ეს ხომ ფუფუნებაა, ეს ხომ აპარატია, მაღალი ხელფასებია, მანქანებია და ა.შ და ა.შ...

***— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ეს ხომ ხალხის ნების უგულებელყოფაა...***

— დიახ და ამერიკელები ამას ეძახიან პოლიტიკოსების მხრიდან ბურთის გადაგდებას ხალხის თავზე. აი, ასეთი ვითარებაა დღეს და სრული უნამუსობა იყო სააკაშვილის განცხადება, მე ეს გულზე არ მეხატება, მაგრამ რა ვქნა. ოპოზიციამ მოითხოვაო, ჯერ ერთი, რას ნიშნავს ოპოზიციამ მოითხოვა, ვინ არის ეს 6, თუ 36 პარტია, როცა მოსახლეობის 90% წინააღმდეგია ამის.

***— ალბათ ყურში ჩასჩურჩულა რომელიმე ოპოზიციონერმა და სააკაშვილმაც უარი ვერ უთხრა, ხომ იცით მისი ამბავი, ბატონო პეტრე...***

— მე ვიცნობ სააკაშვილს იმდენად ახლოს, რომ შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ იყო ეს ამბავი. მას რაც ადგება ენაზე და მოსწონს პიარისთვის, იმას ამბობს ხოლმე იმ წამს და ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა ალბათ. ვინ ჩასჩურჩულა ყურში, რომ ქუთაისში ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში უკვე 1000-ზე მეტი ქუთაისელია დასაქმებულიო, ტელევიზიით რომ განაცხადა? ჩვენ მეორე დღესვე დავრეკეთ ქუთაისში, ოფიციალური ცნობები წამოვიღეთ და ექვსი ადამიანი აღმოჩნდა დასაქმებული. შეადარეთ ახლა, სად 6 და სად 1000. ეს არის, სამწუხაროდ, ამ არაადეკვატური ადამიანის (ეს ყველაზე კორექტული განმარტებაა და უცხოეთში სწორედ ასე ახსენებენ ყველაზე ხშირად) მიდგომა, მაგრამ ისიც არის, როცა ეს შესთავაზეს ოპოზიციას, მას გაცილებით მკვეთრად უნდა ეყვირა, რომ ეს მიუღებელია და არ უნდა. ახლა ნელთბილ რეჟიმში

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# დღეს ვერა ქობალია პარლამენტში ვერ მივა



ეკონომიკისა და მდგრადი გავითარების მინისტრი ვერა ქობალია ხვალ პარლამენტში ვერ მივა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, მინისტრი მივლინებით საზღვარგარეთ იმყოფება, თუმცა, ქვეყანა არ დააკონკრეტეს. შესაბამისად, საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ სხდომაზე ხვალ მინისტრი ვერ მივა. ასევე, გაურკვეველია, თუ რომელი ოფიციალური პირი დაესწრება ფრაქციის ხვალინდელ სხდომას.

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ფრაქციის სხდომაზე ვერა ქობალია ანძის გასხვისების საკითხზე დაიბარეს. იმ შემთხვევაში, თუ ვერა ქობალია პარლამენტში მისვლას ვერ შეძლებს, დეპუტატები მზად არიან კონკრეტული თანამდებობის პირისგან მიიღონ ინფორმაცია, რომელიც ანძის გასხვისების საკითხზეა პასუხისმგებელი. ხვალინდელ სხდომას, ასევე, მედიაკოალიციის წევრები დაესწრებიან.

საქართველოს მთავრობას თბილისის ანძის მფლობელი კომპანია „ალფა-კომი“ ელექტრონულ აუქციონზე გააქვს. კომპანიის მართვის უფლების მოპოვების ღირებულება 100 000 ლარია. აუქციონის პირობების მიხედვით, კომპანიის ახალი მმართველი ვალდებულია, მას პროფილი შეუნარჩუნოს და 4 წლის განმავლობაში 12 000 000 აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელოს. ჟურნალისტთა საინციატივო ჯგუფმა საპროტესტო აქციაც გამართა. აქციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ სატელეკომუნიკაციო ანძის კერძო კომპანიაში გადასვლით საფრთხე ექმნებათ იმ ტელევიზიებსა და რადიოებს, რომლებსაც, ხელისუფლება ვერ აკონტროლებს.

**ინტერპრესნიუსი**

# დღეს უცხოური ენის გამოცდის შედეგები გამოქვეყნდება

დღეს გამოცდების ეროვნული ცენტრი 14:00 საათიდან უცხოური ენის გამოცდის შედეგებს გამოაქვეყნებს.

შედეგები გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება. აბიტურიენტები სპეციალური საძიებო სისტემის მეშვეობით შეძლებენ საკუთარი ნაშრომისა და შეფასების ნახვას.

გარდა ამისა, ყველა მობილური ოპერატორის აბონენტი საკუთარ შედეგს შეიტყობს მოკლე ტექსტური შეტყობინებით ამისათვის მათ აბიტურიენტის კოდი უნდა გაგზავნონ ნომერზე 6232.

**მედიანიუსი**

# მგზავრობის გაძვირების გამო დღეს საპროტესტო აქცია გაიმართება

დღეს 1 აგვსტოს, 18:00 საათზე პარლამენტის შენობის წინ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის გაძვირებას გააპროტესტებენ.

საინიციატივო ჯგუფის მიერ აქციის ორგანიზება სოციალურ ქსელის მეშვეობით მიმდინარეობს. აღსანიშნავია, რომ „ფეისბუკის“ შესაბამისი მიზნით შექმნილ კედელზე უკვე 3,000-ზე მეტი ადამიანი დარეგისტრურებული, თუმცა უცნობია მიიღებს თუ არა ყველა მათგანი პროტესტში მონაწილეობას.

— მგზავრობისას, გთხოვთ, ყველამ უარი ვთქვათ პროტესტის ნიშნად 80 თეთრის გადახდაზე და გადავიხადოთ 50 თეთრი! თუ ყველანი უარს ვიტყვით 80 თეთრის გადახდაზე , პროტესტი შედეგიანი იქნება! საზოგადოებამ უნდა გამოვთქვათ პროტესტი უსამართლოდ გაძვირებულ ფასზე! თუ ეს გაუვიდათ, სექტემბრისთვის აპირებენ მეტროთი და ავტობუსით მგზავრობის გაზრდას 1 ლარამდე და ახალ წლამდე 1.20 ლარამდე. ჩვენი მოთხოვნებია: ხელისუფლებამ გაიზიაროს, ჩვენი როგორც მომხმარებლების, ინტერესები და სამარშრუტო ტაქსებზე, კომპანია “თბილისის მიკროავტობუსს“ მიერ თვითნებურად გაზრდილი მგზავრობის ღირებულება დაუბრუნდეს 15 ივლისამდე არსებულ მდგომარეობს; შეწყდეს ზეწოლა სამარშრუტო ტაქსების მძღოლებზე ხელისუფლების მხრიდან; კომპანია “თბილისის მიკროავტობუსს“ დაევალოს, ტენდერის პირობების თანახმად შეცვალოს ძველი „მარშრუტკები“ ახლით. ამისათვის კი მან უნდა განახორციელოს ინვესტიცია და ახალი „მარშრუტკების“ ფული მოსახლეობიდან არ უნდა ამოიღოს. ეს ყველაფერი განხორციელდეს მგზავრობის საფასურის 50 თეთრზე შენარჩუნების პირობებში, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუქმდეს ტენდერის შედეგები და ჩატარდეს ახალი, რომლითაც თბილისში მგზავრთა გადაყვანის უფლება არა 1 ან 4 ფირმამ უნდა მოიგოს, არამედ ბევრად მეტმა, რათა ამ ბაზარზე კონკურენცია გაიზარდოს, რაც თავისდაუნებურად შეუწყობს ხელს ფასის არ მომატებას; მოვითხოვოთ, თბილისში უკვე არსებულ საავტობუსო ხაზებში ავტობუსების რაოდენობის გაზრდას, არსებული მანძილების დაგრძელებას ან ძველი ხაზების აღდგენას, — ნათქვამია აქციის საინიციატივო ჯგუფის განცხადებაში.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 94-39-34
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# თუ სააკაშვილი ხელისუფლებაში დარჩა, დასავლეთი დახმარებას შეგვიწყვეტს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ხან ერთი პარტია ამბობს, არა, ჩვენ ეს არ გვინდოდა, არ არის სწორი სააკაშვილიო. ოპოზიციას ერთიანი ფრონტით რომ ეყვირა, ეს არის საშინელება, ხალხის ნების ფეხქვეშ გათელვა და ერისთვის და სახელმწიფოსთვის ცუდია და ამაზე არასოდეს წავალთო, მაშინ ალბათ, სააკაშვილიც ვერ გაბედავდა ასეთი რამის თქმას.

***— თუმცა რამდენიმე ოპოზიციურმა ძალამ ეს არ გააპროტესტა, მეტიც, დასთანხმდა...***

— მაშინ მივდივართ იქამდე (მე ისევ არ ვასახელებ სახელებს და გვარებს) რომ მათ უფრო აინტერესებთ პარტიკულარული ჯგუფური ინტერესი, ეგება ასე მაინც შევიდეთ პარლამენტშიო ფიქრობენ, ვიდრე რეალური ეროვნული ინტერესები.

***— ჯგუფურ ინტერესებს რაც შეეხება, ბოკერიას გუნდი სააკაშვილის ჩასანაცვლებლად მართლაც ემზადება და მის ჩაძირვას ცდილობს? თქვენ თუ გსმენიათ მსგავსი რამ, ბატონო პეტრე?***

— მსმენია და არაერთხელ თანაც. დოკუმენტურად ვერ დაასაბუთებ ამას, მაგრამ ზოგადად, ლოგიკურად შეუძლებელია რეჟიმის და მმართველი ბირთვის შიგნით დაპირისპირება არ არსებობდეს. თავის დროზე სტალინმა დაავალა თავის აპარატს, რომ ახლა უკვე დაწყებული იქნება სეპარატისტული მოლაპარაკება ჰიტლერის გერმანიასა და ჩვენს მოკავშირეებს ამერიკა-ინგლისს შორისო, ამიტომ იმუშავეთ და მოიპოვეთ ეს მონაცემებიო. საიდან იცოდა? ლოგიკით, რადგან იმ ფაზაში იყო ომი, რომ ეს კონტაქტები აუცილებლად იქნებოდა. აი, ახლა, მე ვაცხადებ, იმ ფაზაშია რეჟიმი უკვე, რომ მის შიგნით ბევრს ესმის, რომ სააკაშვილთან ასე გაგრძელება ნიშნავს მათ წასვლას ციხეში. გამორიცხულია, ვერსად წაუვლენ ამას, როგორც ვერ წაუვიდნენ ჩაუშესკუ, მუსოლინი და ბევრი სხვა თავის დროზე. ამიტომ ცდილობენ დროზე დისტანცირებას და თანაც ძალიან რთული ამოცანაა ეს, რადგან მათ უნდათ, მოიშორონ სააკაშვილი და რამდენიმე ადამიანი ისე, რომ თვითონ დარჩნენ. მე მესმოდა უცხოელი დიპლომატებისაგან, რომ არიან ადამიანები სააკაშვილის გუნდში, რომლებიც მათ ეუბნებიან, სააკაშვილის ხსენებაც კი არ იქნება საქართველოს ხელისუფლებაში 2013 წლის შემდეგ, არათუ პრემიერი, არამედ არავინ იქნება, საერთოდ მოსცილდება ხელისუფლებასო. მოგეხსენებათ, ჩვენი დასავლელი მეგობრების პოზიცია ასეთია, თუ სააკაშვილი რაიმე ფორმით დარჩება ხელისუფლებაში, მაშინ საქართველოს დახმარება შეუწყდება და ახლა საგარეო ვალი ისეთ კატასტროფულ ნიშნულამდეა, რომ ვერ შეინახავენ ქვეყანას, ჩამოიშლება ყველაფერი. აი, ეს ფაქტორები მთლიანობაში განაპირობებს ამას. ჯერ ერთი, უნდათ, რომ თვითონ მოვიდნენ ხელისუფლებაში, მობეზრდათ ამ მართლაც ძალზე ახირებული ადამიანის სულ ერთმანეთის საწინააღმდეგო ბრძანებების შესრულება ულაპარაკოდ და თან ყოველ მათგანს მიაჩნია, რომ თვითონ რომ იყოს ქვეყნის მმართველი, გაცილებით უკეთ წარმართავდა ყველაფერს.

***— დასავლეთის მხარდაჭერა თუ აქვს ამ გუნდს?***

— აი, აქ მართლაც ღრმად ვარ ჩახედული, რადგან დასავლელ დიპლომატებთან ვმეგობრობ და გეტყვით რა ხდება. როცა დასავლეთი ელაპარაკება ჩვენი ოპოზიციის დიდ ნაწილს, სასოწარკვეთილებაში მოდის. და ეს ფრაზა, მათი მხრიდან ბევრჯერ ნათქვამი, არ დამავიწყდება. ესენი არიან:„გამოქვაბულის კაცები და გამოქვაბულის დედაკაცებიო“. აი, ამ ფონზე მმართველ დაჯგუფებაში არიან ადამიანები, რომლებიც გამართული ინგლისურით, მათივე ენით ესაუბრებიან მათ დემოკრატიის უკვდავ ღირებულებებზე, იფიცებიან, რომ მხოლოდ ეს უნდათ და ეს, რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის დიდი შვებაა ხოლმე.

***— და მათაც სჯერათ ნაციონალების? ოპოზიციიდან ვის გულისხმობთ, ძირითადად ალასანიას, თარგამაძეს და უსუფაშვილს ხვდებიან, მათ დაარქვეს გამოქვაბულის კაცები?***

— ყოველ შემთხვევაში, იმ კონტრასტის ფონზე (როცა იმ 2-3 ოპოზიციურ ძალას ხვდებიან), ნაციონალები ანგელოზებად ეჩვენებათ. ვერ ვიტყოდი, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილებზე დარჩებათ ასეთი მძიმე შთაბეჭდილება უცხოელ დიპლომატებს, მაგრამ არიან სხვები, ვისზეც ასე ფიქრობენ (ჩვენთან ხომ იმდენი პარტიაა) და მერე არიან სრულიად ფრუსტრირებულნი ხოლმე და ამბობენ, როგორი მიუღებელიც არ უნდა იყოს ეს რეჟიმი, ჩვენ გული გვისკდება იმაზე თუ რა შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ ის ოპოზიციონერები მოვლენ ხელისუფლებაშიო. თუმცა, აქვე ვიტყვი, რომ აი ამერიკამ მოინდომა და ის დასვა პრეზიდენტად და ეს ჭორებია. ძნელია წარმოიდგინო რაიმე უფრო სასაცილო, კომიკური და დაშორებული რეალობას, ვიდრე ის, რომ ვიღაცამ დასვა აშშ-დან იგივე სააკაშვილი. რამდენჯერ მომისმენია ოპოზიციის მხრიდან, რომ რა ვქნათ, ჩვენ ვიბრძვით, მაგრამ დასავლეთის ზოგიერთმა ძლიერმა ძალამ სააკაშვილი რომ დასვა, სანამ არ გადაწყვეტს, რომ წაიყვანოს, მანამდე ვერაფერს ვიზამთო, ეს არის სრული სიცრუე, ფანტაზია და ხერხი, რომ თავისი პასუხისმგებლობა საკუთარი არარაობისა გაამართლონ და მეტი არაფერი.

***— არც კრემლი ჩარეულა იგივე სააკაშვილის გაპრეზიდენტებაში, ბატონო პეტრე?***

— აი, რუსეთს სააკაშვილი ძალიან აწყობს და არაერთი პუბლიკაცია დაიწერა ამაზე სერიოზული მეცნიერების მხრიდან, მათ შორის, უცხოელების, იგივე დევაალის და ბევრი სხვა წამყვანი სპეციალისტის, რომ აღარაფერი ვთქვათ, რუს ექსპერტებზე.

***— თქვენც ფიქრობთ, რომ ჩვენი ხელისუფლება ფარულად თანამშრომლობს რუსეთთან?***

— არა, მე როგორ ვიტყოდი იცით, აი, გეტყვით, რა მითხრეს დასავლელმა დიპლომატებმა, მათ ვინც გულახდილად ესაუბრა კრემლის ჯგუფს. სააკაშვილი გვაწყობს იმიტომ, რომ ბოლომდე მანიპულირებადია ჩვენი მხრიდან, ჩვენ ყოველთვის ვიცით რა გავაკეთოთ, რომ გამოვიწვიოთ მისი ესა თუ ის რეაქციაო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ სააკაშვილი აგენტია, რომელსაც ფულს უხდიან ამაში. კრემლის ჯგუფი ამბობს, ამას თუ ვიზამთ, ის ამის შედეგად ცხინვალს დაბომბავს და ა.შ., ხოლო სააკაშვილის გარემოცვასთან ურთიერთობის არავითარი პრობლემა არ გვაქვს. აი, ეს მომისმენია არაერთხელ.

***— მერაბიშვილიც იგულისხმება ნეტავ?***

— არ ვიცი, ვერ დავასაბუთებ, უბრალოდ, როცა ვკითხულობ, რომ ვთქვათ, ქართველი ქურდი დააპატიმრეს მოსკოვში დილით და საღამოს ის უკვე თბილისშია ჩამოყვანილი, ექსტრადირებულია, ეს არის შესაშური ოპერატიულობა, მაშინ როცა დიპლომატიური ურთიერთობა არ არსებობს ჩვენს ქვეყნებს შორის.

***— ყოველდღე ამბობენ, რუსეთი მტერია, ოკუპანტიაო, რუსეთის ჯაშუშებს ავლენენ და ამ ფონზე სტრატეგიულ ობიექტებს რუსულ კომპანიებზე ყიდიან, ეს რას ნიშნავს? სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ანძას რუსული კომპანია ბილაინი ყიდულობს...***

— აი, ამით ვხსნი სწორედ, მანიპულირება ესაა. ნოღაიდელი რომ ჩავიდა მოსკოვში (და ეს რთული ნაბიჯი იყო), სააკაშვილმა თქვა, რომ ზოგიერთები მუხლებდაჩოქილები სისხლიან ჩექმებს ულოკავენ (ხომ იცით, მისი ენა) ოკუპანტებსო, მაშინვე განვაცხადე, მე, არ ვიცი რამდენ ხანს ულოკავდა სააკაშვილი ოკუპანტს იმ სისხლიან ჩექმებს, აი ისეთ პოზაში, გორში რომ ვნახეთ ყველამ, მანამ მოაწერდა ხელს ენგურთან დაკავშირებით საიდუმლო ხელშეკრულებას-მეთქი. მე დღემდე ვკითხულობ, რა არის ისეთი საიდუმლო ხელშეკრულება, ოკუპანტმა რომ იცის მისი შინაარსი და საკუთარ ხალხს რომ უმალავ. ვიმეორებ, სააკაშვილი იმიტომ დგამს ასეთ ნაბიჯებს, რომ მასზე გავლენა ძალიან დიდია. რატომ ეხვეწებოდნენ რაოესს, რომ ბოლო 24% ეყიდა? იმიტომ, რომ ფული სჭირდებოდათ. სხვა არ ყიდულობს და ისე რაოესსაც არ უნდოდა, რომ ეყიდა, მაგრამ როგორც ვიცი, დიდი ხვეწნის შედეგად შეაჩეჩეს ხელში. ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით სააკაშვილი და მისი დაჯგუფება, რამდენიმე ადამიანი მიდის აბსოლუტურად ყველაფერზე და ისინი რუსეთს ემსახურებიან. მე ბევრჯერ მითქვამს, საქართველოს ისეთ მტრებს, როგორიც არიან გიორგაძე, კიტოვანი, აბაშიძე და სხვები, რომლებიც დღეს მოსკოვში ცხოვრობენ, ერთად აღებულს არ გაუკეთებიათ რუსეთისთვის იმდენი, არ შეუსრულებიათ, რამდენიც სააკაშვილმა და მისმა გუნდმა. იქიდან ვინ შეგნებულად თანამშრომლობს და ვინ თავისი, ასე ვთქავთ, არაადეკვატურობის გამო, ეს მე ნაკლებად მაინტერესებს. და მაინც, აქ ყველაფერი გადის დიდ ფინანსებზე, ჩვენი პატარა ქვეყნისთვის ძალიან დიდ ფინანსებზე და ამ ფულის დიდი ნაწილი მიდის „ნაცისტების ოფშიაკში“, მაპატიეთ ამ სიტყვაზე, მათ ტერმინს ვხმარობ, თვითონ ერთმანეთში ასე საუბრობენ.

# რატომ დაიწყო საარჩევნო კამპანია ანქვაბმა გალიდან

თეა მარხვაი ე



**ამ თვის ბოლოს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. პრეზიდენტობის კანდიდატები უკვე აქტიურ საარჩევნო კამპანიაზე გადავიდნენ. აქამდე ისინი მხოლოდ რუსულ მედიასთან საუბრით იფარგლებოდნენ. ახლა კანდიდატებმა მოსახლეობასთან დაიწყეს შეხვედრა.**

**ისევე, როგორც წინა არჩევნებში, გალის რაიონს აფხაზებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება. ამის შესახებ კარგად მოეხსენება პრეზიდენტობის კანდიდატ ალექსანდრე ანქვაბს და მან ამიტომაც დაიწყო თავისი საარჩევნო კამპანია გალის რაიონიდან.**

ანქვაბმა ისიც კარგად იცის, რომ გალში მცხოვრები ქართველები მის მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი. ანქვაბი სეპარატისტია. ის აქტიურად იბრძოდა ქართველების წინააღმდეგ. თუმცა, აქაურ ქართველებს კარგად ახსოვთ, რამდენი კარგი საქმე გააკეთა მან ომის დროს. მის სახელს ბევრი ქართველის გადარჩენა უკავშირდება. არადა, ის არძინბას შს მინისტრი იყო. როგორც ამბობენ, ომის დამთავრების შემდეგ ის არძინბამ პოსტიდან სწორედ ქართველების მიმართ გამოჩენილი გულჩვილობის გამო გაათავისუფლა.

გალელებთან შესახვედრად ანქვაბი ვიცეპრეზიდენტობის კანდიდატ მიხეილ ლოგუასთან და საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ ლეონიდ ლაკერბაიასთან ერთად ჩავიდა.

შეხვედრაზე სტუმრებმაც და მასპინძლებმაც ბევრი ისაუბრეს. ანქვაბმა აღნიშნა, რომ, მართალია, 2005 წლიდან აფხაზეთში ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ეს გალელებმა ჯერ ვერ იგრძნეს. პრეზიდენტობის კანდიდატმა პირობა დადო, რომ მათთვის უკეთეს პირობებს აუცილებლად შექმნის.

— აფხაზეთის ეკონომიკა წარმატებული ვერ იქნება გალის რაიონის ეკონომიკის განვითარების, მისი საერთო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის გარეშე, — განაცხადა ანქვაბმა.

გალელებს მისი გამოსვლა ძალიან მოეწონათ. მათგან განსხვავებით, ანქვაბის დაპირებებით დიდად არ აღფრთოვანებულან ექსპერტთა კლუბში.

მათ აინტერესებთ, რატომ არ უთხრა გალელებს, როგორ აპირებს გალში ეკონომიკის განვითარებას. აინტერესებთ ისიც, რა უშლიდა მას ხელს, იგივე გაეკეთებინა აქამდე და რატომ დაკავდება ის აფხაზეთის აღორძინებით მხოლოდ მისი არჩევის შემთხვევაში.

წინასაარჩევნოდ კანდიდატებს უცნაური დაპირიბების მიცემა ახასიათებთ. ამას გვერდი ვერც ანქვაბმა აუარა. ის გალის რაიონის მოსახლეობას დაჰპირდა რუსული და აფხაზური ენების გაძლიერებულ სწავლებას.

გაგრძელება მე-8 გვერდზე



# მერაბიშვილი და ბოკერია ერთმანეთს მალე დაეტაკებიან

## რა გეგმას ამუშავებს ოპოზიცია

**თბილისში აქტიურად ჭორაობენ იმაზე, რომ ახალი პარტია იქმნება. ამ პარტიას, როგორც ამბობენ, ლევან გაჩეჩილაძე, ეკა ბესელია, კახა კუკავა და ალეკო შალამბერიძე ქმნიან.**

**იქმნება თუ არა ასეთი პარტია, რა იდეები ჩნდება ოპოზიციაში, რა გამოაჩენს მოღალატე ოპოზიციონერებს, რა უნდათ ბოკერიასა და მერაბიშვილს, ამ თემებზე „ახალი თაობა" ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერ ალეკო შალამბერიძეს ესაუბრება.**



თეა მარხვაი ე

***— გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლევან გაჩეჩილაძესთან, ეკა ბესელიასთან და კახა კუკავასთან ერთად ახალ პარტიას ქმნით. მართლა იქმნება ახალი პარტია?***

— სხვა ვიღაც შეიძლება ქმნიდეს პარტიას. საქართველოში პარტიების შექმნა თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. რაც შეეხება ჩვენ მიერ ახალი პარტიის შექმნას, ეს არის ზოგადი ინფორმაცია.

***— რას ნიშნავს ზოგადი ინფორმაცია?***

— ყოველთვის ვამბობდი და ახლაც გავიმეორებ, ვისაც უნდა სააკაშვილთან ბრძოლა, უნდა გავერთიანდეთ. ოღონდ მე მხედველობაში ის ძალები მყავს, რომლებსაც სააკაშვილთან ბრძოლა მანიფესტაციებით და არჩევნების გზით სურთ. ასეთი ძალები უნდა გაერთიანდნენ. ასეთ ძალებში მოვიაზრებ კუკავასაც, გაჩეჩილაძესაც, წინააღმდეგობის მოძრაობასაც, ბურჯანაძესაც.

***— ამბობთ, ისინი უნდა გავერთიანდეთ, ვისაც სააკაშვილთან არჩევნების გზით სურს ბრძოლაო. გაჩეჩილაძეს და ბურჯანაძეს რევოლუცია რომ უფრო მოსწონთ.***

— აი, აქ უშვებენ ეს ადამიანები შეცდომას. რევოლუცია არის გზა არსაით. ამიტომ მათი რევოლუციური ენერგია სხვა მიმართულებით უნდა იქნას გამოყენებული. ეს ძალა და ენერგია იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ სააკაშვილს დათმობა ვაიძულოთ. პრეზიდენტი უნდა ვაიძულოთ, დათმობაზე წავიდეს ყველა სფეროში.

***— თუმცა, სანამ სააკაშვილს დათმობაზე წასვლას აიძულებთ, უკეთესი არ იქნებოდა, ოპოზიციონერებს დაგეთმოთ ამბიციები და გაერთიანებულიყავით?***

— გაერთიანებას ალტერნატივა არა აქვს. მხედველობაში იდეის დონეზე გაერთიანება მაქვს. შეიძლება ეს არ იყოს ერთი პარტია, ისე კი სასურველია ერთიანი სტრუქტურა იყოს. იმიტომ, რომ ჩვენ სააკაშვილისნაირ საშინელ მონსტრთან გვიწევს ბრძოლა. ჩვენ მკაფიოდ უნდა ვთქვათ, მივდივართ არჩევნებზე. სერიოზულად უნდა ვიბრძოლოთ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე. აუცილებელია ვიყოთ ერთად, ვიმოქმედოთ კოორდინირებულად და არ დავაბნიოთ ჩვენი საზოგადოება. თუ ერთად ვიქნებით, უკვე არჩევნებამდე შეგვიძლია სერიოზული გამარჯვებების მიღწევა. ამის გაკეთება შეიძლება სერიოზული მანიფესტაციებით.

***— გჯერათ, რომ მანიფესტაციები სერიოზულ შედეგს გამოიღებს?***

— აუცილებლად გამოიღებს. რაც უფრო სერიოზული იქნება მანიფესტაცია, მით უფრო სერიოზულ დათმობაზე წამოვა სააკაშვილი. აქვე ვიტყვი, რომ გადადგომის ძახილი შედეგს არ გამოიღებს.

***— სერიოზული მანიფესტაციის შემთხვევაში თქვენ პრეზიდენტის გადადგომის საკითხს არ დააყენებთ.***

— ეს შედეგს არ გამოიღებს. ჩვენ ის საკითხები უნდა დავსვათ, რომელიც საზოგადოებას აწუხებს.

***— თქვენი აზრით, სააკაშვილის გადადგომის საკითხი საზოგადოებას არ აწუხებს?***

— როგორც არ აწუხებს. ყველა უბედურება იმან მოგვიტანა, რომ ერთი კაცის ხელშია ამხელა ძალაუფლება თავმოყრილი. ეს ძალაუფლება უნდა გადანაწილდეს. გადადექი, ბევრჯერ იძახეს და ამით არაფერი არ გამოვიდა. ყოველი ასეთი აქციის შემდეგ ის უფრო ძლიერდება. ამიტომ არის საჭირო მანიფესტაციების გამართვა სხვა სერიოზული მოთხოვნებით. მე მჯერა, რომ ამაში ბევრი ოპოზიციური ძალა ჩაერთვება. მჯერა, რომ არაკომფორმისტული გაერთიანება აუცილებლად შედგება. ეს ჯერჯერობით მხოლოდ იდეის დონეზეა.

***— ახალი გაერთიანების შექმნასთან დაკავშირებით თუ გქონდათ ოპოზიციონერებს ერთმანეთში საუბარი?***

— ამაზე ჯერ სერიოზული საუბარი არ ყოფილა. ეს არის ძალიან ნედლი იდეა. თუმცა ახლო მომავალში ამასთან დაკავშირებით აუცილებლად გაიმართება შეხვედრები. იმედი მაქვს, რომ საღი აზრი გაიმარჯვებს. რაც სააკაშვილს აღარ მისცემს არჩევნების მოგების საშუალებას.

***— თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სააკაშვილი წარმატებით ახერხებს ოპოზიციის ლიდერების გაკოტრებას, საეჭვოა ოპოზიციამ ერთობას ან დიდ წარმატებას მიაღწიოს.***

— ეს რომ აღარ მოხდეს, ამიტომაც უნდა გაიმარჯვოს საღმა აზრმა. სააკაშვილს აღარ უნდა მივცეთ იმის უფლება, რომ თავისი გაიტანოს.

***— იმაზე რას იტყვით, ოპოზიციონერები რომ ლანძღავენ ერთმანეთს. ადრე სხვადასხვა ძალების წარმომადგენლები მაინც ლანძღავდნენ ერთმანეთს, ახლა პარტიის შიგნით დაერივნენ ერთმანეთს. ამის დადასტურებაა ქართულ პარტიაში განვითარებული მოვლენები.***

— უნდა ვაღიარო, რომ სააკაშვილის ხელისუფლება ამ მიმართულებით სერიოზულად მუშაობს. სააკაშვილზე მუშაობს ოპოზიციის ნაწილი, მათ შორის ირაკლი ოქრუაშვილიც.

***— რას ნიშნავს, სააკაშვილზე მუშაობს ირაკლი ოქრუაშვილი?***

— ის თავისი განცხადებებით სააკაშვილის საქმეს აკეთებს. მე არ ვამბობ, რომ ის ამ განცხადებებს პრეზიდენტის დავალებით აკეთებს. თავდაცვის ყოფილი მინისტრი თავისი გაუაზრებელი განცხადებებით, ხელისუფლების საქმეს აკეთებს. იმ განცხადებებს, რომელიც მან გააკეთა, გამართლება არა აქვს. მხედველობაში მაქვს ლევან გაჩეჩილაძესთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებები.

***— თუ ასეთი რამე მართლაც მოხდა?***

— ეგ კიდევ საკითხავია, ჰქონდა თუ არა ასეთ ფაქტებს ადგილი. გინდაც მომხდარიყო ასეთი რამე, ხმამაღლა არ უნდა თქმულიყო.

***— რატომ არ უნდა თქმულიყო. აბა საჯაროობაო...***

— თუ ასეთი რამე მოხდა, საქმე პარტიის შიგნით უნდა გაერჩიათ. ერთმანეთისთვის პირისპირ უნდა მოეთხოვათ პასუხი. ხმამაღლა იმიტომ არ უნდა თქმულიყო, რომ ეს სააკაშვილის წისქვილზე ასხამს წყალს. ოქრუაშვილმა თავისი განცხადებებით სააკაშვილს ძალიან დიდი საქმე გაუკეთა.

***— ოქრუაშვილის მოყვარე პოლიტიკოსებმა თქვეს, რომ ირაკლი პირდაპირი ბიჭია და ამიტომ პირდაპირ თქვა თავისი სათქმელი.***

— ამაში პირადად მე ეჭვი მეპარება. ფაქტი ისაა, რომ ამ ყველაფერით სააკაშვილი დარჩა გამარჯვებული. მას მოუტანა გამარჯვება ახალი მემარჯვენეების მიღებულმა გადაწყვეტილებამაც.

***— რომელმა გადაწყვეტილებამ?***

— ოპოზიციური რვიანი ფაქტიურად მაგათ დაშალეს. სააკაშვილი არის მონსტრი და თაღლითი, მასთან მაქსიმალური სიფრთხილით არის ბრძოლა საჭირო. საჭიროა, არაკომფორმისტების გაერთიანება. ისეთი ძალები უნდა გავერთიანდეთ, რომლებიც ხელისუფლებას არავითარ შემთხვევაში არ გაურიგდებიან. ისეთი ხალხი უნდა მოიძებნოს, რომლებიც არ ხელისუფდების გადმოგდებულ ძვალს არ დახარბდებიან.

***— ისე, ძვალსაც ხომ გააჩნია, იქნებ ძვალი ღირს ხვრად.***

— სააკაშვილის მსგავსი თაღლითი ასეთ ძვალს არასდროს გადმოაგდებს. ამიტომ ამ ძვალს არავინ არ უნდა დახარბდეს. ოპოზიციაში მრავლად არის ხალხი, რომელიც ამაზე არ წავა.

***— დარწმუნებული ხართ, რომ არ წავლენ? ამბობენ, ასეთი ადამიანები ძალიან ცოტა არიანო და ეს რომ ასეა, ბოლო დროს განვითარებულმა მოვლენებმა ბევრჯერ დაადასტურა.***

— ცოტაა ასეთი ხალხი? ძალიან ცუდია, მაგრამ ეს ცოტანი გავერთიანდეთ.

***— ის ადამიანები, რომლებიც სააკაშვილს არ გაურიგდნენ პოლიტიკურად გაკოტრებული არიან. მათი გაერთიანება ღირს?***

— „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი". დღეს აი, ასეთ მდგომარეობაში ვართ. ვინც სააკაშვილის გადმოგდებულ ძვალს არ აიღებს, ყველა უნდა გავერთიანდეთ.

***— მათ შორის გაკოტრებულებიც?***

— დიახ, მათ შორის გაკოტრებულებიც. ჯერ ერთი, მე არ მესმის, რატომ არიან ეს ადამიანები პოლიტიკურად გაკოტრებულები. მგონია, რომ სააკაშვილთან გარიგებაში შესული ხალხი უფრო გაკოტრებულია. დაე, გვეძახონ გაკოტრებულები. ჩვენ საპირისპირო დავამტკიცოთ და იდეის გარშემო გავერთიანდეთ. დროებით გადავდოთ პირადი სიმპათია-ანტიპათიები. წარსულს ჩავაბაროთ პირადი წყენა. მხოლოდ ასე შევძლებთ სერიოზული ძალის შექმნას. ამ საქმეში აუცილებლად უნდა ჩავრთოთ შალვა ნათელაშვილი.

***— ეს თითქმის შეუძლებელია, რადგანაც ნათელაშვილი არავისთან ერთიანდება და ამბობს, რომ არავის დაკრულზე არ იცეკვებს.***

— მერე ვინ სთხოვს, რომ იცეკვოს, ან ვინ უკრავს რამეს. ჩვენ ვსაუბრობთ იდეის გარშემო გაერთიანებაზე. ნათელაშვილის ყველასგან გვერდზე დგომა ძალიან აბნევს ამომრჩევლებს. მას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის ხშირად აკეთებს უპასუხისმგებლო განცხადებებს.

***— რა უპასუხისმგებლო განცხადება გააკეთა ნათელაშვილმა?***

— რა? ის ხშირად ამბობს, არჩევნების გზით სააკაშვილის დამარცხება შეუძლებელიაო. მიაჩნია, რომ ის დაუმორჩილებლობით უნდა დავამარცხოთო.

***— თუ ასე მიაჩნია, არ თქვას?***

— როცა საქმე თაღლით და მონსტრ სააკაშვილს ეხება, არ უნდა თქვას. ამით ნათელაშვილი ამომრჩეველს აბნევს. მას არჩევნების მიმართ ნდობა ეკარგება.

***— ამომრჩევლის დიდი ნაწილი ნათელაშვილის განცხადებების გარეშეც არჩევნების მიმართ უნდობლად არის განწყობილი.***

— მთელი უბედურება ეგ არის. აბა, მივიდეს ყველა არჩევნებზე და თავისი პოზიცია დააფიქსიროს. შედეგი იქნება საპირისპირო. თუმცა არჩევნებამდე აუცილებლად უნდა ვაიძულოთ ხელისუფლებას დათმობაზე წასვალას. ამით უფრო იოლად მოვახერხებთ თაღლითი სააკაშვილის დამარცხებას.

***— თქვენ რამდენჯერმე ახსენეთ, სააკაშვილი არის თაღლითიო. მოდით ვაღიაროთ, რომ თაღლითების მთელი ბატალიონია ოპოზიციურ სპექტრში.***

— ამას არც არავინ უარყოფს. ამ პერიოდში ბევრი თაღლითი გამომჟღავნდა. თაღლითებს, როგორც წესი, საქმე გამოაჩენს ხოლმე. თუ საქმით ვივლით, კიდევ გამოვლინდებიან თაღლითები.

***— ბლომად დარჩნენ ოპოზიციაში თაღლითები?***

— სამწუხაროდ, კიდევ არიან. მათ დრო და საქმე გამოავლენს. ოპოზიციაში ერთგვარი ლუსტრაციის პროცესია დაწყებული. დროთა განმავლობაში ალბათ კიდევ გამოჩნდებიან ოპოზიციური ლიდერები, რომლებიც სააკაშვილის საქმეს აკეთებენ.

***— თავად სააკაშვილის გუნდში არსებულ ვითარებაზე რას იტყვით. თქვენ ერთ-ერთი პირველი იყავით, ვინც თქვა, რომ მერაბიშვილი პრემიერობას უმიზნებსო. ამის გამო ვანოს კაციაო თქვეს თქვენზე. ახლა ამაზე ბევრი საუბრობს. თქვენ საიდან გქონდათ ეს ინფორმაცია.***

— რა მნიშვნელობა აქვს, საიდან მქონდა. მერაბიშვილისგან ნამდვილად არ მქონია. ზოგიერთებისგან განსხვავებით, მე მასთან არანაირი კავშირი არა მაქვს.

***— ეროვნულ მოძრაობაში ხომ იყავით ერთად?***

— ვიყავით. ერთად ვიყავით პარლამენტშიც. თუმცა, ეს არაფერს არ ცვლის. ვანოს შეკვეთებს მე არ ვასრულებ. რაც შეეხება მის შესაძლო გაპრემიერებას, ეს რეალობისგან შორის არ არის. სააკაშვილის გუნდში არის სამი დაჯგუფება. მერაბიშვილის, ბოკერიას და ჰარი პოტერს რომ ეძახიან იმის.

***— ეს ჰარი პოტერი ვინ არის?***

— ზურა ადეიშვილი. მას მართალია თავისი გუნდი ჰყავს, მაგრამ ის აქტიურად არ იბრძვის. ძირითადი ბრძოლა მერაბიშვილისა და ბოკერიას გუნდებს შორის მიდის. ისინი ემზადებიან იმ დროისთვის, როცა სააკაშვილი წავა.

***— გაუმჯობესებული მიშა ანუ უგულავა ვისკენ არის? ისევ ბოკერიასთან თუ თავისი გუნდის შექმნა დაიწყო?***

— გაუმჯობესებული მიშა არის ბოკერიას გუნდში და ბოკერიასთან ერთად აქტიურად ემზადება იმ დროისთვის, როცა სააკაშვილი წავა.

***— ამბობთ, იმ დროისთვის ემზადებიან, როცა სააკაშვილი წავაო. იქნებ არ აპირებს სააკაშვილი წასვლას. თანაც მას 2013 წლამდე აქვს დრო.***

— მაგაზე რომ იყოს დამოკიდებული, საერთოდ არ წავიდოდა, მაგრამ ასეთი რამეები მარტო მასზე არ არის დამოკიდებული. მას წასვლა მაინც მოუწევს. სააკაშვილს ახლა ძალიან რთული პერიოდი უდგას. ეს რთული პერიოდი ჩვენს სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. თუ გაუყიდავი ოპოზიცია გაერთიანებას მოვახერხებთ, სააკაშვილს დავამარცხებთ. კიდევ ვიმეორებ, რომ მას ახლა ძალიან ცუდი დრო უდგას. ჩვენ არ გვეპატიება ამ შანსის ხელიდან გაშვება.

***— ჯერაც არ გაუშვია ოპოზიციას შანსი ხელიდან...***

— ოპოზიციამ მართლაც ბევრი შანსი გაუშვა ხელიდან. ეს შანსი აღარ უნდა გაგვექცეს. სააკაშვილს ვადა გასდის და ეს ძალიან დიდი შანსია. ჩვენ არჩევნების გზით უნდა ვიზრუნოთ მის შეცვლაზე.

***— მის შეცვლა-ჩანაცვლებაზე, როგორც თქვენ თავად თქვით, ბოკერიასა და მერაბიშვილის ჯგუფები იბრძვიან. თქვენი აზრით, უფრო რომელი ჯგუფისკენ გადაიხრება პრეზიდენტი?***

— არც ერთისკენ.

***— რატომ?***

— იმიტომ, რომ არ სურს ხელისუფლებიდან წასვლა. ცდილობს თავად გახდეს პრემიერი. ის არავის არ ენდობა.

***— მერაბიშვილსაც არ ენდობა?***

— არ ენდობა.

***— რატომ არ ენდობა? ხერხემალიაო მაგაზე არ იძახდა.***

— კი იძახდა, მაგრამ მაინც არ ენდობა. იმიტომ, რომ მერაბიშვილმა ის შეიძლება დააპატიმროს. თუ ვანო ხელისუფლებაში მოვა, დიდი შანსია დაიჭიროს სააკაშვილი. იგივე შეიძლება მოხდეს ბოკერიას შემთხვევაშიც. ეს იცის სააკაშვილმა და ძალიან ცუდ დღეშია. ამ პირობებში იოლად შეგვიძლია მისთვის სუსტი წერტილის მონახვა. ჯობია, ოპოზიციამ, ეს სუსტი წერტილი მოვუნახოთ სააკაშვილს და ერთმანეთის ქიშპობას თავი დავანებოთ.

***— მერაბიშვილის და ბოკერიას დაჯგუფებები თუ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს?***

— ეს ყველაფერი არის ოპოზიციაზე დამოკიდებული.

***— რანაირად?***

— თუ ჭკვიანურად მოვიქცევით, ისინი შეიძლება ერთმანეთს სერიოზულად დაუპირისპირდნენ.

***— ჭკვიანურად როგორ უნდა მოიქცეთ, ერთმანეთს წავკიდოთ? საინტერესოა, როგორ მოახერხებთ ამას, ჭორებს გაუვრცელებთ?***

— ჩვენ ჭორებს უნდა შევეშვათ. საჭიროა სერიოზული მანიფესტაციების მოწყობა. ხელისუფლებაზე ზეწოლა. ჭკვიანური მოქმედებები. ეს ნაციონალებს ერთმანეთთან დააპირისპირებს და შეცდომებს დააშვებინებს. ჩვენ კი სასურველს მივაღწევთ და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე დავითანხმებთ ხელისუფლებას. რაც არჩევნების გზით ტირან სააკაშვილს დაგვამარცხებინებს.

# ინფორმაცია ბათუმის საქალაქო სასამართლოში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით

**2011 წლის 28 ივლისს ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარემ ადვოკატ რამინ პაპიძეს მოსამართლის მიმართ აშკარად გამოხატული უპატივცემულობის, სასამართლო დარბაზში წესრიგის დარღვევისა და სასამართლოს ფოიეში მანდატურზე განხორციელებული სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფისთვის 10 დღის ვადით პატიმრობა მიუსაჯა.**

ადვოკატი რამინ პაპიძე ბათუმის საქალაქო სასამართლოში შვიდი ბრალდებულის ინტერესებს იცავდა. მათ ბრალად ედებათ ტელემაუწყებლობის ბლოკირება და ხელში ჩაგდების მცდელობა, რამაც შეაფერხა ამ დაწესებულების ნორმალური მუშაობა, ასევე პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისთვის ხელის შეშლისა და მისი საქმიანობის შეწყვეტის მიზნით, ჩადენილი ძალადობით.

აღმკვეთი ღონისძიების და საქმის არსებითი განხილვისას ადვოკატ პაპიძის მომსახურებაზე უარი განაცხადა 3 ბრალდებულმა.

აღნიშნული საქმის განხილვის პირველივე პროცესებიდან ადვოკატი რამინ პაპიძე სასამართლოს მიმართ გამოხატავდა უპატივცემულობას და სისტემატურად არღვევდა წესრიგს, რაც აისახებოდა კიდეც მის მიმართ განხორციელებულ სანქციებზე, რაც ქრონოლოგიური სიზუსტით ასახულია სასამართლოს ოქმებში.

საქმის განხილვის ყველა სტადიაზე, ყველა მოსამართლესთან ადვოკატი წესრიგს არღვევდა სხვადასხვა ფორმით.

2011 წლის 23 მაისს, როცა აღნიშნულ საქმეზე ბრალდებულების აღმკვეთი ღონისძიების საკითხი იხილებოდა, სხდომის თავმჯდომარის განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობისა და სასამართლოს მიმართ უპატივცემულობის გამო იგი 4-ჯერ იქნა დაჯარიმებული 100, 200, 300 და 1000 ლარით, ე.ი. სულ 1600 ლარით.

2011 წლის 1 ივლისს, იგივე საქმის განხილვისას ადვოკატმა ისევ განაგრძო წესრიგის დარღვევა და იგი 800 ლარით დაჯარიმდა.

2011 წლის 27 ივლისის სასამართლო სხდომაზე, რომელსაც უკვე არსებითად განიხილავდა მოსამართლე ვერა დოლიძე ადვოკატი რამინ პაპიძე მიუხედავად მოსამართლის გაფრთხილებისა, არ ემორჩილებოდა სასამართლოს მითითებებს, გამოხატავდა უპატივცემულობას,არღვევდა წესრიგს სასამართლო სხდომის დარბაზში, რის გამოც მოსამართლის მიერ მას დაეკისრა ჯარიმა 200 ლარის ოდენობით, მიუხედავად ამისა, მან დაჯარიმების შემდეგ განაგრძო წესრიგის დარღვევა, რის გამოც მოსამართლემ ჯარიმის ოდენობა დაუყონებლივ გაუზარდა 300 ლარამდე.

2011 წლის 28 ივლისის სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა რამინ პაპიძემ მიუხედავად სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის მის მიმართ არაერთხელ გატარებული ღონისძიებებისა, კვლავ განაგრძო წესრიგის დარღვევა, უპატიცემულობას გამოხატავდა და ხმამაღალი წამოძახილებით აწყვეტინებდა მხარეს საუბარს მოწმის დაკითხვის პროცესში, ხოლო აღნიშნულის გამო მოსამართლისგან გაფრთხილების მიღების შემდეგ, მოსამართლის მიმართ გამოხატა უპატივცემულობა, უხეშად მიმართა მას და არ დაემორჩილა მის მითითებას



დაეცვა წესრიგი სასამართლო სხდომის დარბაზში, რის გამოც დაეკისრა ჯარიმა 200 ლარის ოდენობით. ადვოკატი რამინ პაპიძე დაჯარიმების შემდეგ კვლავ განაგრძობდა წესრიგის დარღვევას, ყვიროდა სხდომის დარბაზში და უხეშად მიმართავდა სასამართლოს, რის გამოც მოსამართლის განკარგულებით იგი გაძევებული იქნა სასამართლო სხდომის დარბაზიდან. როდესაც სასამართლოს მანდატურს გაჰყავდა გაძევებული ადვოკატი, მან გასწია წინააღმდეგობა და ხმამაღლა გაიძახოდა უცენზურო სიტყვებს, ხოლო სასამართლოს შენობის ფოიეში ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა სასამართლოს მანდატურს ი.ზაქარაძეს, რაც გამოიხატა მასში, რომ მუცლის არეში ჩაარტყა მას ფეხი და აგინა. სასამართლოს მანდატურის მიერ ადვოკატ რამინ პაპიძის დაკავება დარღვევის ჩადენის ადგილზე ვერ მოხერხდა მისი მხარდამჭერების ჩარევის შედეგად, რომლებმაც იგი გაიყვანეს სასამართლოს შენობიდან.

ზემოაღნიშნული ქმედების გამო ადვოკატ რამინ პაპიძეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2011 წლის 28 ივლისის განკარგულებით შეეფარდა პატიმრობა 10 დღის ვადით.

აღნიშნული ფაქტის ანალიზიდან ჩანს, რომ ადვოკატი, რომელიც თავისი კლიენტის სამართლებრივ დაცვაზე უნდა ზრუნავდეს და ამავე დროს არ უნდა არღვევდეს პროფესიული ეთიკის ნორმებს, მხოლოდ სასამართლოს შეურაცხყოფით და წესრიგის დარღვევით არის დაკავებული.

სასამართლოში წესრიგი რეფორმის ერთ-ერთი მონაპოვარია და ერთეული ადვოკატების მცდელობა, ისევ დააბრუნონ წლების წინანდელი სასამართლო, სადაც სასამართლო მხარეთა ჩხუბის, შეურაცხყოფისა და საქმეების გარჩევის ადგილად იყო ქცეული, შედეგს ვერ მოიტანს.

სასამართლო მოუწოდებს ყველა ადვოკატს, კეთილსინდისიერად გამოიყენონ სასამართლო დარბაზებში შექმნილი სიმშვიდე და წესრიგი და ისე განახორციელონ პროფესიული მოვალეობა. სასამართლო არის მხარეთა სამართლებრივი შეჯიბრის და პოზიციების დაფიქსირების და არა შეურაცხყოფისა და უპატივცემულობის გამოხატვის ადგილი. ნებისმიერი მცდელობა სასამართლოს შეურაცხყოფისა იქნება კანონიერად შეფასებული. ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში ეს არის დადგენილი სტანდარტი და ქართული სასამართლოც უკვე აღარ არის გამონაკლისი.

# ივლისის თვის უმნიშვნელოვანესი სიახლე — „მაგთი“, „ბანი“ და „ბალი“ „შატილში“

## ეს არის გზა, შევინარჩუნოთ „ცოცხალი“ შატილი



**შატილი ქართული სამშენებლო ხელოვნების ერთ-ერთი უნიკალური ძეგლია. კლდეზე შეფენილი სოფელი ერთდროულად საცხოვრებელიც იყო და ციხესიმაგრეც, იგი საუკუნეთა მანძილზე დარაჯობდა საქართველოს ჩრდილოეთ გადმოსასვლელებს. სოფლის კიდეებს მიუყვება ერთმანეთთან მიჯრით ნაგები ციხესახლების რიგი და იქმნება ერთანი, მიუვალი დამცველი კედელი, რომელიც საიმედოდ კეტავს სოფელს. გარე სამყაროსთან სოფელს არღუნის ხეობაში გამავალი ერთადერთი ვიწრო გზა აკავშირებს. შატილის განაშენიანება ტერასულია, შენობათა ძირითადი ტიპია ბრტყელსახურავიანი სახლი და კოშკური საცხოვრებელი. სოფელს მთელ სიმაღლეზე აუდის ქვის ვიწრო კიბე, აქა-იქ შემორჩენილია ძვლებისგან შეკრული ფიცარნაგები – გადასასვლელები, რომელთა მეშვეობით, მტრის შემოსევის შემთხვევაში, შესაძლებელი იყო მთელი სოფლის შემორბენა ქუჩაში გაუსვლელად.**

**2007 წლის 24 ოქტომბრიდან შატილი შეტანილია იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის საცდელ სიაში.**

ანა ვაჩნაძე

**თავდაუზოგავი და მიზანდასახული შრომის შედეგად, სატელეკომუნიკაციო ბაზრის უპირობო ლიდერმა კომპანია „მაგთიკომმა,“ 29 ივლისს პირველმა (და ერთადერთმა) გამართა საკომუნიკაციო ანძა შატილის ხეობაში, რითაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ კომპანია ქართულ საქმეს აკეთებს და ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით, ხშირად არაკომერციულ და/ან კომერციულად არამომგებიან პროექტებს აფინანსებს. თავის დროზე მაგთიმ პირველმა დაფარა კავშირგაბმულობის ქსელით უშგული და კოდორის ხეობა. დღეს მაგთიკომის საკომუნიკაციო ქსელი საქართველოს დასახლებული ტერიტორიების (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) 98%-ზე მეტს ფარავს.**

ჩვენ დაუფიქრებლად ვსარგებლობთ ცივილიზაციის ყველა სიკეთით, და მის მნიშვნელობასა და აუცილებლობაზე მხოლოდ მაშინ თუ გავიაზრრებთ, როცა რაიმე შეფერხება ან ხარვეზი წარმოჩნდება. დღეს წარმოუდგენლად მიგვაჩნია მათ გარეშე ყოფა. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მობილური კავშირგაბმულობა შატილისთვის გაცილებით უფრო საჭირბოროტო საკითხია და მისი შანსია, ჰქონდეს კავშირი გარე სამყაროსთან, ეს არის გზა, შევინარჩუნოთ "ცოცხალი" შატილი.

ხვალ კომპანია მაგთიკომის მოძრავი ოფისი შატილელებს ესტუმრება და სიმ ბარათებთან ერთად სამახსოვრო საჩუქრებს გადასცემს.

**კომპანია „მაგთიკომის“ გენერალური დირექტორის მოადგილე, ირაკლი ლობჟანიძე:**

– შატილელები დიდი ხანია გვთხოვდნენ ანტენის დამონტაჟებას. კომერციული თვალსაზრისით, რასაკვირველია, ეს პროექტი არამომგებიანია, მაგრამ მაგთიკომი ყოველთვის დგას ქვეყნის სამსახურში,

**ეკა ჭინჭარაული: ...აი, ზუსტად ისეთი გრძნობა ექნებათ, როგორიც კარცერიდან გამოყვანილ პატიმარს!**

ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ. თავის დროზე მაგთიკომი იყო პირველი საკომუნიკაციო კომპანია, რომელმაც უზრუნველყო მობილური კავშირგაბმულობა უშგულში, კოდორის ხეობაში... მაგთიკომმა საკუთარი ინვესტიციებით განახორციელა სახელმწიფო მნიშვნელობის სხვადასხვა პროექტები... ახლაც მიგვაჩნია, რომ პირველ რიგში შატილელებისთვის და შემდგომ ყველასთვის ვისაც მათთან ან ამ მხარესთან რაიმე აკავშირებს უმნიშვნელოვანესი საქმე გაკეთდა. გაკეთდა უზადოდ და ხარისხიანად. ამას გარდა ინტერნეტის შიდასასკოლო ქსელში ჩავრთეთ შატილის საჯარო სკოლა. GPRS ტექნოლოგიით მობილურიდან ინტერნეტით სარგებლობა შეეძლება ყველას, ვის ტელეფონსაც ეს ფუნქცია აქვს. ამ ანძის არსებობას არსებითი მნიშვნელობა აქვს ტურიზმის განვითარებისთვისაც.

***– რა სირთულეები იყო ანძის გამართვისას?***

– ძირითადად მთაზე მისასვლელი გზის არარსებობა. მთელი აპარატურა ვერტმფრენით იქნა ატანილი.

***– რა ტერიტორიის დაფარვა იგეგმება უახლოეს მომავალში?***

– ეტაპობრივად დაიფარება ყველა რთულად მისასვლელი ტერიტორია. ძნელად მისასვლელ ადგილებში და კომერციულად ნაკლებად მიმზიდველ ტერიტორიებზე სადგურების მონტაჟი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ მაგთიკომი ლიდერია საქართველოს კავშირგაბმულობის ბაზარზე და მისი მომსახურების ხარისხი საუკეთესოა საქართველოში.

***– რომელი ბრენდებით და რა სერვისებით შეეძლებათ სარგებლობა შატილში?***

– მაგთი, ბალი, ბანი.

***– გეგმავთ ანძის საზეიმო გახსნას?***

– გახსნის დღეს, 2 აგვისტოს და შატილობაზე ხეობაში ავა მაგთიკომის მოძრავი ოფისი და უფასოდ დაარიგებს ბანის სიმბარათებს ზედ დარიცხული 1 ლარით. გარდა ამისა მოსახლეობას საჩუქრად დაურიგდება მიასურები და სხვა სამახსოვრო საჩუქრები.

**შემომყვან ტუროპერატორთა ასოციაციის თავჯდომარე, ია თაბაგარი:** „კავშირის არარსებობა ისტორიულად ასე მნიშვნელოვან და ტურისტულად ასე მიმზიდველ ტერიტორიაზე ძალიან სერიოზული პრობლემა იყო. ახლა ტუროპერატორებსაც გაუადვილდებათ მუშაობა, ტურისტიც უფრო დაცულად იგრძნობს თავს და, აქედან გამომდინარე, ტურისტების რაოდენობაც მოიმატებს. აქამდე ტურისტულ ჯგუფებს ფაქტობრივად ბრმად აგზავნიდნენ ტუროპერატორები. ახლა შესაძლებელი გახდება უმარტივესად მოგვარდეს სასტუმროს დაჯავშნის პრობლემა, ან ვთქვათ, რაიმე შემთხვევის გამო აუცილებელი დახმარების გაწევა, სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხის გარკვევა და შეთანხმება... ხოლო ის ფაქტი, რომ იქნება მობილური ინტერნეტი, ტურისტებს საშუალებას მისცემს თავიანთი საქმეების ნაწილი აუცილებლობის შემთხვევაში ხეობიდანვე მოაგვარონ“.

**ეკა ჭინჭარაული:** „ამაზე კარგი არაფერი გაკეთებულა! მე წარმოშობით შატილელი ვარ. შაშარშან იქ რომ მივდიოდი ქვედა სოფლიდან წერილი გამატანეს, რომ ზედაში ახლობლისთვის ხმა მიეწვდინათ. თბილისიდან ამბავს ვერტმფრენს აბარებენ ხოლმე. შატილში ვინმე რომ ცუდად გახდება ვერტმფრენს ელიან, ან მესაზღვრეებამდე უნდა გავიდნენ, რაც ზამთარში დიდი რისკიცაა. ახლა შეგვეძლება, ერთმანეთს დავუკავშირდეთ, მოვიკითხოთ... იქ მყოფებისთვის კი უფრო მეტს ნიშნავს, აი ზუსტად ისეთი გრძნობა ექნებათ, რაც კარცერიდან გამოყვანილ პატიმარს. უფრო მეტი ხალხი ჩავა დასასვენებლად და სოფელი გახალისდება.

მკაცრი ზამთარიც ბევრად უფრო გასაძლისი გახდება“.

**ია თაბაგარი: ტუროპერატორებსაც გაუადვილდებათ მუშაობა, ტურისტიც უფრო დაცულად იგრძნობს თავს და, აქედან გამომდინარე, ტურისტების რაოდენობაც მოიმატებს.**

ნონა ცაბა ე

# ხელისუფლებას მშვიდი ცხოვრების უფლებას არ მივცემთ!

### ინტერვიუ კონსერვატიული პარტიის ლიდერ ზვიად ძიძიგურთან

***— ბატონო ზვიად, ხელისუფლება იმდენ არაპოპულარულ ნაბიჯს დგამს, რომ ეს ზაფხული პოლიტიკურად საკმაოდ აქტიური გამოდგა...***

— ხელისუფლება, როგორც ეს ბოლო პერიოდში ემჩნევა და ეს განსაკუთრებით ბოლო ერთ წელიწადს შეეხება, საკუთარ თავს ყველაფრის უფლებას აძლევს. უკვე იქამდეა გათავხედებული, რომ მან ნაბიჯები გადადგა ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ, როდესაც მათთან ყოველგვარი კონსულტაციისა და შეთანხმების გარეშე დაიწყო რელიგიურ თემებზე გადაწყვეტილებების მიღება და პირდაპირ არღვევს იმ საკონსტიტუციო შეთანხმებას, რომელიც არსებობს საქართველოს ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის და კონსტიტუციაშია დაფიქსირებული ასეთი ტიპის თანამშრომლობის აუცილებლობა. ვფიქრობ, რომ ფოტორეპორტიორების საქმეც ასევე ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლებისთვის დღეს ყველაფერი არის ნებადართული და იმისათვის, რომ ეკლესიის თემა გადაელახა, ამისთავის, როგორც წიწილებს, ისე მოჰკიდა ხელი და დაიჭირა ფოტორეპორტიორები. თუმცა, უნდა ითქვას ჟურნალისტთა კორპუსის სასარგებლოდ და სასახელოდ, რომ მათმა ორგანიზებულმა და პერმანენტულმა პროტესტმა აიძულა ხელისუფლება, უკან დაეხიათ. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია ხელისუფლებისთვის, იგივე ანძის მიმართულებით გადაედგათ ნაბიჯები. რამდენადაც გავრცელებულია ინფორმაცია, აპირებენ თავიანთთვის მომგებიან სიტუაციაში აღმოჩნდეს სატელევიზიო ანძა. უნდათ, რომ გაუძვირონ მომსახურების საფასური რიგ მაუწყებლობებს, რომელიც მათ გემოვნებას არ შეესაბამება, რბილად რომ ვთქვათ და ეს შეზღუდვები და კიდევ მეტი ბორკილები დაადონ თავისუფალ მედიას. ბევრი რამ ადასტურებს იმას, რომ ხელისუფლებას პოლიტიკური თვალსაზრისით თავი ჰგონია ძალიან მომგებიან სიტუაციაში და ვფიქრობ, რომ ის, რაც მათ თავიანთ სიძლიერედ მიაჩნიათ, ამავე დროს, მათი სისუსტეა და ამით უნდა ისარგებლოს ოპოზიციამ.

***— პოლონეთის პრეზიდენტთან შეხვედრისას სააკაშვილმა განაცხადა, რომ დეპუტატთა რიცხვის გაზრდა ჩვენს ინტერესებში არ იყო, მაგრამ ეს ოპოზიციის კატეგორიული მოთხოვნა იყო. რამდენად არის ეს ასე?***

— ეს არის ურცხვი ტყუილი. ხომ არის ტყუილები, რომლებსაც აქვს მოკლე ფეხები. ამ ტყუილს საერთოდ ფეხები არა აქვს. ამის დადასტურება ჩვენ შეგვიძლია იმ 150-გვერდიანი დოკუმენტით, რომელსაც მთელი წლის განმავლობაში ვთავაზობდით ხელისუფლებას და სადაც ერთი წინადადებითაც არ არის ნახსენები დეპუტატთა რიცხოვნობის გაზრდა. მას, უბრალოდ, დასჭირდა ასეთი ტყუილი.

***— რაში დასჭირდა?***

— პოლონეთის პრეზიდენტის ვიზიტის დროს მან გადაწყვიტა, რომ თუ პოლონეთის პრეზიდენტი და პოლონეთის ხელისუფლება მიდის იქით, რომ პარლამენტის დეპუტატთა რაოდენობა შეამცირონ და ეს პოპულარული ნაბიჯია, არ უნდა ჩამორჩენოდა თავის პოლონელ კოლეგას და თქვა, მე ისეთი დემოკრატი ვარ, რომ არა ოპოზიციის, ამ საშინელი ხალხის მოთხოვნა, როგორ დავთანხმდებოდი პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდაზეო. უკვე ერთდღიანი და ერთწუთიანი ეფექტისთვისაც კი სააკაშვილი მზად არის, სერიოზული ტყუილები თქვას და ვფიქრობ, რომ ეს სიმპტომატური გახდა ხელისუფლებისთვის დიდი ხანია. 2003 წლის შემდეგ სააკაშვილის ტყუილების კატალოგი რომ შეადგინოს ადამიანმა, ეს იქნება ძალიან შთამბეჭდავი და სერიოზული სქელკანიანი დოკუმენტი, თუმცა, ეს არ არის არქივში ჩასაბარებელი საქმე. ტყუილები ყოველდღიურად მატულობს და ვხედავთ, რომ ამ ხალხის ფანტაზიასა და უსირცხვილობას საზღვარი არა აქვს. ეს დასტურდება იმ განცხადებებით, რომლებსაც ჩვენ მუდმივად ვისმენთ სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების მხრიდან.

***— როდესაც ინდივიდუალური მოლაპარაკების რეჟიმზე გადავიდა ზოგიერთი ოპოზიციური პარტია, ხომ არის შესაძლებელი, რომ ეს მოთხოვნა მაშინ დააყენეს?***

— არ ჰქონიათ ასეთი მოთხოვნები. ჩვენ ვიცით და საქმის კურსში ვართ, მაშინაც, როცა კაციტაძე დადიოდა კუბლაშვილთან სამშობლოს გადასარჩენად ერთი ერთზე შეხვედრებზე, მაშინაც კი იმ ინფორმაციით, რომელსაც ის პოლიტიკურ რვიანთან აკეთებდა, მსგავსი ტიპის არავითარი თხოვნა არ ყოფილა და, თუ ყოფილა ასეთი თხოვნა, მაშინ, რა თქმა უნდა, გამოვლენ იგივე კუბლაშვილი, მაჭავარიანი, ცისკარიშვილი და იტყვიან, რომ კაციტაძემ ან ქრისტიან-დემოკრატებმა ასეთი რამის შესახებ ითხოვეს. მე გარწმუნებთ, რომ მათ ამისი არც მოერიდებათ და არც შერცხვებათ. რადგანაც არ ამბობენ, აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივია დასკვნა, რომ არც ერთ ეტაპზე არც ერთ ოპოზიციურ პარტიას, ჯერ კიდევ რვიანში შემავალს, არ დაუყენებია ასეთი ტიპის საკითხი. არ დაუყენებია ასეთი ტიპის საკითხი გია თორთლაძის პარტიასაც კი. ასე რომ, ფსევდოოპოზიცია, ოპოზიცია, რვიანში შემავალი რადიკალური პარტიები, რაც არ უნდა ჩამოვთვალოთ, მთელი სპექტრი ოპოზიციური გამისა, ასე ვთქვათ, არც ერთს არ მოუთხოვია პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა. ეს არის მხოლოდ ხელისუფლების მოთხოვნა. ხელისუფლების მხრიდან დაყენებული იყო ეს საკითხი. მოლაპარაკების პროცესში, 9 მარტს, მათ წარმოადგინეს ჩვენი მოთხოვნების საპასუხოდ 83X83 ასეთი ვარიანტი, რომელსაც მაშინ ოპოზიცია არ დაეთანხმა. მე ვფიქრობ, რომ ამ თემაზე არ არის დიდად ყურადღება მისაქცევი, იქიდან გამომდინარე, რომ ყველასთვის ცხადია, მთელ საქართველოში კარგად იციან, რომ ეს არის ხელისუფლების მორიგი ტყუილი და უბრალოდ უნდა მოგახსენოთ, რომ პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა, ის ცვლილებებიც, რომლებიც მათ შემოგვთავაზეს საარჩევნო კოდექსის საკითხებთან დაკავშირებით, თვისობრივ ცვლილებებს ვერ იძენს და, აქედან გამომდინარე, ისინი წამოვიდნენ ვითომდა დათმობაზე, ისეთი ტიპის ცვლილებები შემოგვთავაზეს, რომელიც შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციებს და ჩვენს მეგობარ სახელმწიფოებს, დასავლეთის სახელმწიფოებს ვგულისხმობ, ნაწილობრივ შეიძლება მიჰყიდონ. რა თქმა უნდა, მთლიანად ამის მიყიდვა მათ ვერ მოახერხეს და ვერც მოახერხებდნენ, მაგრამ მათი მხრიდან ზეწოლა, რომ ოპოზიციასთან უნდა დათმონ, ნაწილობრივ არის შესუსტებული. ასეთი ტიპის ამოცანას ისახავდა მიზნად პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდა და აქ ოპოზიცია არაფერ შუაში არ არის, შემიძლია, კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ.

***— ბატონო ზვიად, ამ ბოლო პერიოდში „ახალი მემარჯვენეების“ განცხადებებშიც უკმაყოფილება შეიმჩნევა ხელისუფლების მისამართით, ხელისუფლება აღარ მიდის მათთან მოლაპარაკებებზე, როგორ ფიქრობთ, ხომ არ დაიწყო მათი გადაგდების პროცესი?***

— მათ რაში სჭირდებათ ახლა ან „ახალი მემარჯვენეები“ და ან ქრისტიან-დემოკრატები? ასეთი ძალიან მარტივი კითხვა ისმის, იმ კრიტიკულ სიტუაციაში, როდესაც ერთ მხარეს იდგა პოლიტიკური რვიანი და მეორე მხარეს იდგა ხელისუფლება, ჩვენ ვიყავით გაცილებით მომგებიან სიტუაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გვიკიჟინებდა, რომ აი თქვენ არაფერს აკეთებთ, თქვენ ხართ შეკრული ხელისუფლებასთან, თქვენ აკეთებთ ხელისუფლების საქმეს და ასე შემდეგ, ერთადერთი რამ იყო გასაკეთებელი — ორი თვის განმავლობაში არ უნდა დაშლილიყო რვიანი და ეს გაცილებით დიდ და სერიოზულ დათმობებზე წამოიყვანდა ხელისუფლებას. ეს იყო შეუიარაღებელი თვალით დასანახი რამ. ამ ორმა პარტიამ ვერ გაუძლო ცდუნებას, ვერ გაუძლო ზეწოლას და შედეგად მივიღეთ ის, რომ ხელისუფლება დღეს უფრო მოყოჩაღებულია საარჩევნო კოდექსის ცვლილებებთან დაკავშირებით. მე ვფიქრობ, რომ სანამ მორიგი დაძაბულობა არ შეიქმნება, მორიგი ღალატის საჭიროება აღარ დადგება და, აქედან გამომდინარე, მოღალატე პარტიებთან ხელისუფლებას არ ექნება რაღაცა ენის მოჩლექით საუბრის სურვილი. ხელისუფლებაც და საზოგადოებაც იგრძნობს, კიდევ როდის მომწიფდება ასეთი სიტუაცია და ახალ სიურპრიზებს ასეთი პარტიებისაგან, რომლებიც კრიტიკულ მომენტში ყოველთვის ახერხებენ, არასწორად მოიქცნენ, უნდა ველოდეთ, რა თქმა უნდა.

***— ამბობენ, რომ ეს შემოდგომა გადამწყვეტი ეტაპი იქნება ქართულ პოლიტიკაში. რას აპირებს ექვსიანი და რა პროცესების განვითარებას უნდა ველოდოთ?***

— ჩვენ ძალიან აქტიურად ვმუშაობთ, რათა ექვსმა პოლიტიკურმა პარტიამ ერთიანი კოალიციის ფორმატში საზოგადოებასთან დაამყაროს სერიოზული კომუნიკაცია. არჩევნებს იგებს არა მილიონი ლარი, არამედ მილიონი კაცი. ეს არის, რაც განვაცხადეთ ჩვენ 8 ივლისს ვერის საკალათბურთო სასახლეში და სერიოზულად ვემზადებით მილიონ ადამიანთან კომუნიკაციისათვის. ეს იქნება ტელევიზიის მეშვეობით, ეს იქნება კარდაკარ სიარულის პროგრამით, მიტინგების, მანიფესტაციების მეშვეობით. ჩვენ ყველა პოლიტიკური ფორმა უნდა გამოვიყენოთ იმისათვის, რომ მილიონი კაცი დაირაზმოს ხელისუფლების შესაცვლელად. რა ფორმას მიიღებს ეს, რამდენად აქტიურები ვიქნებით, რამდენად გვეყოფა ფინანსური, ადამიანური, მატერიალური თუ პოლიტიკური რესურსები, ამას დაგვანახვებს ჩვენ შემოდგომა, მაგრამ ერთი ფაქტია, რომ უკან დახევას არავინ აპირებს. ჩვენ არ ვაპირებთ, ხელისუფლებას ბედნიერი და მშვიდი ცხოვრების საშუალება მივცეთ იმ გაგებით, რომ ჩვენ ვაპირებთ სერიოზული წინააღმდეგობის გაწევას, რათა საქართველოს მოსახლეობამ დაინახოს, რომ არსებობს ალტერნატივა ქვეყანაში, რომელიც შეცვლის იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც არის ქვეყანაში, რომელიც შეცვლის სოციალურ ფონს, რომელიც იფიქრებს, რომ კი არ გააძვიროს, არამედ გააიაფოს ადამიანების ყოველდღიური ცხოვრება. არ იყოს ყოველდღიური მოხმარების საგნებზე უსირცხვილო მატება ფასებისა. ასევე დაიწყება მედიათავისუფლებისათვის ბრძოლა, დაიწყება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დარეგულირების პროცესი და ძალიან ბევრი ფუნდამენტური საკითხია, რომელიც არის ჩვენი პოლიტიკური პროგრამის თემა და ვაპირებთ ამ თემების შეთავაზებას. ის, რომ ხელისუფლება არ ვარგა, უკვე ყველამ იცის. ხელისუფლება რომ არ ვარგა, ამაზე კი არ უნდა ველაპარაკოთ ჩვენს მოსახლეობას, არამედ, ჩვენ რის გაკეთებას ვაპირებთ, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა და როგორ მივიტანოთ ეს ხალხთან, თითოეულ მოქალაქესთან. ეს არის ჩვენი დიდი აუცილებლობა და ამ მიმართულებით ვაპირებთ აქტიურ მუშაობას. რამდენად მოვახერხებთ, რამდენად შევძლებთ, რამდენად წარმატებულები ვიქნებით, ეს დამოკიდებულია ჩვენს მარიფათზე, ჩვენს პოლიტიკურ ალღოზე, დამოკიდებულია ქართველ საზოგადოებაზეც, რამდენად აჰყვება ის პოლიტიკური აქტიურობის მოთხოვნებს. ეს ყველაფერი წინა გვაქვს და შემოდგომიდან ასეთი ტიპის აქტიურობები დაიწყება.

***— თქვენ აღნიშნეთ, ჩვენ არ შევწყვეტთ ბრძოლას მედიათავისუფლებისთვისო. კონკრეტულად რა გეგმები გაქვთ და რას აპირებთ?***

— კონკრეტული გეგმები ჩვენ მედიაკოალიციასთან და მედიაჯგუფებთან ერთად მუშაობით გვაქვს ჩამოყალიბებული. არის ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტები, რომლებიც აქვთ შემუშავებული მედიათავისუფლებაზე მომუშავე ცალკეულ პერსონებსა თუ ჯგუფებს. ეს ეხება ფინანსურ საკითხებს, რომლებიც არის ყველაზე მნიშვნელოვანი. ფაქტობრივად, გაშიფრულია სქემა, თუ როგორ ეხმარება ხელისუფლება თავისთვის სასურველ მედიასტრუქტურებს და როგორ უშლის და როგორ ბლოკავს მისთვის არასასურველ მედიასაშუალებებს. ეს არის კანონპროექტების დონეზე მოყვანილი, არის მედიაჯგუფების მხრიდან ინიციატივები, თუ როგორ უნდა მოვახერხოთ მეორე არხის, საზოგადოებრივი არხის გააქტიურება და მათი ჩართვა ამ პროცესებში. ჩვენ მათთან ერთად ვაპირებთ საქმიანობას და საზოგადოებისათვის ესეც ნათელი გახდება. ეს თანამშრომლობა, რომელიც სამოქალაქო მოძრაობის ფორმატში მიმდინარეობს მედიაჯგუფებთან, გაცილებით აქტიური გახდება. ამ მხრივ ძალიან აქტიური ბრძოლა უნდა გაიმართოს და ჟურნალისტთა კორპუსმა დაანახვა საზოგადოებას, რომ მათ თავიანთი თავისუფლებისთვის ძალიან აქტიური ბრძოლა შეუძლიათ და, სხვათა შორის, ძალიან ეფექტურიც. მე კიდევ ერთხელ მინდა მივულოცო ყველა ჟურნალისტს, რომელიც ჩართული იყო თავისი უფლებების დასაცავად და ფოტორეპორტიორების უფლებების დასაცავად, რომ მათ ძალიან წარმატებული ერთად ყოფნის მაგალითი დაანახვეს მთელ საქართველოს.

***— თუმცა, ეს ბიჭები მაინც აიძულეს, რომ აღიარებითი ჩვენებები მიეცათ...***

— ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ტოლკვემადას პერიოდშიც ინკვიზიციურ ესპანეთშიც აცმევდნენ ესპანურ ჩექმებს, ბორბალზე სვამდნენ, შადის კვრით სჯიდნენ და ადამიანები ამბობდნენ, რომ ისინი იყვნენ კუდიანები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჯორდანო ბრუნო, რომელიც კოცონზე დაწვეს მაშინ, ეშმაკთან იყო გარიგებული. ახლა თუ კოცონზე არ წვავენ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ზემოქმედების საშუალება ადამიანებზე ხელისუფლებას არა აქვს. ამიტომ ფოტორეპორტიორების აღიარებითი ჩვენება და შემდეგ ის შედეგი, რომელიც დადგა, ცალსახად არის წინააღმდეგობაში ერთმანეთთან. ჯაშუშებს არ ათავისუფლებენ ციხიდან პირობითი სასჯელით, ბოდიშის მოხდით და საპროცესო გარიგება გაუფორმმო და თანხა არ გადაახდევინო, ეგეთი რამე ბოლო 8 წლის განმავლობაში, რაც სააკაშვილია ხელისუფლებაში, ჩვენ არ გვინახავს. ამიტომ ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს ამ შემთხვევაში. რაც გადაიტანა იმ ხალხმა, საკმარისია. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ მოველოდით იმას, რომ ხორცებს დააჭრიდნენ ხალხს და ისინი მაინც იტყოდნენ, რომ უდანაშაულონი იყვნენ. კლასიკური ნიმუში არის იმისა, რომ ხელისუფლებამ უკან დაიხია და მე კიდევ ერთხელ მინდა, ამ ფოტორეპორტიორებს სოლიდარობა გამოვუცხადო და სრულიად დარწმუნებული, ვარ, არავითარი ჯაშუშები და სამშობლოს მოღალატეები ისინი არ არიან.

***— დღეს ყველა თანხმდება იმაზე, რომ 2012 წლის არჩევნები გადამწყვეტი იქნება და პროცესები სერიოზულად შეიცვლება. რამდენად არის იმის შანსი, რომ ეს ხელისუფლება შეიცვალოს?***

— ეს არ იქნება ჩვეულებრივი ბრძოლა, შემიძლია დაგარწმუნოთ ამაში. ეს იქნება ბრძოლა წესების გარეშე, ეს იქნება არჩევნები, როდესაც ყოველი ხმისთვის, ყოველი უბნისთვის იქნება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამაში ვარ ცალსახად დარწმუნებული და ის ხალხი, რომელიც თვლის, რომ არჩევნები — ეს არის ხელისუფლებასთან ბრძოლის კონსტრუქციული ფორმა, შემიძლია დავარწმუნო, რომ ეს იქნება სწორედ გადამწყვეტი არჩევნები და სწორედ 2012 წლის არჩევნებზე წყდება ბედი, საქართველოში კიდევ უახლოესი 12 წლის განმავლობაში იქნება მიხეილ სააკაშვილი თუ უახლოეს პერიოდში დაიწყება ჩვენს ქვეყანაში ახალი ეპოქა.




## ილია II უკრაინიდან დაბრუნდა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II თბილისშია. ის უკრაინიდან წუხელ გვიან ღამით ჩამოფრინდა. თბილისში დაბრუნებულ პატრიარქს აეროპორტში მრევლი დახვდა.

ილია II კიევში უკრაინის პრეზიდენტს, უკრაინის მიტროპოლიტსა და რუსეთის პატრიარქს შეხვდა. საქართველოსა და რუსეთის ეკლესიის მეთაურების შეხვედრის მთავარი თემა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ქართული ეკლესიის იურისდიქცია იყო.

ვიზიტის განმავლობაში საქართველოს პატრიარქმა უკრაინის პირველ ნაციონალურ არხს ვრცელი ინტერვიუ მისცა. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა უკრაინაში დაპატიჟებისათვის უკრაინის მიტროპოლიტ ვლადიმირს მადლობა გადაუხადა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია კიევში 25 ივლისს გაემგზავრა.

**მედიანიუსი**

# ბათუმში 17 000 თურქი ჩაეწერა

## საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად აღარ ითვლება

**მოძრაობა „თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი აცხადებს, რომ რეალური ბრძოლა ახლა იწყება. შაშიაშვილს ეჭვი ეპარება, საქართველოს ფარგლებს გარეთ მყოფმა ბიზნესმენებმა საქართველოს სასიკეთოდ პარტია შექმნან.**

**— საქართველოს ხელისუფლებას აღარ აწყობს ცოცხალი პატრიარქი. დღეს ყველამ უნდა ვილოცოთ პატრიარქისთვის. ხელისუფლებას არ უნდოდა, რომ პატრიარქი კიევში წასულიყო. სააკაშვილი მიწაზე ფორთხავდა არა მარტო გორში, პოლიტიკურადაც მიწაზე ფორთხავს და ამბობს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მზადა ვართ რუსეთთან დიალოგისთვისო. პუტინმა რომ დაპატიჟოს, ჩამოდიო, იმ დღეს სააკაშვილის სახელისუფლებო ტელევიზიებში ზეიმი ექნება, — აცხადებს თემურ შაშიაშვილი.**

**ვის ხელში გადადის სატელევიზიო ანძა და რას იტყვის საქართველოდან გაქცეული ბიზნესმენი შარანგიებთან მიმართებით? როგორ „დაავერბოვკა“ სააკაშვილმა ხუბუტია? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.**

შორენა კოწოწაშვილი

***— ბატონო თემურ, რა ვითარება შეიქმნა ბოლო პერიოდში ქვეყანაში და რატომ ფიქრობთ, რომ რეალური ბრძოლა ახლა იწყება?***

— ქვეყანას არა ჰყავს ხელისუფლება. ეს არის ხელისუფლება, რომელიც იმართება ქვეყნის გარედან, ემსახურება სხვის ინტერესებს საკუთარი ქვეყნის საწინააღმდეგოდ. ყველა ბოლო ნაბიჯი, რადგან ბოლოს მეკითხებით, დაწყებული 26 მაისით, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს შენს ხალხს სასტიკად დასჯი; როდესაც რამდენიმე დღის შემდგომ შეეცდები საკუთარი ეკლესია დაამცირო და მისი თხოვნა არ გაითვალისწინო; მერე როცა შეეცდები, რომ სხვა ეკლესიის ინტერესები ან გაათანაბრო, ან კიდევ უფრო წინ დააყენო საკუთარი ქვეყნის ინტერესებზე; როდესაც შეეცდები არ მოიკითხო, რომელ უცხოელს რა პირობით მიყიდე კონკრეტული ობიექტი ან თუ აჩუქე, პირობები როგორ სრულდება; როცა ამას არ ამოწმებ, მაგრამ ისეთ ცნობილ პიროვნებას, როგორიც კახი კალაძეა, შეებრძოლები და შეეცდები ყველაფერი წაართვა; როდესაც ცნობილ ფეხბურთელს ციხეში ჩასვამ და როდესაც რობიკო სტურუას დაუძახებ და ეტყვი, დაწერე განცხადება და წადი თანამდებობიდან იმის გამო, რომ მან მართალი თქვა; როცა ჟურნალისტებს იმას გაუკეთებ, რაც კეთდება; როდესაც ქვეყანაში ინტერნეტს დაუქვემდებარებ პიროვნებებს, რომლებიც შენიანები არიან, მაგრამ სხვა ქვეყნის ინტერესებთან არიან დაკავშირებული; როდესაც გინდა გაყიდო სატელევიზიო ანძა, რომელიც ყველა ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე გაფრთხილებადი ობიექტია; როდესაც ქვეყანაში აღარ დარჩა სტრატეგიული ობიექტი გასაყიდი; როცა ყველაზე მნიშვნელოვანი ობიექტები მიყიდე რუსეთს, რომელსაც მტერს ეძახი; როდესაც სხვა ქვეყნების ინტერესებიდან გამომდინარე ფიქრობ საქართველოში „ნამახვანჰესის“ აშენებაზე. ამ ჰესის მშენებლობა გოევროს გეგმით იყო გათვალისწინებული, მაგრამ საქართველოს ვერ გაუბედეს. და როცა გაუბედეს, პასუხი მიიღო. 7 კმ იქნება წყლის სარკე, რომელიც კლიმატს შეცვლის რაჭა-ლეჩხუმის მიმართულებით, იმერეთში. აღარ ვსაუბრობ იმაზე, რომ რამდენიმე დიდი სოფლის ვენახი საერთოდ წყალში მოექცევა და ვაზის ბევრი ჯიში საერთოდ წაიშლება. მე შემიძლია ეს ჩამონათვალი კიდევ გავაგრძელო. ხელისუფალი ჰქვია იმას, ვინც ამას აკეთებს?! უფრო მეტს გეტყვით: ხელისუფლება ჰქვია იმას, რომელიც სოფლის მეურნეობაში წელიწადში ხარჯავს იმდენს, რამდენსაც ხარჯავს ბათუმში ერთი სკვერის გაკეთებაზე და რამდენსაც ხარჯავს ხიდების კორიანტელი რომ დაატრიალა. ნაკლები ხარჯები მიდის განათლებაზე, მეცნიერებაზე. შეიძლება საქართველოს უმაღლესი განათლება, მეცნიერება ისე იზომებოდეს, რასაც ორი სკვერის რეკონსტრუქცია ჰქვია? ხელისუფლება გქვია, როდესაც ბათუმში ერთი ბოძის შენახვაზე იმდენი გიჯდება, რამდენსაც ხარჯავ ადამიანის ჯანმრთელობაზე წლის განმავლობაში. ხალხი დააუძლურა ამ ხელისუფლებამ და ფაქტია, ხალხს თავი აღარ აქვს, რომ პროტესტი გამოხატოს. მთელი ევროპა ქუჩაშია. რას იცავს? — ხელფასს, პენსიას, თავის სოციალიალურ პირობებს. საქართველოზე უარესი არ არსებობს მსოფლიოში. ჩვენ ვზივართ წყნარად სახლებში. ექსპერტთა ბოლო დასკვნებს გეუბნებით, 2 მლნ-ზე მეტი კაცია ქვეყნიდან წასული. ეს ის 2 მლნ ადამიანია, რომელიც ხელისუფლებამ მოიცილა და მის შენახვაზე პასუხისმგებლობა არ აქვს. მოიცილა საპროტესტო მოედნიდან და თან იქედან თითოეული მათგანი ორ-სამ კაცს არჩენს. ხელისუფლებამ ეს ორი-სამი კაციც გააჩუმა. ყველა ოჯახში მიდის და ეუბნება, ხომ იცი, შენი შვილი რომ არალეგალია, თუ წყნარად არ იქნები და მიტინგზე წახვალ, იცოდე, რომ შვილს პრობლემები შეექმნება. ფაქტობრივად ხელისუფლება ეუბნება, ჩამშვები ვიქნები სხვა ქვეყანასთანო ანუ ჯაშუშობაზე მიდის. თქვენ ამას ხელისუფლებას ეძახით?! ორი რამ გადაწყვიტა ამ 8 წლის განმავლოვაში ხელისუფლებამ სერიოზულად: პირველი — მოსახლეობის უმრავლესობის სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნების მინიმიზაცია ანუ უდაბლესი დონე. მოქალაქეების ნიჰილიზმის და სოციალური და პოლიტიკური პირობების პასიურობის ჩამოყალიბება. მსოფლიოს არც ერთი ქვეყანა არ მოითმენდა ამას, რაც აქ ხდება. ყველაფერი გააკეთა ამ ხელისუფლებამ იმისათვის, რომ ხალხს საკუთარი უფლებების დაცვაზე უარი ეთქვა. ეს პროგრამა ქვეყნის გარეთ დაიწერა და აქ განხორციელდა. ე.ი. მშვიდად არის ის ქვეყანა, სადაც პრაქტიკულად ხალხის გენოციდია. მეორე, რაც გადაწყვიტა ამ ხელისუფლებამ: დასავლეთის გავლენიანი სახელმწიფოებისა და ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, საქართველო არა მარტო მოსათმენ ან თუნდაც მისაღებ, არამედ სასურველ და სასარგებლო დანამატ სახელმწიფოდ გადაიქცა. ეს ორი ამოცანა ამ ხელისუფლებამ კარგად შეასრულა.

***— 26 მაისი და მისი მძიმე შედეგები საერთოდ ჩაიკარგა?***

— 26 მაისმა დასავლეთს საბოლოოდ ასეთი დასკვნა გააკეთებინა, რომ არ შედგა დემოკრატიულად სტაბილური საქართველო. რადგან არ შედგა ის, რაც დასავლეთს უნდოდა, დასავლეთს გულწრფელად უნდოდა საქართველო ყოფილიყო დემოკრატიული და დემოკრატიულობით სტაბილური. არ შედგა ეს. ამიტომ უცხოეთმა თქვა, ჯანდაბას, იმდენად მჭირდება გეოსტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე, ენერგეტიკული და მსოფლიოში არსებული სხვა კრიზისებიდან გამომდინარე, იყოს დიქტატორული, მაგრამ იყოს სტაბილური. ცემოს და ტყეპოს საკუთარი ხალხი, ჩასვას ციხეში, ნაწილი ქვეყნიდან გაყაროს, მარტო ბათუმში 17 000 თურქის რეგისტრაცია მოხდეს და ა.შ. ანუ ჯანდაბას, მოხდეს ქართველი ხალხის გენოციდი, მაგრამ იყოს, რადგან დასავლეთს ამ ეტაპზე გვჭირდება სტაბილური ქვეყანა, თუნდაც არადემოკრატიული. აი, ეს არის ჩვენი უბედურება.

***— ბატონო თემურ, ზემოთ გაკვრით ახსენეთ ეკლესიასთან მიმართებაში არსებული ვითარება. რეალურად რა პროცესი მიდის და რა ინფორმაციებს ფლობთ პირადად თქვენ, ყველაფერი ითქვა?***

— არაფერი არ ითქვა. იმაზე მეტი, რაც თქვა უწმინდესმა, იმაზე მეტი მან არ უნდა თქვას. ჩვენ პატრიარქმა გვითხრა, რომ კანონი, რომელიც პარლამენტმა მიიღო, ეს უბედურების მომტანია ეკლესიისთვისაც და ქვეყნისათვისაც. შეცვალა ეს განცხადება ილია მეორემ? არ შეუცვლია. მეორე განცხადება რომ გააკეთა, თქვა, ჩვენ ამ კანონის შეფასებაში მთელი სინოდი ერთსულოვანი ვართ. რა უნდა გითხრას მეტი სულიერმა მამამ? თან პატრიარქმა ამას დაამატა: მთელი პასუხისმგებლობა ამაზე ეკისრება საქართველოს პრეზიდენტს. თუ ჩვენ მოვითმენთ იმას, რაც ამ ხელისუფლებამ ეკლესიას აკადრა, ჩვენ ვართ ისეთივე მტარვალი, საკუთარი ხალხის და საკუთარი ეკლესიის მიმართ, როგორიც ეს გააკეთა ხელისუფლებამ. ჩვენ არაფრით უკვე აღარ განვსხვავდებით. ამიტომ მე ვარ იმ ხალხთან ერთად, ვინც თვლის, რომ პატრიარქის ნათქვამი არის ზუსტი. უფრო მძიმე იქნება იგი სამომავლოდ. თუნდაც სად არის წასული პრეზიდენტი? წასულია სამხრეთ ამერიკაში. ამ კანონზე ხელის მოწერა იყო გარანტი იმისა, რომ სომხური ლობი, რომელიც სამხრეთ ამერიკაში ძალიან ძლიერია, დაეხმარება, რომ საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ამერიკიდან წამოიღოს 5-6 მლრდ დოლარი სესხი. საქართველოს სესხები უკვე გროვდება იმ ქვეყნებში, როგორიც არის არაბული და სამხრეთამერიკული ქვეყნები. არაბულ სამყაროს სულ არ აინტერესებს, აქ დემოკრატია იქნება თუ არა. მათ უფრო დიქტატურა აინტერესებს და ისეთივე მმართველობა, როგორიც მათთან არის. სააკაშვილის პრესსამსახური ტრაბახობს, სააკაშვილი ერთადერთი პრეზიდენტი იყო, რომელიც ინაუგურაციაში პერუში ჩავიდა. როგორ ფიქრობთ, გერმანიის კანცლერი ჩავიდოდა იქ თუ საფრანგეთის პრეზიდენტი, რომც მიეწვიათ?! ტელევიზიები ისე წარმოაჩენენ, თითქოს პერუს ხელისუფლებამ მარტო სააკაშვილი მიიწვია. სააკაშვილის იქ ჩასვლა სომხურმა ლობმა გადაწყვიტა. 6 მლრდ ფული თუ შემოვიდა საქართველოში, ეს იქნება სომხური ლობის შემოტანილი ფული. ეს იქნება ისევ სომხური ლობის ინტერესების განმსაზღვრელი ფული. ვაი, საქართველო!

***— კიევში ვიზიტისას საქართველოს პატრიარქმა ხაზი გაუსვა, რომ ის ვინმესთან პოლიტიკურ დებატებში ჩართვას არ აპირებს. ხელისუფლებას ეშინია პატრიარქის ვიზიტების და ამაზე გათვალა პატრიარქმა ეს განცხადება?***

— არა თუ ვფიქრობ, არამედ ვხედავ. საქართველოს ხელისუფლებას აღარ აწყობს ცოცხალი პატრიარქი. დღეს ყველამ უნდა ვილოცოთ პატრიარქისთვის. ხელისუფლებას არ უნდოდა, რომ პატრიარქი კიევში წასულიყო. სააკაშვილი მიწაზე ფორთხავდა არა მარტო გორში, პოლიტიკურადაც მიწაზე ფორთხავს და ამბობს, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე მზადა ვართ რუსეთთან დიალოგისთვის. პუტინმა რომ დაპატიჟოს, ჩამოდიო, იმ დღეს სააკაშვილის სახელისუფლო ტელევიზიებში ზეიმი ექნება. მე პირადად, რუსეთის პოლიტიკურ წრეებში ურთიერთობა საერთოდ არ მაქვს, ევროპასა და ამერიკაში მაქვს. პრეზიდენტს იმიტომ კი არ აწუხებს ვინმეს პოლიტიკური ურთიერთობები, იმიტომ, რომ თვითონ არ აქვს. იმიტომ ლანძღავენ და ჯაშუშს ეძახიან ყველას, ვინც იქ ჩადის. მე არ ვთვლი, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები მოსკოვში ვინმეს უნდა ხვდებოდნენ. ისევე, როგორც არაფრად არ მიმაჩნია ამერიკელებს ფეხქვეშ გაეგო. რად გინდა ან კრემლის ფეხქვეშ გართხმული საქართველო და მისი ხელისუფლება, ან თეთრი სახლის ფეხქვეშ გართხმული? არც ამერიკის ხელისუფლება ყოფილა დემოკრატი, რადგან მას ფეხქვეშ გართხმული სააკაშვილი უნდა. მე და ჩემნაირი პოლიტიკოსები ქართული ცნობიერების ვართ და ჩვენ არ გვჭირდება ვინმესთან ფერხთით გართხმა. რუსეთსაც და ამერიკასაც ისინი უნდათ აქ, ვინც ფეხქვეშ გაეგებიან.

***— თქვენ ჯაშუშობა ახსენეთ. ეს თემა რუსეთთან მიმართებაში აქტუალურია. ოპოზიცია ამტკიცებს, რომ ხელისუფლება რუსული ფულით იკვებება.***



— საინტერესო ფაქტს გეტყვით: მოსკოვში ყოფნისას ტაქსისტმა მითხრა, ქართველ ტაქსისტებს არ ჩაუჯდე, რადგან ძალიან ბევრი უშიშროებას ჰყავს. ამ გზით ინფორმაციებს იღებენ, რომელ უბანში რომელ ქართველთან ვინ მოძრაობსო. ანუ სააკაშვილს ჯაშუშები იქ ჰყავს შეგზავნილი. რუსეთის ხელისუფლებამ არ იცის, ასეთ რამეს რომ აკეთებინებენ ესენი ტაქსისტებს? კიევში მითხრა ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონე ქართველმა, რომელსაც ვუთხარი, რომ ვეწვეოდი რესტორანში. რესტორანში მოსვლა არ გინდათ, ვიღაც ნაყიდი ჰყავს ამ ხელისუფლებას და ვინ შემოვა ჩვენთან და ვისთან რას ილაპარაკებს, ამას გადასცემენო. მე არ მინდა პრობლემები შეიქმნასო. ის ჩემზე კი არ ფიქრობდა მარტო, თავის თავზეც. ანუ სააკაშვილის ხელისუფლება გაიგებდა, რომ რესტორნის მეპატრონეს შევხვდებოდი და ვის აწყობს ახლა ოპოზიციასთან ურთიერთობა? ეს კი არა, აგერ საქართველოში ბევრს ხელის ჩამორთმევა უჭირს. ეს ხომ შიშით გაჟღენთილი ცხოვრებაა. ეს ხომ საქართველო არ არის ამაყი, გულღია. რამ შეგვაშინა, რამ აგვაძიგძიგა?! თქვენ რუსულ ფულზე რომ მეუბნებით, მარტივად გვარებს დაგისახელებთ იმათსას, ვინც სააკაშვილის რეჟიმს აფინანსებს. პრეზიდენტმა რომ თქვა ნაყოფიაზე, ახალი ბიზნესსტანდარტები დანერგაო. ეს ნაყოფია არის მოსკოვის ბიზნესმენი. ნაყოფია 1993 წელს აფხაზეთის ამბების მერე მოსკოვში რომ წავიდა, მას შემდეგ რუსეთშია და პირდაპირ კაგებესთან არის დაკავშირებული. სწორედ კაგებეს გენერალ გენერალოვს მიყიდა სააკაშვილმა საქართველოს მთავარი სიმდიდრე — ოქრო. დღეს ეს სიმდიდრე გენერალოვის და სააკაშვილის ბიძის თემურ ალასანიასია. გაიკითხეთ და ნახავთ, ვისი ახლობლები მუშაობენ იქ — მიშა მაჭავარიანის ძმა და სხვა მაღალჩინოსნების ახლობლები. ხომ ნახეთ, ნაყოფიას შვილს, 19 წლის ბიჭს, თვეში ხელფასი, მგონი, ნახევარი მილიონი აქვს. სააკაშვილთან დაახლოებული არიან ძმები შარანგიები. მათაც რუსული ბიზნესით იშოვეს ფული. ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელი სიჭინავა, რუსული ბიზნესი; ფიფიები — რუსული ბიზნესი. ვისაც ინტერნეტის მთელი სისტემა ჩააბარა, „სილქნეტი“ და ვინც ხვალ ტელევიზიის ანძის მყიდველი გახდება, ეს არის რუსული კაპიტალით მოსული შარანგიები. შარანგიების წილი რაც არის, ეს არის პრაქტიკულად სააკაშვილის ოჯახის წილი. გავა დრო, საქართველოდან გაქცეული ერთ-ერთი მეწარმე დაწერს, მასთან შარანგია რომ ჩავიდა, უთხრა, შენი წილი მე რომ მაქვს, შენ ხომ იცი, რომ ეს ჩემი არ არის, ეს სააკაშვილების ოჯახის წილიაო. დღეს შარანგიები ამას ხმამაღლა ვერ ამბობენ. მე ამ მეწარმეებს კი არ ვებრძვი. ნებისმიერი ქვეყნისთვის უბედურებაა მონა მეწარმე. ფული ადამიანს იმიტომ სჭირდება, რომ თავისუფალი იყოს. ესენი კი მონებად აქცია. დღეს ფულიანები უფრო დიდი მონები არიან ამ ხელისუფლების, ვიდრე უფულოები. რუსეთის ხელისუფლების კარზე მიღებული ქართველი ბიზნესმენები, ხუბუტიას ჩათვლით, სააკაშვილის ხელისუფლების მეგობრები არიან. თვითონ დაწერა ხუბუტიამ, რომ ის ორგანიზაცია სააკაშვილმა შეაქმნევინა. მერე სააკაშვილზე ერთი-ორი კრიტიკული სიტყვა რომ თქვა, ძმა დაუჭირა. მერე ხუბუტიას ძმა ციხიდან გამოუშვა და მონად აქცია. ამ დღეებში ვნახე, ხუბუტია ჟურნალში წერს, ფილმს ვიღებ თბილისზე და საქართველოზეო. ბოლოს ასე ამთავრებს: „პუტინ ზნაეტ“. ანუ ხუბუტია ღიად წერს, რომ ის ერთდროულად პუტინის და სააკაშვილის ახლობელია. სააკაშვილს შეუძლია ილაპარაკოს სხვის ჯაშუშობაზე, რეალურად კი სააკაშვილის ჯაშუში ნამდვილი ქართველია.

***— დაბოლოს, რას იტყვით, იმ ახალ პარტიასთან დაკავშირებით, რომლის შექმნასაც ბიზნესმენი გეგმავდა და რომლის შესახებაც ბიზნესმენმა გულუამ დააპიარა?***

— მე არ ვიცი. როცა გულუამ კრასნოდარში შეხვედრა ჩაატარა, მიწვეული ვიყავი, მაგრამ საშუალება არ მქონდა და ვერ წავედი. ვინც მაშინ იქ ჩემი რეკომენდაციით წავიდა, თურმე პარტიას იმ ხალხზე დაყრდნობით აკეთებს. მე არ მჯერა, რომ საქართველოს გარეთ მცხოვრებმა ბიზნესმენმა ბიზნესმენთა პარტია შექმნას. მე არ მჯერა იმ განაცხადის, რომ ეს პარტია იქნება ამერიკული, ამას ამბობს ახლა რუსეთის სახელმწიფო წრეებთან დაკავშირებული ბიზნესმენი გულუა. მე უფრო მეტი გულწრფელობის მომხრე ვარ. გულუასთან ერთხელ ვარ შენახვედრი, ბევრი რამის გაკეთება შეუძლია. მას თვითონ აქვს ნათქვამი იმის თაობაზე, რომ მის ოჯახთან დაკავშირებული ბევრი პიროვნება ვანო მერაბიშვილთან იყო ახლოს. აპირებდნენ კიდევაც, რომ ერთ-ერთი მათგანი თბილისის მერობის კანდიდატი ყოფილიყო. ამ ინფორმაციას რომ გაწვდით, დიდ რისხვას დავიმსახურებ, მაგრამ მე ამას მიჩვეული ვარ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ვერც კი წარმოიდგენთ, რა რაოდენობის არასამთავრობო ორგანიზაცია შეიქმნა 26 მაისის შემდგომ, ვინ ჰყავდა ხელისუფლებას პარტიებში, სახალხო კრების სხვადასხვა სტრუქტურებში. არასამთავრობოების ხაზით ფულის შემოსვლით ქვეყანა იღუპება. იღუპება იმის გამო, რომ მშიერ და დაუძლურებულ ხალხს ყველაფერზე წასვლა შეუძლია. რაც უნდა წერონ ჩემზე, გინდა ნაგანის ჩუქება დამაბრალონ და რაც უნდათ ის, ერთ ვიცი, რომ მე ამ ხელისუფლებასთან არ გავრიგდები. ამ ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლას მირჩევნია შევეწირო, ვიდრე შევეგუო.

# ვინ რა თამაშს თამაშობს ოპოზიციაში

ნათია ხურცილავა



**ზაფხული პოლიტიკურად მკვდარ სეზონად არის მიჩნეული. ზაფხულში პოლიტიკური ცხოვრება ჩერდება. თუმცა, ეს ზაფხული, შეიძლება ითქვას, გამონაკლისია. წლევანდელი ზაფხული უჩვეულოდ „ცხელი გამოდგა“. მწვავე პროცესები, ფოტოკორესპონდენტების საქმე, „რვიანის“ დაშლა სწორედ გასულ თვეებში მოხდა.**

რაც შეეხება ოპოზიციას, ზაფხულის მიუხედავად, გაჩერებას არ აპირებს.

რვიანიდან ორი პარტიის — მემარჯვენეებისა და ქრისტიან-დემოკრატების — გასვლის შემდეგ, ექვსიანად გადაკეთებული ოპოზიციური ერთობა ქალაქ-ქალაქ, ქუჩა-ქუჩა, რეგიონ-რეგიონ აპირებს შემოვლას და მთელი ქვეყნის მასშტაბით მოსახლეობის ინფორმირებულობას.

როგორც ოპოზიციის ლიდერები აცხადებენ, რეგიონებში ხალხს ინფორმაცია არა აქვს, ადამიანები სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში არიან.

ამ შემთხვევაში ექვსიანის ამოცანაა მოსახლეობის ინფორმირებულობა, რას ითხოვს ექვსიანი.

ექვსიანის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ თუ მათ დასჭირდათ, კონკრეტული მოთხოვნით ქუჩის აქციებსაც მიმართავენ.

ალასანია პირობას დებს, რომ მათი აქციები აუცილებლად იქნება შედეგიანი. როგორც ის აცხადებს, აქციაზე ადამიანები შეიკრიბებიან ერთადერთი მოთხოვნით, რომ ქვეყანაში სამართლიანი არჩევნები ჩატარდეს.

კონსერვატორების ლიდერის ზვიად ძიძიგურის განცხადებით, არჩევნების დღეს ექვსიანმა უნდა შეძლოს ერთი მილიონი ადამიანის გამოყვანა.

ექსპერტების განცხადებით, სწორედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები გადაწყვეტს ჩვენი ქვეყნის მომავალს. როგორ, რა გზით წავა საქართველო.

ექვსიანის ლიდერები არ გამორიცხავენ, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ ექვსიანი საარჩევნო ბლოკად გადაკეთდეს. თუმცა, გაუგებარია, სხვადასხვა პოლიტიკური წასრულის, გემოვნებისა თუ პლატფორმის პარტიები, როგორ შეძლებენ გაერთიანებას. თუმცა, ახლა ოპოზიცას სხვა შანსი არა აქვს. თუ ერთიანი ბლოკით წარდგება არჩევნებზე, მაშინ ის უფრო მეტი პროცენტის აღებას შეძლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჭრელ ოპოზიციაში ამომრჩეველი შეიძლება დაიბნეს და არჩევანის გაკეთება გაუჭირდეს.

ექვსიანის ამოცანა არის საპარლამენტო უმრავლესობის მოპოვება. თუმცა, ეს რომ არ იქნება მარტივი მისაღწევი, ეს ოპოზიციის ლიდერებისთვის ნაცნობი საკითხი უნდა იყოს.

ახალი საარჩევნო კოდექსის საფუძველზე პარლამენტართა რაოდენობა იზრდება. მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატთა რაოდენობა რეფერენდუმის გზით შემცირდა.

კონსერვატორების ლიდერის ზვიად ძიძიგურის მტკიცებით, დეპუტატების რაოდენობის გაზრდა პარლამენტში მათ ხელისუფლებამ შესთავაზა.

ძიძიგური აცხადებს, რომ მაშინ ჯერ კიდევ რვიანი იყო და აღნიშნულ წინადადებაზე რვიანმა მაშინვე უარი თქვა. თუმცა, მოგვიანებით დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას დათანხმდნენ მემარჯვენეები და ქრისტიან-დემოკარტები.

პრეზიდენტის განცხადებით, დეპუტატების რაოდენობის გაზრდა კი ოპოზიციის ინიციატივა იყო.

მიხეილ სააკაშვილმა პოლონელი ჟურნალისტის კითხვის პასუხად, რამდენად მოსწონს მას დეპუტატთა რაოდენობის გაზრდა, უპასუხა, რომ მას ეს არ მოსწონს, მაგრამ ეს ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო.

— ოპოზიციის მოთხოვნით ჩვენ დავთანხმდით იმას, რაც პირადად მე მაინცდამაინც გულზე არ მეხატება. ეს საკითხი დეპუტატთა რაოდენობის გაზრდას შეეხება. არ მომწონს ეს ფაქტი, მაგრამ საარჩევნო სისტემის შეცვლა ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა იყო, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტ სააკაშვილის ამ განცხადებას ცილისწამებას უწოდებს ძიძიგური. თუმცა, ის ამბობს, რომ ეს იყო კომპრომისი მისი მხრიდან, რათა ისეთი საარჩევნო სისტემა ყოფილიყო, რომ არჩევნებში მონაწილეთა რეზულტატი იყოს ლეგიტიმური.

როგორ შეიძლება მოვლენები განვითარდეს, რამდენად შეძლებს ექვსიანი არჩევნებზე წარმატების მოპოვებას, ეს არჩევნების შემდეგ გახდება ცნობილი.

რაც შეეხება რადიკალურად განწყობილ ოპოზიციას, თუ კახა კუკავას დავუჯერებთ, რადიკალურ ფრონტზე მყოფი ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს და შეურიგებელი ბრძოლა უნდა დაიწყოს. თუმცა, კუკავა ხალხის დახმარებაზეც საუბრობს.

კუკავა ასევე აცხადებს, რომ ყველა რადიკალურად განწყობილი ოპოზიციონერი თუ პარტია მის პარტიაში თავისუფალ საქართველოში უნდა გაწევრიანდეს.

რამდენად შეძლებს ამის მიღწევას კახა კუკავა, რთული მისახვედრი არ არის.

ნინო ბურჯანაძე და ირაკლი ოქრუაშვილი დამოუკიდებლად აპირებენ ბრძოლის გაგრძელებას თუ მანამდე ოქრუაშვილს პარტია არ დაეშალა.

რაც შეეხება ნინო ბურჯანაძეს, 26 მაისის ღამის მოვლენებმა, შეიძლება ითქვას, მისი ლუსტრირება მოახდინა.

აქციებზე ბურჯანაძე ხალხს ეპატიჟებოდა, მეტიც, ქართველებზე გაბრაზებულიც კი იყო და ამ წყრომას პირდაპირ ეთერშიც არ მალავდა.

პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომლისთვისაც 7 ნოემბერი მიუღებელი იყო, მაისის აქციებზე ქუდზე კაცს ეპატიჟებოდა. მიუხედავად იმისა, მოქმედების გეგმა არ არსებობდა.

26 მაისის ღამეს მან ვერ მოახერხა აქციაზე მისული ხალხის დაცვა და მთელი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დააკისრა.

ამბობენ, რომ ბურჯანაძემ საკუთარი თანაპარტიელებიც კი ვერ დაიცვა, 30 დღიანი პატიმრობის და ჯარიმის გადახდა მათ თავად მოუწიათ.

საავადმყოფოში მოხვედრილი დაზარალებული ადამიანები აცხადებდნენ, რომ ისინი თავიანთი ხარჯებით მკურნალობდნენ.

რატომ არ დაიცვა ან ვერ დაიცვა ეს ადამიანები ნინო ბურჯანაძემ, მაშინ როდესაც მან 7 ნოემბერს შეძლო სიტუაციის განმუხტვა, პარლამენტის კარის გაღება და დაზარალებული ხალხის პარლამენტის შენობაში შეფარება.

რადიკალურად განწყობილი ოპოზიცია, როგორც კუკავა აცხადებს, ბრძოლის გაგრძელებას აპირებს. თუმცა, რა შედეგის მიღწევას შეძლებს, ამას დრო გვიჩვენებს.

# ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევაში ბრალდებული პირები დამნაშავედ ცნო

**ქუთაისის საქალაქო სასამართლომ პირველად დაადგინა განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც სახელმწიფო შესყიდვების წესის დარღვევას ეხება.**

**სასამართლოს 2011 წლის 11 აგვისტოს განაჩენით დამნაშავედ იქნენ ცნობილი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის მუნიციპალური შესყიდვების განყოფილების უფროსი იმედა ბოკელავაძე და სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის წესის დარღვევაში ბრალდებული მეწარმეები მამუკა ბერელიძე და დევისი ხარბედია.**



სასამართლომ საქმის განხილვის დროს დადგენილად მიიჩნია, რომ 2011 წლის 15 იანვარს წყალტუბოს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ელექტრონული ტენდერი ორი ნაგავმზიდი ავტომანქანიის შესყიდვაზე, საერთო ღირებულებით 60.000 ლარი.

იმედა ბოკელავაძემ გამოიჩინა მიკერძოებულობა და მეგობარ ინდ. მეწარმე მამუკა ბერელიძეს გაუწია კონსულტაცია და მიაწოდა სრული ინფორმაცია ტენდერის შესახებ.

გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში წინადადება შეიტანა ორმა მსურველმა - დევისი ხარბედიამ და მამუკა ბერელიძემ. იმედა ბოკელავაძემ განიზრახა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, უპირატესობა მიენიჭებინა მეგობარ მამუკა ბერელიძისათვის და შეექმნა პირობები ამ უკანასკნელისათვის 60.000 ლარის მისაღებად. განზრახვის განსახორციელებლად იმედა ბოკელავაძემ, როგორც კომისიის აპარატის წევრმა და სხდომის მდივანმა, გადაწყვიტა კომისიაზე მოეხდინა ზეგავლენა და პრეტენდენტების დისკვალიფიკაციით დაესრულებინა ტენდერი, რასაც მიაღწია კიდეც. ამის შემდეგ გამოცხადდა განმეორდებითი ტენდერი.

მამუკა ბერელიძე დაუკავშირდა დევისი ხარბედიას და გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ შესთავაზა უარი ეთქვა ხელახლა გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღებაზე. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ორივე პრეტედენტი კანონით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის ბრძანების შესაბამისად გაფრთხილებულები იყვნენ არ ეწარმოებინათ კერძო მოლაპარაკებები კონკურენტებს შორის სატენდერო პირობების ფასზე და სხვა დეტალებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგებოდა მათი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, მათი მოლაპარაკების საფუძველზე დ.ხარბედიამ აღარ მიიღო მონაწილეობა, ხოლო მამუკა ბერელიძე უკონკურენტოდ გამოცხადდა ტენდერში გამარჯვებულად და 60.000 ლარზე გაუფორმდა ხელშეკრულება, რამაც შემსყიდველი ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ზემოაღნიშნული ქმედებებისთვის იმედა ბოკელავაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა 2 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

მამუკა ბერელიძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 24, 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და $195^1$ მუხლის პირველი ნაწილით და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის სახით განესაზღვრა 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა;

დევისი ხარბედია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის $195^1$ მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახით განესაზღვრა 1 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა

# 6 აგვისტოდან აგრილდება

სინოპტიკოსები საქართველოში აგრილებას 6 აგვისტოდან ელოდებიან.

როგორც „მედიანიუსს“ გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, ქვეყნის დასავლეთიდან შემოჭრილი ცივი ჰაერის მასების გავლენით, დასავლეთ საქართველოში ტემპერატურამ დღეს უკვე 3 გრადუსით დაიკლო, თბილი ჰაერის მასებმა კი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოინაცვლა, რის გამოც ქვეყნის ამ ტერიტორიაზე მომდევნო რამდენიმე დღე კვლავ მაღალი ტემპერატურა შენარჩუნდება.

გუშინ თბილისში ისევ საკმაოდ ცხელა. ტემპერატურა თითქმის 40 გრადუსია.

სინოპტიკოსების ცნობით, მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა ელჭექით. აღმოსავლეთ საქართველოში ტემპერატურა 4 აგვისტოდან დაიკლებს, 6 აგვისტოდან კი ზოგიერთ რაიონში ნავარაუდევია ხანმოკლე წვიმა ელჭექით.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, აგვისტოს პირველი და მესამე დეკადა შედარებით ნალექიანი იქნება, ვიდრე მეორე დეკადა.

**მედიანიუსი**

# დღეს თბილისის ანძას ელექტრონულ აუქციონზე გაიტანენ

დღეს შპს „ალფაკომის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 100-პროცენტიანი წილის მართვის უფლებით გადაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონი გაიმართება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაციით, მისი საწყისი გასაყიდი ფასია 100 000 ლარი. ობიექტის დებიტორული დავალიანება 6 988 202, ხოლო კრედიტორული დავალიანება 2 917 158 ლარია. მისი 100-პროცენტიანი წილი 4 წლით მართვის უფლებით გაიცემა.

შპს „ალფაკომი“ საქართველოს ტელერადიოცენტრს რამდენიმე თვის წინათ ეწოდა. მის შემადგენლობაში 35 სატელევიზიო და 34 რაიოდარხი შედის. მის შემადგენლობაში არსებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ობიექტი თბილისის ანძაა. ობიექტის საპრივატიზაციოდ გატანას ოპოზიციის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების ნაწილი ეწინააღმდეგება. მათი მოსაზრებით, ხელისუფლებას ობიექტის გასხვისება მედიის საქმიანობის შეზღუდვისა და მასზე ზეწოლისათვის სჭირდება. ისინი პრივატიზების შეჩერებასა და მისი პირობების გასაჯაროებას ითხოვენ.

**მედიანიუსი**

# რატომ დაიწყო საარჩევნო კამპანია ანქვაბმა გალიდან

**დასაწყისი მე-3 გვერდზე**

— მშობლებს სურთ, მათმა შვილებმა კარგად იცოდნენ რუსული და აფხაზური, რათა შეძლონ რუსეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება, — განაცხადა ანქვაბმა.

ექსპერტთა კლუბს ანქვაბის ეს ინიციატივა ძალიან არ მოეწონა. მათ აშფოთებთ ის, რომ გალში ქართველი ბავშვები ქართულად ვერ ისწავლიან.

— გალის რაიონი ძირითადად დასახლებულია ქართველებით, რომლებსაც წლების განმავლობაში ექმნებათ პრობლემები მშობლიურ ენაზე სწავლებასთან დაკავშირებით. არაერთხელ შევარდნილან რუსი ოკუპანტები მათთან სკოლაში და დაურბევიათ. ასევე აფხაზური ბანდფორმირებები ატერორებდნენ პედაგოგებს იმის გამო, რომ ისინი ქართულ ენაზე ასწავლიდნენ და ამჟამადაც პრობლემა გადაუწყვეტელი რჩება. ზოგიერთი პედაგოგი აღნიშნავს, რომ, მართალია, ისინი კი ასწავლიან ბავშვებს ქართულად, მაგრამ, თუ ვინმე გარეშე ესწრება გაკვეთილს, იძულებული ხდებიან, რუსულ ენაზე გააგრძელონ საუბარი. რა არის ეს, თუ არა ოკუპირებული რეგიონის რუსიფიკაციის გაგრძელება? — მიაჩნიათ ქართველ ექსპერტებს.

იმ შეხვედრაზე ანქვაბმა კიდევ ბევრი რამე თქვა. გალელებს ბევრი რამე მოეწონათ, ბევრიც — არა. თუმცა, როგორც იქაურები ამბობენ, მთლიანობაში შეხვედრით ყველა კმაყოფილი დარჩა. აქაურებს ჯერ კიდევ ახსოვთ, როგორ იქცეოდა ანქვაბი ომის დროს. ამასთან, იციან, რომ ანქვაბი საქართველოსკენ არ შემოტრიალდება. მაგრამ, ისიც იციან, რომ არჩევანი გასაკეთებელია. სამწუხაროდ, არჩევანის გაკეთება მათ ცუდსა და უარესს შორის მიუწევთ.

ეს ანქვაბმაც იცის. იცის და ამიტომაც დაიწყო თავისი საარჩევნო კამპანია გალიდან.

# ქუთაისის საქალაქო სასამართლომ ქურდობაში ბრალდებული გაამართლა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 28 ივლისის განაჩენით, გრიგოლ იაკოვლევს ქურდობის ბრალდება მოეხსნა. ბრალდებულს გამოძიება ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩის 22 ნომერი საცხოვრებელი ბინის ლიფტის გაქურდვას ედავებოდა. ელექტროკარადის სპილენძის დეტალები ბრალდებულის საცხოვრებელ ბინაში იქნა აღმოჩენილი.

გრიგოლ იაკოვლევმა თავისი ჩვენებით ახსნა, რომ აღნიშნული ლითონის ნაწილებიმან აღმაშენებლის ქუჩაზე იპოვა. პოლიეთილენის პარკში მოთავსებული სხვადასხვა დასახელების დეტალები იაკოვლევმა ჯართის მიმღებ პუნქტში ჩასაბარებლად აიღო. მოწმის სახით დაკითხულმა შპს „რაკკსლიფტის“ ელექტრომექანიკოსმა დაადასტურა, რომ ბრალდებულის ბინიდან ამოღებულ ნივთებს ლიფტის ფუნქციონირების გარდა სხვა დანიშნულება არ გააჩნია. ამასთან, აღნიშნული დეტალების დიდ ნაწილს დაკარგული აქვს თავისი ფუნქცია და ფაქტობრივად, ნარჩენებს წარმოადგენს.

საქმეში არსებულ მოწმეთა ჩვენებებსა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ ბრალდებულის ჩვენება სარწმუნოდ მიიჩნია და მას ქურდობაზე წარდგენილი ბრალი მოუხსნა.

## თეთრმა სახლმა და რესპუბლიკელებმა სახელმწიფო ვალზე პროგრესს მიაღწიეს

აშშ-ის თეთრმა სახლმა და რესპუბლიკურმა პარტიამ ქვეყნის სახელმწიფო ვალის გაზრდაზე მიმდინარე მოლაპარაკებებზე პროგრესს მიაღწიეს. როგორც ჟურნალისტებს მთავრობის წარმომადგენელმა განუცხადა, მხარეებმა განიხილეს გეგმა, რომელიც სახელმწიფო ვალის ზღვრული „ჭერის“ — 2,4 ტრილიონ აშშ დოლარამდე გაზრდას ითვალისწინებს. პროექტი ასევე გულისხმობს ბიუჯეტის ხარჯების მასშტაბურ შემცირებას, რომელიც ორ ეტაპად განხორციელდება. სხვა დეტალები ჯერ-ჯერობით არ კონკრეტდება.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის კონგრესსა და თეთრ სახლს სამ დღეზე ნაკლები რჩებათ იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიერ აღებული სესხების რაოდენობის შემდგომ ზრდაზე შეთანხმებას მიაღწიონ. 2010 წლის თებერვლაში მისი რაოდენობა 14,29 ტრილიონით განისაზღვრა. თუ აშშ სახელმწიფო ვალს არ გაზრდის, მას დეფოლტი ემუქრება.

**მედიანიუსი**

## აშშ-ის სენატმა საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო

აშშ-ის სენატმა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერი რეზოლუცია მიიღო.

რეზოლუციაში სენატი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს „რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ“ რეგიონებად მოიხსენიებს. რეზოლუცია ადასტურებს, რომ საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის და ტერიტორიული მთლიანობის და საზღვრების ურღვევობისადმი მხარდაჭერა, ასევე აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებად აღიარება შეერთებული შტატების პოლიტიკის ნაწილია“.

აშშ-ს სენატი მოუწოდებს მოსკოვს, ცხინვალს და სოხუმს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირებს და საერთაშორისო მისიებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სრული და ღირსეული დაბრუნების საშუალება მისცენ.

— სენატი მხარს უჭერს მშვიდობიან, კონსტრუქციულ ჩართულობას და ნდობის აღდგენის ღონისძიებებს საქართელოს ხელისუფლებასა და სამხრეთ ოსეთის და აფხაზეთის მაკონტროლებელ ძალაუფლებებს შორის და ხალხთა შორის დამატებითი კონტაქტებისკენ მოუწოდებს. სენატი ადასტურებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება კავკასიის რეგიონში ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი პრიორიტეტია და რომ ხანგრძლივი რეგიონალური სტაბილურობის მიღწევა მხოლოდ მშვიდობიანი და მხარეებს შორის გრძელვადიანი დიპლომატიური და პოლიტიკური დიალოგის გზითაა შესაძლებელი, — ნათქვამია სენატის რეზოლუციაში.

ცნობისთვის: აღნიშნული რეზოლუცია დემოკრატმა სენატორმა ჯინ შაჰინმა და რესპუბლიკელმა სენატორმა ლინდსი გრეჰემმა წარადგინეს.

**მედიანიუსი**

## საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთს გვერდით უნდა დაუდგნენ

„საქართველოსა და აზერბაიჯანს უკვე მრავალი წელია, რაც მეგობრული ურთიერთობები აკავშირებთ. ჩვენი მეგობრობას დიდი ისტორია აქვს და მან დროის სერიოზულ გამოცდას გაუძლო“, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა აზერბაიჯანულ ჟურნალ „ბიზნეს იართან“ საუბარში განაცხადა.



მისი თქმით, საქართველო და აზერბაიჯანი ერთმანეთს გვერდით უნდა დაუდგნენ და გადაწყვეტილებები გეოგრაფიული მდგომარეობისა და საერთო ისტორიის გათვალისწინებით მიიღონ.

— ჩვენ საერთო შეხედულებებს ვიზიარებთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ ერთიანობით, კარგი ურთიერთობებით ჩვენი ქვეყნები უკეთესი მომავლის შექმნას შეძლებენ, — განაცხადა სააკაშვილმა და დასძინა, რომ აზერბაიჯანსა და საქართველოს აწუხებს მოუგვარებელი კონფლიქტების საკითხი.

— ყველა ოპონენტი აზერბაიჯანისა და საქართველოსი, ორივე ქვეყნის სახელმწიფოს მტერია. ჩვენი ძალა ერთობაშია. ეს (ერთობა) მხოლოდ სიტყვა არ არის, ეს რეალობაა, — განაცხადა მან და 2008 წელი გაიხსენა, როდესაც აზერბაიჯანმა საქართველოს გაზმომარაგების თვალსაზრისით დახმარება აღმოუჩინა.

— აზერბაიჯანმა ქართველ ხალხს იმ ცივ ზამთარში დახმარება გაუწია იმის მიუხედავად, რომ საკუთარი მოსახლეობისთვის მოუხდა გაზის მიწოდების შემცირება. საქართველო აზერბაიჯანის ამ დახმარებას არასოდებს დაივიწყებს. ეს არის ჩვენი ძმობის სიმბოლო, — აღნიშნა პრეზიდენტმა.

**მედიანიუსი**

## საიათნოვას სომხური ლექსების ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა

ეროვნულ ბიბლიოთეკაში საიათნოვას სომხური ლექსების ქართული თარგმანის პრეზენტაცია გაიმართა.

ლექსები ცნობილმა პოეტმა და მწერალმა გივი შაჰნაზარმა თარგმნა. კრებულში მეთვრამეტე საუკუნის გენიალური პოეტის 40-მდე ლექსია შესული, რომელთა უმეტესობა მკითხველისთვის უცნობია. კრებული გამომცემლობა „ჰაიარტუნში“ დაიბეჭდა.

**პირველი**

# *ნინო ბურჯანაძე:* გადაწყვეტილებების დროა



**ევროპარლამენტის გამომცემლობამ „www.theparliament.com“, რომელიც ევროკავშირის ქვეყნებში დიდი გავლენით სარგებლობს, გამოაქვეყნა საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის წერილი.**

გადაწყვეტილებების დროაევროკავშირმა უნდა დაინახოს რეალობა და დაგვეხმაროს საქართველოში დემოკრატიის უზრუნველსაყოფად, — აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ევროპის მიმდიბარე ტერიტორიაზე სტაბილურობის და კეთილდღეობის ზონის ჩამოყალიბება ევროკავშირის სასიცოცხლო ინტერესებში შედის. გრძელვადიანი და მდგრადი სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება შესაძლებელია მხოლოდ აღმოსავლეთ ევროპაში, ახლო აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობით. ევროპამ უნდა მტკიცედ მოითხოვოს ჭეშმარიტად დემოკრატიული ცვლილებები, არ დახუჭოს თვალი ადამიანის უფლებათა დარღვევებზე და ნებისმიერი დახმარება მიბმული უნდა იყოს დემოკრატიზაციის პირობაზე.

ამ მიმართებაში, მინდა გავიხსენო ევროკავშირის კომისრის ფულეს სიტყვები ტუნისსა და ეგვიპტეში განვითარებული მოვლენების შემდგომ: „ევროპა მტკიცედ არ იცავდა ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ძალებს ახლო აღმოსავლეთის რეგიონში. ბევრი ჩვენგანი ფიქრობდა რომ არსებული ავტორიტარული რეჟიმები რეგიონში სტაბილურობის გარანტიას წარმოადგენდნენ. ეს პრაგმატული პოლიტიკაც არ აღმოჩნდა. ეს იყო საუკეთესო შემთხვევაში, ახლომხედველობა. სწორედ ამ ახლომხედველობის გამოა ზუსტად რთული მდგრადი სტაბულურობის მიღწევა“.

დემოკრატიულ ქვეყნებში, ბევრი ადამიანისთვის რთულია დაინახოს რეალობა საქართველოში არსებული ვითომ-და დემოკრატიული ინტიტუტების ფასადის მიღმა. ჩვენს რეალობას დღეს სამწუხაროდ ყველაზე მეტად მიესადაგება საუკუნეების წინ, შარლ დე მონტესკიუს მიერ ნათქვამი სიტყვები: „ყველაზე სასტიკი სწორედ ის ტირანიაა, რომელიც თითქოს კანონის და სამართლის სახელით მოქმედებს“. ზუსტად ამ ფასადის შესაქმნელად საქართველოს ხელისუფლება იყენებს უზარმაზარ ფინანსურ რესურსებს ქვეყნის გარეთა თუ შიგნით. მილიონები იხარჯება სხვადასხვა ლობისტურ თუ ზღ კომპანიებზე დასავლეთში ხელისუფლებისთვის დემოკრატიული იმიჯის შესაქმნელად და დასავლელი პარტნიორებისა და მეგობრებისგან რეალური ოპოზოციის იზოლირების მისაღწევად.

დემოკრატიული ინსტიტუტების ფასადის მიღმა, ხელისუფლება უგულებელყოფს ქართული საზოგადოების მოთხოვნას ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისა, უარს ამბობს ჩაატაროს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. ხელისუფლებამ სრულად დაიქვემდებარა სასამართლო და მედია, ჩამოაყალიბა პოლიტიკური პოლიცია, დაშანტაჟა ბიზნესი. უკანონო და უსაფუძვლო დამატიმრებებმა, უკანონო მოსმენებმა, პოლიტიკური პოლიციის მიერ ღიად განხორციელებულმა ფიზიკურმა და ფსიქოლოგიურმა ტერორმა, პოლიტიკური ოპონენტების, მათი ოჯახისწევრების, ახლობლების და პარტიული აქტივისტების დაშანტაჟება-დაშინებამ რეგულარული სახე მიიღო. განსაკუთრებით 26 მაისს ხელისუფლების მიერ სასტიკი და უსაფუძვლო ძალის გამოყენების შემდეგ ავტორიტარულმა რეჟიმმა დიდი ნაბიჯი გადადგა დიქტატურისკენ.

ჩვენ გვსურს ევროკავშირის დახმარება ცვლილებებისთვის თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარების მიზნით, მაგრამ ჩვენკარგად გვესმის, რომ სიმბოლური ცვლილებები სარჩევნო კანონმდებლობაში სამართლიანი საარჩევნო გარემოს მხოლოდ მცირე ნაწილს წარმოადგენს. 2010 წლის ადგილობრივი არჩევნები ამის დასატურებას წარმოადგენს. ეუთოს სადამკვირებლო მისიის არცერთი შენიშვნა და წინადადება დარღვევებთან დაკავშირებით არ არის გათვალისწინებული. 10 თვიანი საარჩევნო კოდექსის გასაუმჯობესებლად ე.წ. კონსტრუქციული ოპოზიციის ნაწილისა და ხელისუფლების ე.წ. დიალოგის შედეგები ზუსტად ისეთი უშედეგო აღმოჩნდა როგორსაც მე ვვარაუდობდი. ჩვენ მოვუწოდებთ ევროკავშირს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ შეუძლებელია თავისუფალი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, როდესაც პოლიტიკური პარტიები და მთლიანად საზოგადოება შეზღუდულია მკაცრად კონტროლირებადი და ვირტუალური „დემოკრატიის“ პირობებში, სადაც პოლიცია და სასამართლო ხელისუფლება პოლიტიზირებულია, სადაც თითქმის არ არსებობს თავისუფალი მედია, სადაც მიმდინარეობს პოლიტიკური ოპონენტების დევნა და ბიზნეს ტერორი.

ჩვენ ვითხოვთ ევროკავშირმა ყურადღება მიაქციოს საქართველოში არსებულ რეალობას და ხელისუფლების მიერ ხალხის კონსტიტუციური უფლებების უგულებელყოფას. ჩვენ გვსურს ევროკავშირმა გამოიყენოს იგივე ღირებულებები საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის შეფასებისას, როგორიც გამოყენებულ უნდა იქნას ევროკავშირის დემოკრატიული სტანდარტებიდან გამომდინარე. საქართველოს მოსახლეობას სურს ევროკავშირთან რეალურად საერთო ფასეულობები აკავშირებდეს.

**www.theparliament.com**

# მართლაც დგას თუ არა რუსეთი თბილისში მომხდარი ტერაქტების უკან

***საქართველოში მომხდარ ტერაქტებს ჩვენი ხელისუფლება რუსეთს აბრალებს. ჩვენი ხელისუფლების გარდა, ამ თემაზე ავტორიტეტული უცხოური გამოცემებიც ალაპარაკდნენ. ამასთან დაკავშირებით სტატია გამოქვეყნდა გამოცემა „ვაშინგტონ თაიმსში“. ამ თემას გამოცემა „EURASIANET“ ეხმაურება. სტატიის ავტორი ჯოშუა კუცერა გახლავთ. სტატიის თარგმანს „ფორეიგნპრესი“ აქვეყნებს.***



ამ კვირის დასწყისში „ვაშინგტონ თაიმსმა“ გვაუწყა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დაადგინა, რომ ადამიანი, რომელიც თბილისში ამერიკის საელჩოსთან მომხდარი აფეთქების უკან იდგა, რუსეთის მოქალაქეა. ცნობას ერთგვარი სკეფსისით შეხვდნენ, მათ შორის თავად ბლოგის ავტორიც, რადგან ის მხოლოდ ქართულ წყაროს ეყრდნობოდა, რომელსაც ახასიათებს, რბილად რომ ვთქვათ, ჯერ რუსეთის დადანაშაულება, და მხოლოდ ამის შემდეგ საქმის გარკვევა.

მაგრამ გამოცემა ამ თემას კვლავ დაუბრუნდა და გვაცნობა, რომ აშშ-ს დაზვერვის უწყების ანგარიში ქართულ ვერსიას ადასტურებს:

22 სექტემბრის ინციდენტთან დაკავშირებული გრიფით საიდუმლო ანგარიშის შესახებ გამოცემას იმ ორმა ამერიკელმა ჩინოვნიკმა უამბო, რომლებსაც დოკუმენტი წაკითხული აქვთ. მათი თქმით, ანგარიში ადასტურებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვერსიას, რომლის თანახმადაც აფეთქებების კვალი რუსეთის სამხედრო დაზვერვის ოფიცერთან მიდის.

— დოკუმენტში ეს პირდაპირ და ღიად წერია და ადასტურებს ქართული მხარის დასკვნებს,— განაცხადა ერთმა ამერიკელმა ჩინოვნიკმა, რომელიც ამერიკული დაზვერვის ანგარიშს იცნობს.

ამ ჩინოვნიკმა დასძინა, რომ დოკუმენტში განსაკუთრებულადაა აღნიშნული ის, რომ რუსეთის სამხედრო დაზვერვა ან „გრუ“, აფეთქებების კოორდინატორი იყო.

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა თავდასხმასთან დაკავშირებით რუსეთის საგარეოპოლიტიკურ უწყებას განმარტება მოსთხოვა:

— ეს მოვლენები — აფეთქება საელჩოსთან და მასთან დაკავშირებული სხვა აფეთქებები ძალიან მაღალ დონეზე იქნა განხილული რუსებთან, ასევე ქართულ მხარესთან, — განაცხადა ადმინისტრაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა. — მთავარია არა ვინმეს დადანაშაულება, არამედ ის, რომ გამოვთქვათ ჩვენი ღრმა შეშფოთება.

დღეს უკვე ამერიკის დაზვერვის ანგარიშებს უცოდველი დოკუმენტების რეპუტაცია აღარ აქვს (იხ. ერაყში მასობრივი განადგურების იარაღთან დაკავშირებული თემა), მაგრამ აღნიშნული ბრალდება, ყველაზე ცოტა, ძალიან სერიოზულ მიდგომას იმსახურებს. თუკი ვივარაუდებთ, რომ დაზვერვის დოკუმენტი სანდოა, ჩნდება უამრავი კითხვა, რომელსაც Washington Times არ პასუხობს, კერძოდ: რა დონეზე იყო ეს ყველაფერი შეთანხმებული? მოქმედებდა თუ არა ეს აგენტი ვინმეს ინტერესებში? თუ ვილაცის ინტერესებში მთელი სტრუქტურა მოქმედებდა? (რადგან, ხომ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ სპეცსამსახურები დაინტერესებულნი არიან რუსულ-ამერიკული ურთიერთობების გაჯანსაღების პროცესის ჩაშლით). ხომ არ იყო ეს კრემლის ბრძანება? რა მიზანი ჰქონდა საელჩოზე თავდასხმას? თუკი აფეთქების მოწყობა სურდათ, რატომ გააკეთეს ეს ასე არადამაჯერებლად, აშკარად ცდილობდნენ რა კვალის წაშლას? და რატომ საქართველოში? ამერიკის დაზვერვის ის თანამშრომლები, რომლებსაც დამატებით ინფორმაციის გაზიარება სურთ, ვთხოვ, ამ ელექტრონულ მისამართზე დამიკავშირდნენ!

**EURASIANET**

შედით საიტზე atb.ge

# რა კითხვები აქვს ცაგარეიშვილს ქობალიასთან

**ახალი საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის" პარლამენტში ორშაბათს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრ ვერა ქობალიას იბარებს. მინისტრის პარლამენტში დაბარების მიზეზი ანძის გასხვისებას უკავშირდება. ეს ფრაქციის პირველი სხდომა იქნება, რომელზეც მინისტრია დაბარებული. რატომ ასხვისებს ხელისუფლება ანძას?**



ნანა მიშელაშვილი

ფრაქციის თავმჯდომარის გიორგი ცაგარეიშვილის განცხადებით, ეკონომიკის სამინისტრომ აბსოლუტურად შეგნებულად საქართველოს ტელე-რადიო ცენტს „ალფაკომი" მხოლოდ იმიტომ დაარქვა, რომ მოსახლეობა შეცდომაში შეეყვანა და მისი გასხვისება მოეხდინა. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, ხელისუფლება არ ელოდებოდა ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსების მხრიდან ანძის გასხვისებაზე ასეთ რეაქციას.

— ვერაფრით ვერ დაადგინა საზოგადოებამ რატომ შეეცვალა სახელი ამ იურიდიულ პირს, რომლის დამფუძნებელი არის სახელმწიფო და დაერქვა „ალფაკომი". ვერ ვხვდები „ალფაკომი" უფრო მოზიდავს ინვესტორებს? შპს ნარგიზა რომ ყოფილიყო ან შპს ჟუჟუნა უფრო გაიყიდებოდა? ამ კითხვას, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით ვსვამ, თუმცა, თვალში საცემია ის, რომ საზოგადოების შეცდომაში შეყვანისთვის არის ეს გაკეთებული როცა სახელი შეუცვალეს, — ასეთია გიორგი ცაგარეიშვილის პოზიცია.

ფრაქციის თავმჯდომარე ამბობს, რომ საპრივატიზაციო განაცხადი ისეა გაკეთებული, რომ ვერ გაიგებ რა იყიდება, ის საწარმო, რომლის გამგებლობაშია სარელეო ხაზები, ანძები არა მარტო თბილისში, არამედ ყველგან, თუ იყიდება რესტორნებისა და სამიკიტნოების ქსელი. ცაგარეიშვილის ხელთ არსებული მონაცემებით, „ალფაკომი" ექსპლუატაციას უწევს 36 ანძას, მათ შორის თბილისში ფუნიკულიორის ანძას, ემსახურება 30-ზე მეტ რადიოს საქართველოს მასშტაბით და 16 ტელევიზიას. ცაგარეიშვილის თქმით, იყიდება 358 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი და 91 შენობა-ნაგებობა.

— სამინისტროს ვებ-გვერდიდან ჩანს, ობიექტის მართვის უფლებით გადაცემის მომენტიდან 4 წლის მანძილზე პროფილი შენარჩუნებული უნდა იყოს, თუმცა, შენობა-ნაგებობას რა პროფილი აქვს, ვერ გაიგებ, რადგან არ ჩანს, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ფრაქციის თავმჯდომარე კიდევ ერთ საკითხზე საუბრობს, რაც აუქციონის ჩატარების დროს უკავშირდება. ცაგარეიშვილის თქმით, თითქმის ყველა აუქციონი ერთ თვემდე გრძელდება, ეს აუქციონი კი 2 კვირაში ჩატარდება.

დეპუტატის ხელთ არსებული ინფორმაციით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისთანავე ანძის მართვის უფლების მიღებაზე მხოლოდ ერთმა კომპანიამ გამოხატა სურვილი, რომლის უკანაც სავარაუდოდ, ხელისუფლების გუნდის წარმომადგენლები დგანან.

ცაგარეიშვილი პარასკევს დაუკავშირდა მთავრობის საპარლამენტო მდივნის მოადგილეს და სთხოვა აცნობოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრს ვერა ქობალიას, რომ 1 აგვისტოს ფრაქციის სხდომაზეა დაბარებული, სადაც ანძის გასხვისების საკითხზე საჯარო განხილვა მოეწყობა.

ახალი საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარემ ეკონომიკის მინისტრს მოუწოდა, იმ შემთხვევაში თუ თავად ვერ მოახერხებს პარლამენტში მისვლას, მოადგილე ან აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირი გამოაგზავნოს და არა დარაჯი ან დამლაგებელი.

„ერთობა სამართლიანობისთვის" თავმჯდომარე პოლიტიკურ განცხადებასაც აკეთებს. ის დარწმუნებულია, რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის თბილისის ანძიდან პრეზიდენტი სააკაშვილი ყველა არასასურველი ტელე და რადიო კომპანიებს გაათიშვინებს.

—საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ხელისუფლება სრულიად შეგნებულად თბილისის ანძას ასხვისებს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალმა მფლობელმა სააკაშვილის სურვილისამებრ ისეთი გადასახადები დააწესოს, რომლის გადახდას ტელეკომპანიები „კავკასია" და „მაესტრო" და მისთვის არასასურველი რადომაუწყებლები ვერ შეძლებენ, შესაბამისად, თავისუფალი მედიის პრობლემას ამით მოიგვარებს, რაც მისთვის დღემდე გადაულახავი აღმოჩნდა, — აღნიშნა ფრაქციის თავმჯდომარემ.

გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, ერთია „იმედში" შევარდნა და მისი წართმევა კანონიერი მფლობელისთვის და მეორეა, ეკონომიკური, საფინანსო საშუალებებით მედია-საშუალებების „მოხჩობა".

— ეს მეთოდები გადმოღებულია პუტინის რუსეთისგან და კალკირებულია, შეგახსენებთ, რომ ტელეკომპანია ენ-ტევესა და სხვა ტელევიზიების ბედს, როგორ დაისაკუთრა ამ ტელეკომპანიებში ჯერ წილები რუსეთის სახელმწიფომ და შემდეგ გაასხვისა „გაზპრომზე" და ასე შემდეგ. ზუსტად იგივე სცენარი მეორდება აქაც, სახელმწიფო იტყვის, რომ ხელები დამიბანია, მე ეს საწარმო გავყიდე და ვინ არის მისი მყიდველი, არ ვიცით, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ფრაქციის თავმჯდომარის თქმით, აუქციონის ერთ-ერთ პირობებში ისიც დევს, რომ ახალმა მფლობელმა 4 წლის განმავლობაში 12 მილიონი აშშ დოლარი უნდა განახორციელოს ამ საწარმოში.

— ეს 4 წლიანი ვადა ძალიან საინტერესოა, ეს 4 წლიანი ვადა სამ არჩევნებს მოიცავს: საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს. ხელისუფლებას სურს, რომ გარკვეული კონტროლი დააწესოს მედია საშუალებებზე. მარტო 2 ტელევიზიაზე არ არის საუბარი, ტელეკომპანია „კავკასია" სწორედ ანძის გაკონტროლებით შეიძლება მოსპო, ამ დარგის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ზოგიერთი მეუბნება, რომ „მაესტროსაც" შეიძლება იგივე დაემართოს. ამავე დროს 30-ზე მეტი რადიო მაუწყებლობს ამის საშუალებით, - აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ახალ ფრაქციას ვერა ქობალიას პოზიცია აინტერესებს და კითხვებზე პასუხს მისგან და ან მინისტრის მოადგილისგან მოელის.

— კარგი იქნება თუ ასეთ ცივილიზებულ ურთიერთობას დავამყარებთ ახლად შექმნილ ფრაქციასა და უწყებას შორის. ერთ-ერთი წამყვანი კითხვა არის, რატომ გადაერქვა სახელი ტელე-რადიო ცენტს და ეწოდა „ალფაკომი"? ეს უნდა აგვიხსნან. საინვესტიციო მიზიდულობა უფრო მეტი ექნება ახალი სახელის დარქმევით? რატომ ხდება მისი გაყიდვა ზაფხულში? გვაინტერესებს, ეს საწარმო მომგებიანია თუ წამგებიანი? რატომ ყიდის მას სახელმწიფო? ვინც მართავს, ის ვერ მართავს ამ საწარმოს? ეს არის აბსოლუტურად ლეგიტიმური კითხვები, რომელზეც პასუხი გვაინტერესებს, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ფრაქციის სხდომაზე შესაძლოა მინისტრი ან მისი მოადგილე არ მივიდეს. ამის მიზეზი კი შესაძლოა ის გახდეს, რომ ფრაქცია, რომლის თავმჯდომარე გიორგი ცაგარეიშვილია, ჯერ ოფიციალურად დარეგისტრირებული არ არის. ანუ ფრაქცია მაშინ შეიქმნა, როდესაც დეპუტატები საზაფხულო არდადეგებზე იმყოფებიან. ფრაქციის შექმნის შემდეგ ბიუროს სხდომა არ ჩატარებულა და ფრაქციას ბიუროზე რეგისტრაცია არ გაუვლია.

— დაიწყებენ ათასი მიზეზის ძებნას, რომ მინისტრი აქ არ იყო, ფრაქცია დროულად არ დაგვიკავშირდა, თუ ვინმეს ჰგონია, რომ ფრაქცია ჯერ ბიუროს სხდომაზე უნდა დარეგისტრირდეს და შემდეგ მობრძანდნენ ფრაქციის სხდომაზე, ეს არის თითიდან გამოწოვილი მიზეზი. თუ ამ მიზეზის გამო, ან იმის გამო, რომ ფრაქცია ჯერ არ არის დარეგისტრირებული, არ მობრძანდებიან ფრაქციის სხდომაზე, ამას უპატივცემულობად მივიჩნევ ფრაქციისადმი - საპარლამენტო სტრუქტურისადმი. მივიჩნევ, რომ მინისტრი ერიდება დეპუტატების კითხვებზე პასუხის გაცემას, გარწმუნებთ, რომ ამ საკითხზე მინისტრს მაინც მოვიწვევთ, - აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

კულტურა

# მუსიკის სარეკორდო მარათონი მეორე ეტაპზე გადავიდა

ეკა ირემაშვილი

კლასიკური მუსიკის სარეკორდო მარათონი მეორე ეტაპზე გადავიდა. პროექტი, რომელიც მოიცავს მთელ მსოფლიოს, 2012 წლამდეა გაწერილი. საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის სარკეებიან დარბაზში მარათონის პირველი ეტაპის შედეგების განხილვა და მეორე ეტაპის პროგრამის გამოცხადება შედგა.

პრეზენტაციაზე მიწვეული იყვნენ ხელოვნების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ყველა გულშემატკივარი. პროექტის ორგანიზატორებმა თხოვნით მიმართეს ყველას, თავიანთი მცირედი წვლილი შეეტანათ ამ უნიკალური პროექტის განხორციელებაში და მარათონელი ქალბატონის სოლო-კონცერტიც გამართეს.

მსოფლიო რეკორდის დამყარებას კლასიკური მუსიკის სარეკორდო მარათონით ქალბატონი მანონ ყუბანეიშვილი ცდილობს. მისი მიზანია, სოლო კონცერტებით შემოუაროს დედამიწას, ეწვიოს მრავალ ქვეყანას, პოპულარიზაცია გაუწიოს და კლასიკური მუსიკის ჰანგებით ანუგეშოს სტიქიის, ომებისა თუ ეპიდემიების გამო გადაადგილებული, დაჩაგრული ადამიანები.

მარათონის დევიზია ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის ცნობილი გამონათქვამი: „ხელოვნება აერთიანებს ყველას". სარეკორდო რეპერტუარი მოიცავს მსოფლიო კლასიკის 507 ცნობილი კომპოზიტორის 2011 ნაწარმოებს, რომლებიც სარეკორდო მარათონის ავტორმა დიდი რუდუნებით შეარჩია. რეპერტუარში შესულ ნაწარმოებთა რაოდენობა ქრისტეშობიდან დღემდე გასული წლების სიმბოლური რიცხვია.

პირველი ოთხი კონცერტი თებერვალ-მაისში უკვე გაიმართა თბილისში. პროექტის პრეზენტაცია საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში შედგა, შემდეგ კი — სხვადასხვა კულტურულ დაწესებულებაში.

ქართველი მუსიკოსის პირველ ოთხ კონცერტს მედია ფართოდ გამოეხმაურა. იგი ერთდროულად 7 ტელეკომპანიის სასურველი სტუმარი გახდა. ბევრი აღელვა კონცერტმა-რეკვიემმა, რომელიც ტრაგედიაგამოვლილ იაპონიას მიეძღვნა და თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში განხორციელდა. დამსწრე საზოგადოების მოწონება ხვდა წილად ზაქარია ფალიაშვილის დაბადების 140 წლისთავისა და ოქროს მექორწილე 50-წლოვანი ისტორიის მქონე ოჯახებისადმი მიძღვნილ სოლო კონცერტებს, რომლებიც ფალიაშვილის სახლ-მუზეუმსა და ფაზისის საერო აკადემიაში შესრულდა.

ქართველმა პროფესიონალმა პიანისტმა და ვოკალისტმა (სოპრანო) მანონ ყუბანეიშვილმა სოლო კონცერტზე მსოფლიო კლასიკის 5 შედევრი შეასრულა. ეს მარათონი კულტურულ-ჰუმანისტური აქციაა, რომლის მიზანია 2011-12 წლებში დედამიწის გარშემო, მრავალ ქვეყანაში, ფართო საზოგადოების წინაშე, სოლო კონცერტებით გამოსვლა, მსოფლიო კლასიკის — 500 კომპოზიტორის 2011 შედევრის, მათ შორის ქართველ კომპოზიტორთა 700 ნაწარმოების შესრულება, სტიქიით, ომებითა თუ ეპიდემიით დაზარალებულთა და გადაადგილებულთა გამხნევება, გაძლიერება. მარათონის შემადგენელი ნაწილია ახლებური ტურისტული ატლასი — 40 პლაკატი-ენციკლოპედია „ოქროს საწმისის ქვეყანა", რომელიც მასპინძელ საზოგადოებას გააცნობს საქართველოს ბუნებას, ისტორიას, კულტურასა და გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრებას.

მარათონის მეთოდური ხელმძღვანელი□გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნის დებულებით მოქმედი მთავარი კომისია. მისი თავმჯდომარეა კომპოზიტორი, პროფესორი ნოდარ მამისაშვილი. პროექტის ორგანიზატორია საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი და მისი თავმჯდომარე კომპოზიტორი კახა ცაბაძე, ასევე მსოფლიო მიღწევათა და მოგზაურობათა ხელშემწყობი კავშირი „გიორგი", თავმჯდომარე ჟურნალისტი გვანჯი მანია, კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარი დავით მორგოშია, პოეტი და ხელოვნებათმცოდნე სიმონ ჯაფარიძე, რომლებსაც ანალოგიური სარეკორდო მარათონის განხორციელების დიდი გამოცდილება აქვთ.

მარათონის მეგზურად და დირექტორად მოწვეულია გინესის მრავალგზის რეკორდსმენი, მსოფლიო მოგზაური და იუნესკოს მსოფლიო დესპანი, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ჩვენი მარათონელი მუსიკოსის ნიჭის თაყვანისმცემელი ჯუმბერ ლეჟავა.

— ჩვენს მარათონელს თანადგომას უცხადებენ გამოჩენილი მუსიკოსები, მომღერლები და კომპოზიტორები. ეს ყველაფერი მარათონის პროექტში დაწვრილებითაა ჩამოყალიბებული. საბედნიეროდ, გულშემატკივარ მელომანთა რიცხვიც დღითიდღე იზრდება. კლასიკური მუსიკის სარეკორდო მარათონი, როგორც საქველმოქმედო აქცია, აზიის, ჩრდილოეთ ამერიკისა და ევროპის 30 ქვეყანას ეწვევა. ღვთის ნება, დაინტერესება-ხელშეწყობა თუ იქნება, სხვა ქვეყნებსაც ვესტუმრებით, რადგან მარათონელი მუსიკოსის გარშემო ერთგულ თანამოაზრეთა, ნამდვილ პროფესიონალთა გუნდია შეკრებილი. ამჯერად გულისხმიერი ქართველი მამულიშვილებისა და საქართველოს მოამაგე უცხოელი მეგობრების იმედი გვაქვს. მათგან მოველით საჭირო ფინანსურ დახმარებას, რომ დასახული პროგრამა — მანონ ყუბანეიშვილის კლასიკური მუსიკის სარეკორდო მარათონის მეორე-მესამე ეტაპი — საქართველოსა და მსოფლიოში წარმატებით განხორციელდეს, — აცხადებს გვანჯი მანია.

პროექტის წარმომდგენი ორგანიზაცია, კავშირი „გიორგი", ემსახურება ეროვნული ფენომენის, კულტურული მემკვიდრეობის, ინტელექტუალურ თუ სპორტულ მიღწევათა გამოვლენა-შესწავლასა და მსოფლიო მასშტაბით წარმოჩენას, მათ შორის გინესის წიგნში წარდგენას. დასახული პროგრამის ფარგლებში განახორციელა მრავალი ასპარეზობა, გამოფენა, გამოცემა, ექსპედიცია, კონკურსი თუ მარათონი, რომლებსაც უჩვეულო წარმატება და საერთაშორისო რეზონანსი მოჰყვა. თანამდგომი ორგანიზაციები — საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება, ფაზისის საერო აკადემია, ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემია, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მთიანეთის პრობლემათა შემსწავლელი კომისია, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, კარდიოლოგიური კლინიკა „გული", ტრადიციული მედიცინის ლიგა.

მუსიკის პოპულარიზაციისათვის პროექტის ავტორის, ორგანიზატორის, წარმომდგენი ორგანიზაციისა და თანამოაზრეთა მეცადინეობით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები: დედამიწის გარშემო აფრებით მარტოდმარტო მოგზაურ ნუგზარ კიკნაძეს მიეძღვნა ქართული საგალობლების, ხალხური სიმღერებისა და კომპოზიტორთა რჩეული 100 ნაწარმოების ჩანაწერი; დაიწერა პროფესიონალ მუსიკოსთა, ფსიქოლოგთა და რუსთველოლოგთა ერთიანი კონცეფცია „სამკურნალო გალობათა ანსამბლის პროგრამა"; გაიმართა კომპოზიტორ სერგო ჟვანიას მუსიკალურ-საკონცერტო მარათონი; ჩატარდა ქართველი გიტარისტის თემურ ყვითელაშვილის მუსიკალურ-საკონცერტო მარათონი; მომზადდა ჟურნალისტ ვასილ მჭედლიშვილის გარსაქვეყნო საკონცერტო ტურნეს პროგრამა; გამოვლინდა ექსტრემალური სპორტსმენი ივანე მჭედლიშვილი — გიტარით ხელში სამთო თხილამურებზე შემდგარს შეუძლია, დაკვრა-სიმღერით დაძლიოს ბაკურიანის 2,2 კმ სლალომის ტრასა; გამოვლინდნენ უნიკალური სარეკორდო მონაცემების მქონე მუსიკოსები — კომპოზიტორები ჯემალ ადამაშვილი და ნოდარ მამისაშვილი, ასევე გიტარისტები — თედო გორგოძე და აკაკი ხაბაზიშვილი და მომღერლები — სოფიკო მიქაძე,პოლიკარპე ხუბულავა; შეიქმნა გამარჯვებულ ქართველ მორაგბეთა ჰიმნი, რომლის მუსიკა სარეკორდო მარათონის მონაწილეს მანონ ყუბანეიშვილს ეკუთვნის, ლექსი — სიმონ ჯაფარიძეს. ნაწარმოები თვითონ ავტორმა გაახმიანა; გამოვლინდა აბესაძეთა საოჯახო გუნდი (იმერეთი, ტყიბული), რომელიც ამჟამად აბესაძეთა 100-კაციან საგვარეულო ანსამბლად ყალიბდება; დადგინდა დედაქალაქის მგალობელ-ფრინველთა ბუდობის არეალები, რომელზეც იქმნება ვიდეოფილმი; მზადდება ექსპედიცია „ლარჭემი-სონინარი-ოსტვინონი", მრავალსტვირიანი საკრავის მოძიება და გაცოცხლება მისი გავრცელების ისტორიულ არეალში — სამეგრელოში, გურიასა და ლაზეთში (თურქეთი).

სარეკორდო მარათონის მეორე ეტაპი ქვეყნის სამხარეო და კულტურის ცენტრებში გაგრძელდება. თბილისში შემაჯამებელი გალა კონცერტის შემდეგ კი მარათონი სტარტს აიღებს დედამიწის გარშემო. რაც შეეხება რეკორდის დეტალებს, ქალბატონი მანონი პროფესიონალი პიანისტი და ვოკალისტია. იგი დიდი ხანია მართავს სოლო კონცერტებს და გამოდის, როგორც პიანისტი, კონცერტმაისტერი და აკადემიური სიმღერის შემსრულებელი. როგორც თავად ამბობს, ამ მარათონისათვის მთელი

**გაგრძელება მე-11 გვერდზე**

# ვინ არიან ბურები

**ბოლო დროს ბურების საკითხი კვლავ აქტუალური გახდა. ამ პრობლემაზე ქართველი ისტორიკოსებიც საუბრობენ და იკვლევენ ბურებთან დაკავშირებულ ისტორიას. ამ თემას ჩაუღრმავდა ქართველი ისტორიკოსი სოლომონ თურნალი.**

გულიკო ბალა ე



— ბურები (ჰოლანდიურად ბურ-გლეხს, ფერმერს ნიშნავს) მე-17 საუკუნიდან აღმოსავლეთ ინდოეთის ჰოლანდიური კომპანიის მიერ დაარსებული ადმინისტრაციის ფარგლებში დასახლდნენ სამხრეთ აფრიკაში, სადაც ორი თავისუფალი დასახლება - ორანჟის თავისუფალი შტატი და ტრანსვაალი - შექმნეს და იქ დიდი მამულები ჰქონდათ, რომელშიც იაფი მონური შრომის და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საკმაოდ წარმატებული სოფლის მეურნეობა შექმნეს. ბურების ძირითადი ნაწილი ჰოლანდიელები იყვნენ, თუმცა, იქ სახლობდნენ ასევე გერმანელი, სკანდინავი, პორტუგალელი, ბერძენი, პოლონელი, შოტლანდიელი, ირლანდიელი და ინგლისელი მიგრანტებიც. ბურები პროტესტანტები (კალვინისტები) არიან. მე-19 საუკუნეში დიდი ბრიტანეთის იმპერიამ, რომელშიც შედიოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის დღევანდელი ტერიტორიაც, იქ ე.წ. თავისუფალი მიწების პრაქტიკა დაუშვა და ბურები, ფაქტობრივად დამოუკიდებლები იყვნენ, მაგრამ 1880 წლისთვის თავისუფალი მიწების სტატუსი გაუქმდა. ბურები აჯანყდნენ და ე.წ. ინგლის-ბურების I ომი (1998-81) მათი გამარჯვებითა და ტრანსვაალის დამოუკიდებლობის აღიარებით დამთავრდა. ინგლისელებმა დიდი რაოდენობით ჯარების კონცენტრაციის შემდეგ, 1899-1902 წწ. ინგლის-ბურების II ომში დაამარცხეს ბურები და გააუქმეს მათი დამოუკიდებლობა. თუმცა ფორმალურად შეზღუდული დამოუკიდებლობა კოლონიებისთვისაც დაწესდა და ამ კოლონიებმა სამხრეთ აფრიკის კავშირი შექმნეს.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მე-20 საუკუნის ბოლოს აპარტეიდის დამარცხებისა და ქვეყნის სათავეში შავკანიანი უმრავლესობის მოსვლის შემდეგ, ბური ფერმები ხშირად გამხდარან კრიმინალური თავდასხმების (ზოგის აზრით, ეთნოციდის) სამიზნე. რამდენიმე ასეული ფერმერი იქნა მოკლული, გაძარცვული და იძულებული გახდა თავისი ფერმა გაეყიდა. განსაკუთრებით დიდი გამოძახილი მოჰყვა 2010 წელს აპრილში თეთრკანიანი ბური ლიდერის იუჯინ ტერ ბლანშეს მკვლელობას შავკანიანების მიერ.

სამხრეთ აფრიკის მთავრობის მიწების ახალი რეფორმა ბურების შეშფოთების მიზეზია და ისინი სულ უფრო დაუცველად გრძნობენ თავს. ამიტომ იძულებულნი არიან გასამხედროებული ჯგუფები შექმნან თავის დასაცავად, რადგან სამხრეთ აფრიკის პოლიცია ვერ ახერხებს მათ ეფექტურად დაცვას. შეიქმნა ბურების გადასახლების რამდენიმე გეგმა, სადაც სამიზნე ტერიტორიებად ავსტრალია, კანადა და ახალი ზელანდია განიხილება. მაგრამ ყველა ამ ქვეყანაში ბურების გადასახლება სერიოზულ ფინანსურ დანახარჯებს უკავშირდება.

2010 წელს საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა დიასპორების საკითხებში პაპუნა დავითაიამ აფრიკაში ვიზიტად ყოფნისას ბურ ფერმერებთან გაფორმებული მემორანდუმი ჩამოიტანა.

მემორანდუმის ყველაზე მნიშვნელოვანი მუხლი არის შეთავაზება, რომელიც ეხება ბური ფერმერების ბიზნესის გადმოტანას საქართველოში. 40 000 ბური ფერმერის სახელით საქართველოში ჩამოვიდა ბურ ფერმერთა დელეგაცია, რომელთაც დაათვალიერეს მიწები და გაეცნენ საქართველოს მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ტრადიციებსა და პირობებს. ბურებს მოეწონათ საქართველოში მევენახეობის განვითარების ტრადიციები.

სამხრეთ აფრიკული ღვინოები, განსაკუთრებით, კაბერნეს და მერლოს ტიპის, ბოლო 30-40 წლის განმავლობაში მსოფლიოს ღვინის ბაზრის ერთ-ერთ ლიდერებად იქცნენ. საინტერესოა, რომ ბურებს დაცვის გარანტიები მისცა და საქართველოს პოლიციის ეფექტურობა პირადად გააცნო შინაგან საქმეთა მინისტრმა და სააკაშვილის რეჟიმის ხერხემალმა ვანო მერაბიშვილმა. ბურების მცირე ჯგუფმა დაათვალიერა მიწები ქართლში (რუსთავის და მცხეთის რაიონებში), კახეთსა და შირაქში. შირაქში უკვე განსაზღვრულია ბურებისათვის გადასაცემი მიწის გამოსასყიდი ფასი - 40 ლარი 1 ჰექტარ მიწაზე. აღსანიშნავია, რომ იმავე მიწის შეძენის მსურველ საქართველოს მოქალაქეს მინიმუმ 600 ლარის (15-ჯერ ძვირი ფასის!!) გადახდა მოუწევს!

რა შეიძლება იყოს დადებითი და უარყოფითი ამ არაჩვეულებრივ მიგრაციაში, როგორც ამ პროექტს ინგლისურ გაზეთ ინდეპენდენტის კორესპონდენტი უწოდებს?ისტორიკოსის აზრით, დადებითი ფაქტორებია:

— ბურებს ნამდვილად გააჩნიათ საკმაოდ მდიდარი და მრავალწლიანი ფერმერული გამოცდილება. მათი გამოცდილება მევენახეობაში, განსაკუთრებით, შეიძლება ნამდვილად დადებითად წაადგეს საქართველოში ყურძნის ჯიშების სელექციას ან რომელიმე ახალი ტექნოლოგიების სწრაფად დანერგვას.

არაა გამორიცხული, რომ ბურების პრობლემების გადაჭრისათვის, როგორც მათმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა, ასევე სამხრეთ აფრიკის და, უფრო მეტად, ნიდერლანდების მთავრობამ, საგრანტო დახმარება გამოჰყონ.

თუმცა, სავარაუდოდ, ეს დახმარება, ან მისი დიდი ნაწილი მაინც, თავად ბურებს გადაეცემათ და არა - საქართველოს. არსებობს მოსაზრება, რომ ბურების ჩამოსახლების პროექტი საქართველოს პირველი ლედის პირადი ინიციატივაა.საქართველოს მიმართ ევროპისა და დასავლური სამყაროს დაინტერესება გაიზრდება — საქართველო კარგა ხნით მოხვდება საინფორმაციო საშუალებების მხედველობის ველში, როგორც უაღრესად არაორდინალური საიმიგრაციო პროექტის ლაბორატორია

თუ ბურები საქართველოში დასახლდებიან და მოქალაქეობას მიიღებენ, ამით საქართველოს მოსახლეობის ოდენობა გაიზრდება და მოსახლეობის, როგორც შრომისუნარიანი და გადახდისუნარიანი ნაწილის, ასევე - ჯარში გასაწვევი ნაწილის პროცენტული ზრდა მოხდება, რაც თანამედროვე სამყაროში პოზიტიურ დემოგრაფიულ ფაქტორად ითვლება. ისტორიკოსი საუბრობს უარყოფით ფაქტორებზეც:

— საქართველო, განსხვავებით კანადისა და ავსტრალიისაგან, არ მიეკუთვნება ქვეყნებს, სადაც დიდი ტერიტორიები აუთვისებელია. ამიტომ, ასეთ ქვეყანაში დიდი ოდენობით არამკვიდრი მოსახლეობის იმიგრაცია უეჭველად გამოიწვევს დაპირისპირებას ახლადჩამოსულ და მკვიდრ მოსახლეობას შორის. განსაკუთრებით, თუ ახლადჩამოსახლებული მოსახლეობა ეთნიკურად და რელიგიურად განსხვავდება მკვიდრისაგან და, მით უფრო, როცა ეს ხდება ეკონომიკური კრიზისის ფონზე. აბსოლუტურად მიუღებელია ფაქტი, როდესაც ქართული მიწის გასხვისება უცხოელებზე ხდება უფრო იაფად, ვიდრე მკვიდრ მოსახლეობაზე!

— ეს პირდაპირ ადასტურებს იმას, რაშიც ბევრი სხვა და მეც, ვადანაშაულებთ საქართველოს ხელისუფლებას, რომ მას სურს მკვიდრი მოსახლეობის ქვეყნიდან გარეკვა - პოლიტიკური მიზეზების გამო - რამდენადაც ხედავს, რომ მისი რეიტინგი ამ მოსახლეობაში მკვეთრად დაცემულია და აღდგენას არ ექვემდებარება, — აცხადებს ისტორიკოსი სოლომონ თურნალი, — ამიტომ საქართველოს ხელისუფლება ნებისმიერი საშუალებით ცდილობს, რომ საქართველოს მოქალაქეებს ხელი ააღებინოს საკუთარ სამშობლოზე და მოახდინოს მათი დეპორტაციის ფინანსური მოტივირება. აღსანიშნავია, რომ ბურებისათვის შერჩეულ მიწების საკმაო ნაწილი უკვე არის საქართველოს მოქალაქეების მფლობელობაში, რაც ან შეცდომაა, ან გამიზნული ტაქტიკა, რომ ამ ადამიანებს (ისევე როგორც ადლიასა და ანაკლიაში) თავიანთ საკუთრებაზე იძულებით ათქმევინონ უარი.

ბურებისა ჩამოსახლებას აშკარად ცუდი პოლიტიკური სუნი ასდის. საქართველოს მთავრობა უკვე ცდილობს დასავლეთის თვალში პოლიტიკური ქულების დაწერას. არაა გამორიცხული, საქართველოს ავანტიურისტი პრეზიდენტის მენტალიტეტში ბურების ჩამოსახლებას (ისევე, როგორც უცხოელი მასწავლებლების დივიზიის ჩამოყვანას) გარკვეული ანტირუსული ცოცხალი ფარის მნიშვნელობა ენიჭებოდეს - ლოგიკით, თუ რუსეთი ისევ დაგვარტყამს, საფრთხის ქვეშ დადგებიან უცხოელი მოქალაქეები და უცხოეთის მთავრობები უფრო აქტიურად დაგვიცავენ — ეგებ ნატოს ჯარები შემოიყვანონ! ასეთი ლოგიკა აბსურდულია ნორმალური პოლიტიკოსისთვის, მაგრამ არა სააკაშვილის ტიპის ემოციური მმართველისათვის, რომელმაც 2008 წლის 12 აგვისტოს სარკოზეიმზე ხალხის მასიური კონცენტრირება და უცხოელი ლიდერების ჩამოყვანა სწორედაც რომ თავისი უსაფრთხოების გარანტირების მიზნითაც განახორციელა.

პოლიტიკური მოტივი იმაშიც იქნება გამოყენებული, რომ კახეთის, შირაქისა და ქართლის მოსახლეობის პროტესტული განწყობილების ნიველირება მოახდინოს არჩევნებზე. სავარაუდოდ, ბურების ლიდერებთან ნაცმოძრაობა გააფორმებს საიდუმლო მემორანდუმს, რომლითაც განისაზღვრება, რომ სწორედ არსებული მთავრობა არის პასუხისმგებელი ბურების დაცვის უზრუნველყოფაზე, რაც ბურ მოსახლეობას უბიძგებს, რომ მათ ყოველთვის ნაცმოძრაობას მისცენ საკუთარი ხმები.

ზემოთხსენებული თავდაცვის მოტივი შეიძლება საფუძვლად იქცეს საქართველოშიც ბურების თავდაცვითი ჯგუფების ჩამოყალიბებისათვის.

სამხრეთ აფრიკაში არსებული რეალობის გათვალისწინებით ბური ფერმერები შეგუებულნი არიან, რომ საკუთარი თავის და მეურნეობის დაცვა მათივე მიერ ჩამოყალიბებული თავდაცვითი სახალხო რაზმების საშუალებით უწევთ. ამ ნიადაგზე ბასიშვილის ზონდერბრიგადებს მალე ხელისუფლებამ შეიძლება ბურების ზონდერბრიგადაც ამოუყენოს გვერდში, რაც საერთოდ კატასტროფულს გახდის ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასა და ბურებს შორის.

ბურების თითოეულ ოჯახს სავარაუდოდ, 10-20-ჯერ ან სულაც მრავალათასჯერ მეტი ფინანსური კაპიტალი ექნება მეურნეობის გასამართად, ვიდრე ადგილობრივ მოსახლეობას. ამიტომ ჩამოსახლებიდან სულ რაღაც 2-3 წელიწადში, როგორც ტექნოლოგიური აღჭურვის მხრივ, ასევე დამატებითი მუშახელის დაქირავების პოტენციალის მხრივ, ბურების მეურნეობები მშრალ ანგარიშზე დაამარცხებენ ადგილობრივ ფერმერებს და მსხვილ მეურნეობებსაც, რაც კიდევ ერთხელ მისცემს საფუძველს ნაცმოძრაობას, ამტკიცოს ყალბი თეზისი, რომ ქართველები - ზარმაცები და უნიათოები, ხოლო ბურები მუყაითები და კარგი ორგანიზატორები არიან.

დაახლოებით 5 წელიწადში ბურების მფლობელობაში არსებული მიწების რაოდენობა გაორმაგდება და შეიძლება გაათმაგდეს კიდეც, რადგან ადგილობრივი მოსახლეობა ვერ გაუძლებს არათანაბარ კონკურენციას იაფად მიჰყიდის მათ მიწებს, ხოლო თავად მოჯამაგირედ დაუდგება, თუ მონებად არა, როგორც ეს სამხრეთ აფრიკაში იყო.

ამ ეტაპზე მოსალოდნელია, რომ ბურების იმიგრაცია კიდევ უფრო გაიზარდოს, რადგან მსოფლიო თვალნათლივ დაინახავს, რომ საქართველო სასათბურე პირობებს უქმნის იმიგრანტ უცხოელებს და ძალად დენის ქვეყნიდან თავის მკვიდრ მოსახლეობას. მხოლოდ ზარმაცი და უნიათო უცხოელი თუ არ ისარგებლებს ასეთი შემოთავაზებით.კომპაქტურად ბურების ჩამოსახლება და მათი მწარე გამოცდილება სამხრეთ აფრიკაში შესაძლებელს გახდის, რომ მათ თავიდანვე იფიქრონ დამოუკიდებლობის საკანონმდებლო გაფორმებაზე. ამიტომ, სავარაუდოდ, საქართველოს ეკონომიკაში ბურების შეტანილი წვლილის განუხრელი ზრდის კვალობაზე, ისინი მოითხოვენ და, სავარაუდოდ, მიიღებენ კიდეც საკმაოდ ფართო ავტონომიას. 1999 წელს ევროსაბჭოში გაწევრიანებისას საქარტველოს ხელისუფლებამ აიღო ვალდებულება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასაბლეის წინაშე, რომლის საფუძველზე უნდა შექმნილიყო საკანონმდებლო ბაზა 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული მაჰმადიანი ქართველების რეაბილიტაციის, რაპატრიაციისა და ინტეგრაციისთვის. თუმცა, მას შემდეგ, რაც საქართველო ევროსაბჭოს წევრი ქვეყანა გახდა, კანონპროექტის მიღების საკითხმა ნაკლებად პრიორიტეტული თემების რიგში გადაინაცვლა. ვარდების რევოლუციის შემდეგ კი ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვლადებულება, რიგი მიზეზების გამო, კვლავ აქტუალურია. 2007 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რეპატრიაციის შესახებ, მაგრამ, შეიძლება ითქვას, არასრული სახით. კანონი მესხების დაბრუნების მხოლოდ იურიდიული საფუძველია და მასში არ არის შეტანილი მუხლები რეპატრიაციის პროცესისა და სარეაბილიტაციო ცენტრების დაფინანსების შესახებ. კანონი ამავდროულად ქმნის ბიუროკრატიულ სიძნელეებს, რაც აფერხებს პროცესის მიმდინარეობას. ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების თანახმად, ე. წ. თურქი მესხების რეპატრიაციის პროცესი 2002 წელს უნდა დაწყებულიყო და 2011 წლისთვის უნდა დასრულებულიყო, მაგრამ საქართველოს მთავრობის განცხადებებით, მაჰმადიან მესხთა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისთვის არც საჭირო თანხა არსებობდა და არც შესაბამისი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ამინდი ქვეყანაში.

## მუსიკის სარეკორდო მარათონი მეორე ეტაპზე გადავიდა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ცხოვრება ემზადებოდა. პედაგოგისა და სამხედრო მფრინავის შვილი, 2 წლის ასაკიდან მოყოლებული, მუსიკას, სცენასა და მელომანებს ემსახურებოდა და დღესაც ემსახურება. საქართველოში მან ასობით საქველმოქმედო კონცერტი გამართა.

— ოჯახის, შვილების, შვილიშვილებისა და ქვეყანაში შექმნილი სიძნელეების გამო მრავალი დაბრკოლება შემხვედრია, მაგრამ ხელოვნებისა და ჰუმანიზმის პრინციპებისათვის არ მიღალატია, — ამბობს მომღერალი.

რაც შეეხება სარეკორდო მარათონის თემატიკას, ერთი სოლო კონცერტის განმავლობაში ქალბატონი მანონი შეასრულებს 15-20 ნაწარმოებს, რომლებსაც დამსწრე საზოგადოება კონცერტის დაწყებამდე წიგნად აკინძული მრავალენოვანი რეპერტუარიდან, ანუ ზემოაღნიშნული 2011-დან აირჩევს. თუ საჭიროებამ მოითხოვა, მზად არის, დღეში 2-3 თუ მეტი კონცერტიც გამართოს.

## ჰოლანდიელი დიზაინერი ქართველ არქიტექტორებს შეხვდა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ჰოლანდიელი დიზაინერი, კომპანია „მოის“ კრეატიული დირექტორი მარსელ ვანდერსი საქართველოს ესტუმრა. ვიზიტის ფარგლებში იგი „ევროპის სახლში“ ქართველ მხატვრებს, დიზაინერებსა და არქიტექტორებს შეხვდა.

შეხვედრაზე მასთან ერთად იმყოფებოდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნიკოლოზ რურუა. მარსელ ვანდერსი 2011 წლიდან კომპანია „მოის“ კრეატიული დირექტორია. სწორედ მისი ინიციატივით „მოი“ ქართული კომპანია „რუმსის“ დიზაინით შექმნილ განათებას აწარმოებს.

— მარსელ ვანდერსი ძალიან კრეატიული ადამიანია. ის საკმაოდ ორიგინალურ მოაზროვნედ ითვლება. ჩვენი ქვეყნისთვის დიდი პატივია, რომ ასეთი მაღალი დონის ადამიანი საქართველოს ესტუმრა და ქართველი მხატვრების, დიზაინერებისა და არქიტექტორების საქმიანობით დაინტერესდა. მან თავად გამოთქვა სურვილი, შეხვდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ, — განაცხადა კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.



2011 წლის სექტემბრიდან „მოის“ კოლექციისთვის იგეგმება კიდევ ერთი ახალი ქართული პროდუქტის წარმოება. ამჯერად „მოის“ კოლექციაში „რუმსის“ ესკიზით შექმნილი ხალიჩა შევა.

— საქართველოში კონკრეტული წინადადებით ჩამოვედი. ქართველი ხელოვანების საქმიანობით ჯერ კიდევ იტალიაში მოვიხიბლე და მტკიცედ გადავწყვიტე, მათთან კავშირი არ გამეწყვიტა. მინდა, ჩემი შეხვედრით ქართველებს ავუხსნა, როგორ შეიძლება გახდეს ხელოვნება ეკონომიკური ეფექტის მომტანი. ბედნიერი ვარ, რომ რუმსის კოლექციაც უკვე საქართველოს ფარგლებს გასცდა, — აღნიშნა შეხვედრაზე მარსელ ვანდერსმა.

მარსელ ვანდერსი თბილისში „რუმსის“ დიზაინერების მოწვევით ჩამოვიდა. „რუმსის“ წარმომადგენლებმა ქეთი თოლორაიამ და მაკა ჯანბერიძემ ჰოლანდიელ სტუმარს გულუხვი მასპინძლობა გაუწიეს და მათ მიერ შექმნილი ახალი კოლექციები დაათვალიერებინეს.

# ბათუმში ენრიკე იგლესიასს ელოდებიან

ეკა ირემაშვილი



2 აგვისტოს ბათუმში ცნობილ მომღერალსა და მსოფლიო ვარსკვლავ ენრიკე იგლესიას ელოდებიან. ბათუმი ემტივი ლაივის კონცერტს უმასპინძლებს სახელწოდებით „ემტივი ლაივ ჯორჯია“ და მასზე დასწრების უფლება ნებისმიერ მსურველს სრულიად უფასოდ შეეძლება. კონცერტზე დამსწრეთათვის მისმა ორგანიზატორებმა გარკვეული შეზღუდვები დააწესა — 12 წლამდე ბავშვები კონცერტზე მხოლოდ მშობლების თანხლებით დაიშვებიან. კატეგორიულად აკრძალულია ალკოჰოლური სასმელის, მინის ბოთლებისა და ბასრი საგნების კონცერტზე შეტანა. ემტივის კონცერტზე ასევე არ დაიშვებიან ნასვამი მსმენელები.

ემტივი ლაივის გრანდიოზული კონცერტის გარდა, საქართველოში პირველად ემტივის დაჯილდოება გაიმართება. ღონისძიება საერთაშორისო მედიაცენტრისა და საქართველოს მთავრობის ინიციატივით ჩატარდება. ბათუმში, ევროპის მოედანზე, ენრიკე იგლესიასის გარდა, კონცერტში მონაწილეობას ქართველი მომღერლებიც მიიღებენ. მსოფლიო დონის მომღერლის გარდა, ევროპის მოედანზე შეკრებილი მსმენელის წინაშე გამოვლენ ჯგუფი „ელდრაინი“, სტეფანე და სამი ჯი და სოფო ნიჟარაძე. ვინაიდან ევროპულ ემტივიზე დიდი წარმატებით ტრიალებდა სტეფანესა და სამი ჯის კლიპი, ამიტომ ემტივის ორგანიზატორებმა თავად გადაწყვიტეს, ამ კონცერტში ეს მომღერლებიც ჩაერთოთ. ისინი ბათუმში 5 სიმღერას შეასრულებენ. „ემტივი ლაივ ჯორჯიაში“ მონაწილე ყველა ქართველ მონაწილეს მიეცემა გარკვეული დრო და ისინი თავიანთ რეპერტუარს მსმენელს შესთავაზებენ. ქართველი შემსრულებლები ბათუმში ძირითადად სულ ახალ პროგრამას წარმოადგენენ. ქართველ მომღერალთა ჩაცმულობაზე ცნობილი ქართველი დიზაინერები იზრუნებენ. ჯგუფ „ელდრაინს“ დიზაინერი ქეთი ჩხიკვაძე ჩააცმევს. ისინი 9 ახალ სიმღერას შეასრულებენ. ღონისძიების პიკი კი ენრიკე ეგლესიასის გამოსვლა იქნება. საათნახევრიან კონცერტზე მომღერალი როგორც მსოფლიოში ცნობილ ჰიტებს, ასევე ახალ სიმღერებსაც შეასრულებს. ენრიკე იგლესიასმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის საქართველოში ჩამოსვლას და ბათუმში შეკრებილ მსმენელს დაუვიწყარ საღამოს ჰპირდება.

— მოუთმენლად ველი იმ მომენტს, როდესაც შევძლებ, ვიხილო საქართველოს უმშვენიერესი სანაპირო და ქართველ მსმენელს ვაჩუქო დაუვიწყარი საღამო, — აცხადებს ენრიკე იგლესიასი.

ენრიკე ეგლესიასი საქართველოში ავსტრალიიდან ჩამოდის. მას აქვს ახალი პროგრამა „ეიფორია“, რომლითაც მოგზაურობს მთელ მსოფლიოში და სწორედ ამ პროექტს გამოიტანს იგი საქართველოშიც. „ეიფორია“ უკვე ცნობილია ჩრდილო ამერიკაში, კანადაში, ლათინურ ამერიკასა და ევროპაში.

ენრიკე იგლესიასი ესპანელი მომღერალი, მოდელი და მსახიობია. მთელი მსოფლიო მასშტაბით მისი ალბომების 60 მილიონზე მეტი ეგზემპლარია გაყიდული. ის ესპანელი მომღერლის ხულიო იგლესიასისა და ფილიპინელი ჟურნალისტის იზაბელ პრეისლერის მესამე და ბოლო შვილია. ენრიკეს არ სურდა, მამამისს სცოდნოდა მისი გეგმების შესახებ მუსიკალურ კარიერასთან დაკავშირებით და არც ის უნდოდა, რომ ცნობილი გვარი დახმარებოდა წარმატების მიღწევაში. მისი პირველი სიმღერების შთაგონების წყარო იყო თინეიჯერობისდროინდელი შეყვარებული კრისტი დებლერი. თავისი ძიძისგან ნასესხები ფულით იგლესიასმა ჩაწერა ერთი ესპანური და ორი ინგლისური სიმღერა. ის მღეროდა სასცენო ფსევდონიმით ენრიკე მარტინესი, მოგვიანებით კი გაემგზავრა ტორონტოში სადებიუტო ალბომის ჩასაწერად. მისი სადებიუტო ალბომი იყო „ენრიკე იგლესიას“, რომელშიც შედიოდა მსუბუქი როკ􀀀ბალადები და ჰიტები. პირველივე კვირას ალბომის ნახევარი მილიონი ეგზემპლარი გაიყიდა. ამ ალბომმა ენრიკე იგლესიასს გრემის ჯილდო აალებინა ნომინაციაში საუკეთესო ლათინური პოპი. მომღერალი ნომინირებული იყო „ამერიკან მიუზიკ ავარდზე“ კატეგორიაში „საუკეთესო ლათინოამერიკელი მომღერალი“. ამავე კატეგორიაში ნომინირებულებს შორის იყო ხულიო იგლესიასიც, რომელმაც განაცხადა, რომ თუ ჯილდოს მისი შვილი აიღებდა, ის დარბაზს დატოვებდა. ენრიკე მოერიდა სკანდალს და პრემიაზე უარი განაცხადა. სიმბოლურია, რომ როდესაც ენრიკემ რიგით მეშვიდე ალბომი გამოუშვა სახელწოდებით 7, მისმა მამამ ხულიო ეგლესიასმა გამოუშვა რიგით 77-ე ალბომი, სახელწოდებით 77. კრიტიკოსებმა ენრიკეს ალბომი უარყოფითად შეაფასეს, ხულიოსამ კი დიდი პოპულარობა მოიპოვა.

ენრიკე იგლესიასმა ინგლისურენოვანი ალბომების გამოშვებაც დაიწყო. მის პირველ ინგლისურენოვან ალბომსაც „ენრიკე“ ერქვა. მასში შევიდა ცნობილი დუეტი უიტნი ჰიუსტონთან ერთად.

ენრიკე იგლესიასი რესტორნების ქსელის მაკდონალდსის სახე იყო, რომელმაც სპონსორობა გაუწია მის ტურნეს. 2000 წელს ენრიკე გადაიღეს პეპსის რეკლამაში ბრიტნი სპირსთან, პინკთან და ბიონსესთან ერთად. მან მონაწილეობა მიიღო ფილმშიც ანტონიო ბანდერასთან, სელმა ჰაიეკთან და ჯონი დეპთან ერთად. მომღერალი გადაიღეს ტომი ჰილფიგერის ახალი არომატის რეკლამაში.

რაც შეეხება მომღერლის პირად ცხოვრებას, ენრიკე იგლესიასს რომანი ჰქონდა საზოგადოებისათვის კარგად ცნობილ მრავალ ქალთან. მათ შორის არიან სოფია ვერგარა, ალექსანდრა ჩერონი, სამანტა ტორესი და ალისია მაჩადო. მედია დიდ ყურადღებას უთმობდა მისი და ჯენიფერ ლავ ჰიუიტის რომანს. საბოლოოდ ენრიკემ არჩევანი რუს ჩოგბურთელ ანა კურნიკოვაზე შეაჩერა. წყვილი უკვე ექვსი წელია ერთად არის. 2008 წელს ენრიკემ საჯაროდ განაცხადა, რომ ის და ანა უკვე დაქორწინდნენ და განქორწინდნენ კიდევაც. მოგვიანებით იგლესიასმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ ხუმრობა იყო და ის და ანა კვლავ ერთად არიან.

საინტერესო დეტალები მისი ცხოვრებიდან ის არის, რომ ენრიკემ მოიშორა ხალი სახეზე. მომღერალმა აღიარა, რომ მას უძილობა აწუხებს და ძლიერი საძილე პრეპარატებიც კი არ შველის. სულ ცოტა ხნის წინ კი ხელოვანი გამოტყდა, რომ ყველაზე პატარა სასქესო ორგანო აქვს და თავისი ზომის პრეზერვატივების ყიდვა მისთვის დაუსრულებელი პრობლემაა.

ენრიკე იგლესიასმა თავისი მუსიკალური კარიერის განმავლობაში ჩაწერა ესპანურენოვანი სტუდიური ალბომები, ინგლისურენოვანი სტუდიური ალბომები, ორენოვანი სტუდიური ალბომები.

ბათუმში დაგეგმილი „ემტივი ლაივ ჯორჯიას“ კონცერტი 152 ქვეყანაში გადაიცემა და მას 600 მილიონი მაყურებელი ნახავს. მთლიანობაში კონცერტი 6-საათიანი იქნება და მასში ქართველი დიჯეებიც დაუკრავენ. კონცერტი ორი თვის განმავლობაში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ემტივიზე იტრიალებს.

— ენრიკე იგლესიასი პოპ-მუსიკის ერთ-ერთი ცნობილი სახეა და მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოშიც მილიონობით ფანი ჰყავს. საქართველოს მოსახლეობას ეძლევა უნიკალური შანსი, მსოფლიო დონის ვარსკვლავის კონცერტს სრულიად უფასოდ დაესწროს, — განაცხადა საქართველოს კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ.

# ხელნაწერის ყდაში უნიკალური დოკუმენტები აღმოაჩინეს

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცულ XIX საუკუნეში გადაწერილი წიგნის „ქორწინებისათვის და დადგინებითი გრამოტა“ რესტავრაციისას, წიგნის ყდაში XV-XVI საუკუნების ხელნაწერების ფრაგმენტები აღმოჩნდა.

აღმოჩენილი ათი ფრაგმენტიდან ცხრა — ნუსხურით, ხოლო ერთი რუსულ ენაზეა შესრულებული. კვლევის პირველ ეტაპზე სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ აღმოჩენილია ორი სხვადასხვა ხელნაწერი წიგნის ფრაგმენტები. დათარიღება მოხდა ხელნაწერის პალეოგრაფიული ანალიზის საშუალებით. შავი მელნით ნაწერი ტექსტები, რომლებიც წითელი მელნითა და საგანგებოდ შესრულებული საზედაო ასოებითაა შემკული, XV-XVI საუკუნეებისთვის დამახასიათებელი ქართული ხელნაწერების სურათს უჩვენებს.

ფრაგმენტები წარმოადგენს: 1. XV საუკუნე. სადღესასწაულო, საგალობლები, ძველი აღთქმის საკითხავები. ორ სვეტად ნაწერი, შესრულებული შავი მელნით (ფურცლები სხვადასხვა ზომისაა, სულ 6 ფურცელი). 2. XV-XVI საუკუნეები. პარაკლიტონი (ბერძ. ნუგეშისმცემელი, რვა ხმათა საგალობლების წიგნი). შესრულებულია შავი მელნით, სხვადასხვა ზომის ქაღალდზე. სულ 3 ფურცელი.

— 􀀀ძალიან სასიხარულოა, რომ XIX საუკუნეში გადაწერილი ხელნაწერი წიგნის ყდაში ორი სხვადასხვა დოკუმენტის ათი ფრაგმენტი აღმოჩნდა, რომლებიც XV-XVI საუკუნეებით თარიღდება. ამ პერიოდის დოკუმენტები არქივში ინახება, თუმცა ეს არის სრულიად განსხვავებული ხასიათის მასალა — საგალობლები, რომლებიც შესრულებულია სხვადასხვა კალიგრაფიით, გამოყენებულია ორი სხვადასხვა მელანი. დოკუმენტებზე გაგრძელდება მეცნიერული კვლევა, რაც საშუალებას მოგვცემს, მეტი ინფორმაცია მოვიპოვოთ მოცემული დოკუმენტების შესახებ, — განაცხადა ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა.

რაც შეეხება ხელნაწერ წიგნს, რომლის ყდაშიც ჩაკერებული იყო ძველი ხელნაწერის ფრაგმენტები, ის მოიცავს 1723-1785 წლებში გამოცემულ ბრძანებებს და წესებს ქორწინებისათვის. ის მხედრული ანბანით არის შესრულებული. სათაურები და თავასოები — ასომთავრულითა და სინგურით. სულ 62 ფურცელი. ხელნაწერი ეკუთვნოდა თელავის საკრებულო ტაძრის წინამძღვარ დეკანოზ მიხეილ ხელაშვილს. არქივში შემოიტანა მიხეილის ვაჟმა ვლადიმერ ხელაშვილმა.

ხელნაწერი შეიცავს მეტად საინტერესო სამ სხვადასხვა შინაარსის მქონე ნაწარმოებს: 1. ქორწინებათათვის მართლმადიდებელთა პირთასა სხუა სარწმუნოებისათა თანა. განსჯა უწმინდესსა შინა მმართებელსა სინოდსა შეთხზული ჩღკგ (1723) წელსა, მაისის გ (3) დღესა, რომელშიც გამოყენებულია პეტრე I-ის მიერ 1720 წელს გამოცემული ბრძანება. 2. ფორმა (დადგენილი ნიმუში, სტანდარტი დოკუმენტისა) მღუდელთ-მთავრისაგან მისაცემელის ღრამმატისა ახლად ხელ-დასხმულისა მღუდლისადმი 􀀀 წყალობითა ღმრთისათა. (აქა დაიწერება ტიტული მღუდელთ-მთავრისა). ხელნაწერი შეეხება სასულიერო პირების დანიშვნის წესებს. წესებს დასასრულს დართული აქვს ლექსიკონი: „განმარტება უცხო ენის ლექსთა ამას რეღლამენტთა შინა ხმარებულთა“ — „რეღლამენტი (ლათინთ კანონის დება). 3.ქორწინებისა თავისთვის. გადათარგმნილია ბერძნულიდან ქართულად ბერძენ იოანე მიხაილის-ძე პაპუწისშვილის ქსიფილინოსისა და ხუცესის იოანე ოსეს-ძის მიერ 1775 წელს. ეს ნაწარმოები იწყება მიძღვნით: „უნეტარესსა და უწმინდესსა პატრიარხსა ყოვლისასა ქართუელოისასა მეფის ძეს ანტონის, ჩლენსა უწმიდესის სინოდისასა უუმონებრესი მოხსენებაი“.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი“.

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ღამის ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან“ (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● დიდი გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი-რეაბილიტოლოგი უმაღლესი შედეგებით მკურნალობს ოსტეოქონდროზს, სმენის დაქვეითებას (ნევრიტს), ოტიტს, პროსტატიტს, ცისტიტს, მასტიტს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, სახსრების ანთებას, კიდურების დაბუჟებას, რადიკულიტს და სხვა დაავადებებს. მიღება ჩაწერით. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 10 ლარი. ტელ: 595 45-50-35; 253-44-39 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, ჰორმონალური დარღვევები, ციკლის პრობლემები, კლიმაქსური ფონის მოხსნა — ალები, შიშები, ნევროზი. მკურნალობა გარანტიით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

# ჯულია რობერტსის რეკლამა ფოტოშოპის გამო დაიწუნეს

ბრიტანეთის რეკლამის სტანდარტიზაციის საბჭომ ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის დეპუტატ ჯო სვინსტონის მოთხოვნით კომპანია „ლორეალის“ კოსმეტიკური პროდუქციის სარეკლამო პოსტერები აკრძალა.



ამ პოსტერებისათვის ფოტოსესიებზე მსახიობი ჯულია რობერტსი და მოდელი ქრისტი ტარლინგტონი მიიწვიეს. რეკლამის სპეციალისტებმა მიიჩნიეს, რომ „ფოტოშოპის“ შედეგად მსახიობი და მოდელი, რომლებიც 40 წელს არიან გადაცილებული, ასაკთან შედარებით ახალგაზრდად გამოიყურებოდნენ.

ჯულია რობერსტმა, რომელიც თავის 43 წელს არ მალავს, ტონალური ლანკომის კრემის „თეინთ მირაქლის“ სარეკლამო სესიაში მიიღო მონაწილეობა. ლანკომი „ლორეალს“ ეკუთვნის. რეკლამაში ნათქვამია, რომ ამ კრემის გამოყენებით კანი იდეალური ხდება, თავად პროდუქტი კი 10-წლიანი კვლევების შედეგს წარმოადგენს.

როგორც „დეილი მეილი“ იუწყება, სამი შვილის დედასა და პოპულარულ მსახიობს ლანკომის „სახედ“ გადაქცევისათვის 24 მილიონ დოლარს დაჰპირდნენ.

ფოტოშოპის ბოროტად გამოყენების ბრალდებების პასუხად ლანკომის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ სარეკლამო პლაკატებზე ჯანსაღი და ნატურალური კანია ნაჩვენები. მიუხედავად ამისა, სარეკლამო საბჭომ ეს განმარტებები არ მიიღო და რეკლამა აკრძალეს.

იგივე ბედი ეწია მეიბელინის „ერეიზერის“ რეკლამას, რომლის ფოტოსესიაშიც ქრისტი ტარლინგტონი მონაწილეობდა. ფოტოგრაფიაზე პატარა ასოებით მიწერილი იყო, რომ იგი კრემის გამოყენების ილუსტრაციას წარმოადგენდა.

„ლორეალის“ წარმომადგენლების თქმით, ფოტოსურათი დიზაინერებმა მხოლოდ ოდნავ შეალამაზეს, წესრიგში მოიყვანეს მაკიაჟი, მოდელს ოდნავ ჩაუმუქეს წარბები, შეუსუსტეს ჩრდილები თვალებთან, ხოლო კრემის გამოყენების ეფექტი უცვლელად დატოვეს.

ამ პასუხმა არც ბრიტანელი პოლიტიკოსი დააკმაყოფილა და არც რეკლამის საბჭო. ბრიტანეთის ტერიტორიაზე „ლორეალის“ კუთვნილი ორივე კომპანიის საქმიანობა აიკრძალა.

# ემი უაინჰაუზის მამამ შვილის ნივთები თაყვანისმცემლებს დაურიგა

ცნობილი ბრიტანელი მომღერლის, ემი უაინჰაუზის მამამ თავისი გარდაცვლილი ქალიშვილის ნივთები ლონდონის ჩრდილოეთით, 27 წლის ასაკში გარდაცვლილი მომღერლის სახლთან თავმოყრილ მის თაყვანისმცემლებს დაურიგა.

მითჩ უაინჰაუზი მეგობრებთან და ახლობლებთან ერთად ქალიშვილის სახლში დაკრძალვიდან ორი დღის შემდეგ შვილის ნივთების ასაღებად მივიდა.

ემი უაინჰაუზი კემდენში, საკუთარ სახლში 23 ივლისს გარდაიცვალა და მის თაყვანისმცემლებს მის სახლთან დღემდე ყვავილები მიაქვთ.



მომღერლის გარდაცვალების ზუსტი მიზეზი კვლავინდებურად უცნობია. საბოლოო დასკვნას მხოლოდ ტოქსიკოლოგიური ექსპერტიზის შედეგების შემდეგ გამოიტანენ, რასაც ოთხი თვე შეიძლება დასჭირდეს.

მედიკოსების ვარაუდით, მომღერლის გარდაცვალების მიზეზი ალკოჰოლური სასმელების მიღების მკვეთრად შეწყვეტა შეიძლება ყოფილიყო.

ეს ვარაუდი მედიკოსებმა მას შემდეგ გამოთქვეს, რაც მომღერლის მამამ, მიტჩ უაინჰაუზმა, შვილის დაკრძალვის დროს განაცხადა, რომ 27 წლის მომღერალმა შეძლო ნარკოტიკებისადმი ლტოლვის დაძლევა და მათი მიღება ჯერ კიდევ სამი წლის წინ შეწყვიტა.

მიტჩ უაინჰაუზის თქმით, ემი ალკოჰოლისადმი ლტოლვის დაძლევასაც ცდილობდა და სწორედ ამ მიზნით გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე სარეაბილიტაციო კლინიკაში მკურნალობის მორიგი კურსი გაიარა.

ბრიტანული მედიის თანახმად, ექიმები ემი უაინჰაუზს სმის თანდათანობით და არა ერთბაშად, ერთი დაკვრით შეწყვეტას ურჩევდნენ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**



# იუმორი

— მამა, მართალია, რომ გედები სიკვდილის წინ მღერიან?

— ჰო, შვილო, მართალია.

— კი მაგრამ, სიკვდილის წინ რატომ მღერიან?

— რა სულელი ხარ. აბა, სიკვდილის შემდეგ როგორ იმღერებენ...

— ჩემმა სპანიელმა ვაგზალში ვიღაცის ჩანთა დაყნოსა და საეჭვოდ ახითხითდა...

* * *

— გუშინ ერთი გოგო გავიცანი.

— მერე, როგორია?

— არც ღვინოა, არც წყალი.

— ლუდია?

* * *

შვილი ფანჯრიდან მთვარეს უყურებს და მამას ეკითხება:

— მამა, მთვარე უფრო შორსაა თუ ამერიკა?

— ამერიკას ფანჯრიდან ხედავ?

— ვერა.

— ჰოდა, დასკვნები თავად გამოიტანე...

* * *

მორბის ჭიანჭველა, რაღაც უხარია. მეორე ეკითხება:

— რა მოხდა, რა გიხარია?

— იქ ცხოველები სპილოს სცემდნენ, მეც ერთი-ორი ვუთაქე.

მეორე დღეს იგივე ჭიანჭველა დაღვრემილი მოდის. ისევ ეკითხებიან:

— რა მოხდა, რა ცხვირპირი ჩამოგტირის?

— გახსოვს, გუშინ სპილოზე რომ გითხარი. მოკვდა და მე მაბრალებენ...

* * *

ქალს ბედნიერებისათვის ორი რამ სჭირდება. ერთს პირზე სულ „ჩემო ძვირფასო“ და „საყვარელო“ უნდა ეკეროს, მეორეს — „დედა“.

* * *

— თითოეული მამაკაცი ვალდებულია, თავისი ცოლი სიუხვის რქით უზრუნველყოს, თორემ რქების სიუხვე უზრუნველყოფილი ექნება...

* * *

— მე თქვენ ხორცი ლიმონით შეგიკვეთეთ. სად არის აქ ხორცი?

— ლიმონის ქვეშ ნახეთ?

* * *

— სიბნელეც სინათლის სიჩქარით ვრცელდება...

* * *

ტურისტი ლუვრში შიშველი, ლელვისფოთოლაფარებული ქალის ქანდაკების წინ „გაიყინა“. გიდი ეკითხება:

— მუსიე, შემოდგომას ელოდებით?

* * *

ქალური ლოგიკა: ფეხსაცმელი თუ მოგწონს, ზომას რა მნიშვნელობა აქვს...

* * *

ადვოკატი პროცესზე:

— ბატონო მოსამართლე, საიდან უნდა სცოდნოდა ჩემს კლიენტს, რომ მისი ქმარი შხამის მიმართ ასეთი მგრძნობიარე იქნებოდა...

* * *

— სიყვარული ბრმაა, ყრუ და ვენერიული დაავადებებიც იცის...

— გუშინ მეზობლებთან წყალი ჩავუშვი. ისე ჩხუბობდნენ, ისე ჩხუბობდნენ... ალბათ მალე გაეყრებიან ერთმანეთს...

* * *

გეოგრაფიის მასწავლებელმა მოსწავლე გამოიძახა.

— აბა, რას გვეტყვი კოლუმბის შესახებ?

— კოლუმბმა არ იცოდა, საით მიცურავდა. შინ რომ დაბრუნდა, არც იცოდა, საიდან დაბრუნდა...

* * *

ქმარი ცოლს საყვედურობს, რომ საწოლში გამოცდილება აკლია. რამდენიმე დღის შემდეგ ცოლმა ახარა:

— ძვირფასო, სპეციალურ კურსებზე ჩავეწერე, ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს ვმეცადინეობთ.

— ?

— კურსები ფასიანია.

— ??

— დამშვიდდი, მითხრეს, ფულს იქით გადაგიხდითო...

**გ.თ.**

# რამდენად თავდაჯერებული ხართ




***1. რა კრიტერიუმით ხელმძღვანელობთ მაღაზიაში რაიმე ნივთის შერჩევის დროს?***

ა. რაც ძვირია, უკეთესია (4), ბ. საკუთარი გემოვნებით და სურვილით (3), დაქალის რჩევით (2)

***2. მეუღლის, მეგობრის რა საჩუქარი გაგახარებდათ ყველაზე მეტად?***

ა. ლამაზი თაიგული (4) ბ. ძვირფასი სუნამო (2) რაიმე ორიგინალური წვრილმანი (2)

***3. გარდერობის შეცვლის შესაძლებლობა მოგეცათ, რა პრინციპით შეარჩევდით ტანისამოსს?***

ა. საყვარელი ფერის (2), ბ. მხოლოდ მოდურს (4), გ. რაც მიხდება (3)

***4. თქვენი შეკვეთა ატელიეში, როგორც იქნა, შეასრულეს, მაგრამ კაბა არ გიხდებათ. როგორ მოიქცევით?***

ა. შეეცდებით, შეასწოროთ (3) ბ. ღრმად შეჩურთავთ კარადაში (4) გ. რომელიმე ნაცნობს შესთავაზებთ (2)

***5. ქმარს ზოლებიანი კოსტიუმი აქვს. როგორ პერანგს შეურჩევდით?***

ა. ზოლებიან პერანგს (3) ბ. მონოტონურს (2). გ. შესაფერისი ფერისას (4)

## პასუხები

**0-13 ქულა:** ძალიან თვითკრიტიკული ხართ. მოკრძალებული ბრძანდებით, საკუთარი თავის რწმენა გაკლიათ. თუ გსურთ, რამე შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში, უპირველესად ყოვლისა, ლამაზი სამოსი შეიკერეთ, სხვასაც გააკვირვებთ და საკუთარ თავსაც.

**14-17 ქულა:** საკუთარი ძალების რწმენას ვერავინ წაგართმევთ, ხართ ქალური, თქვენთან ურთიერთობა სასიამოვნოა, ახერხებთ ადამიანებთან საერთო ენის გამონახვას. ყოველთვის იცით, რა გიხდებათ და რა — არა.

**18-20 ქულა:** საკუთარ თავში ცოტა უფრო მეტად ხართ დაჯერებული, ვიდრე საჭიროა. უპირველესად, ცოტა ტაქტი გაკლიათ, გემოვნება ტანისამოსის შერჩევისას და სირბილე ადამიანებთან ურთიერთობაში.

**გ.თ.**

# კროსვორდი



1.შენობის წინხედი; 2. რომაელთა ნაყოფიერების ქალღმერთი; 3. მუნიციპალიტეტი; 4. მდინარე შვეიცარიაში; 5. ერთ-ერთი მშობელი; 6. დეკორატიული მცენარე; 7. ქალაქი იტალიაში; 8. პატარა ტომარა; 9. კარგი ამინდი; 10. იტალიის საფეხბურთო კლუბი; 11. გაბედულება; 12. ადამიანის მსგავსი ცხოველი; 13. ფეხის ნაწილი; 14. იორდანიის დედაქალაქი; 15. ჯუჯა კამეჩი; 16. ვივიენ ...; 17. მაჰმადიანთა მოძღვარი; 18. ხილის გაზიანი სასმელი; 19. უდაბნოს ცხელი ქარი; 20. ჭაობის მცენარე; 21. ...ფოიხტვანგერი; 22. მობილურების ფინური ფირმა; 23. ზღაპრების მოგზაური პერსონაჟი; 24. სამეფო კარის ტიტული ირანში ძველად; 25. ქალაქი ესტონეთში; 26. ვულკანური წარმოშობის ცხელი წყარო; 27. ბერძნული ანბანის ასო; 28. ეგვიპტელთა მზის ღვთაება; 29. ... სანდი; 30. ძველებური შინნაკეთი ფეხსაცმელი; 31. მსახიობი; 32. კუნთების ანთება; 33. მესამე ნოტი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რევერსი; 2. კრკა; 3. ბორტი; 4. კრეიგი; 6. ფაგოციტი; 9. მყვარი; 13. ლახვარი; 14. აირზენა; 15. მარულა; 17. „ვალიო“; 18. კიქსი; 20. ყაჭი.

**თარაზულად:** 1. „რეკორდი“; 5. გრაფი; 7. ვოლიერი; 8. ვაკუუმი; 10. მანგო; 11. ტორტი; 12. აკვანი; 16. პირატი; 17. ვისკი; 19. ხალი; 21. წულაძე; 22. სინუსი; 23. პამირი; 24. იარუსი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. სუეცი; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. გნოლი; 9. ერაძე; 12. კრიტერიუმი; 14. ბულონი; 15. გალიერა; 17. კანტატა; 20. ომალო.

**თარაზულად:** 5. ცელსიუსი; 6. ორაგული; 8. ბოცმანი; 10. კელასური; 11. ონაგრი; 13. პრატერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ელადა; 21. უმანკო; 22. ბროწეული; 23. გაუტამა.

შედით საიტზე atb.ge

# *იგორ კოკოშკოვი:* საქართველოს ნაკრებში მუშაობა ცოდნასა და გამოცდილებას მმატებს

**არიზონულ გაზეთ „აზცენტრალში“ საინტერესო სტატია გამოქვეყნდა საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ იგორ კოკოშკოვზე. შეგახსენებთ, რომ კოკოშკოვი ნბა-ს კლუბ „ფინიქს სანსის“ ასისტენტი მწვრთნელია და ამიტომაც დაიწერა ეს სტატია არიზონულ გაზეთში. სტატიის სათაურია: „ფინიქსის“ ასისტენტი მწვრთნელი იგორ კოკოშკოვი ისევ პირველია“.**




იგორ კოკოშკოვის სამწვრთნელო კარიერა განსხვავებებითა და პირველობებითაა სავსე. „სანსის“ ასისტენტი მწვრთნელი იუგოსლავიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მწვრთნელი გახდა, როცა იგი ამ საქმიანობას 24 წლის ასაკში შეუდგა. იგორი გახლავთ პირველი ევროპელი, რომელიც გახდა ასისტენტი მწვრთნელი ამერიკის სტუდენტურ კალათბურთში, ასევე იგი პირველი ევროპელია ნბა-ში.

ეს განცხადებები, თუ რა კარგად იცის კოკოშკოვმა კალათბურთი, ამ ზაფხულს უნდა დამტკიცდეს. მას სერიოზული გამოცდა ელის ევროპის ჩემპიონატზე, სადაც საქართველოს ნაკრები პირველად გაიყვანა. იგორმა სამშაბათს არიზონა დატოვა და შეუერთდა საქართველოს ნაკრებს ავსტრიაში, რომელიც ევროჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს გადის.

— საქართველოს ნაკრებში მუშაობა მეხმარება მე დიდი გამოცდილებისა და ცოდნის მიღებაში. გადატვირთული ნბა-ს სეზონის შემდეგ 2 თვე საქართველოს ნაკრებში უნდა ვიმუშაო. ეს არაა იოლი, ეს დიდი პასუხისმგებლობაა, — ამბობს კოკოშკოვი, რომელიც ნბა-ში 2000 წლიდან მუშაობს.

კოკოშკოვის გუნდშია ატლანტელი ზაზა ფაჩულია, ერთ დროს „ფინიქსის“ წევრი ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ორი ქართულპასპორტიანი ამერიკელი ფლორიდელი მცველი ტორინ გრინი და ტეხას-ალინგტონის ყოფილი უკანახაზელი მარკიზ ჰეინსი. სერბი კოკოშკოვი საქართველოს ნაკრებში საქმეს ინგლისურად უძღვება, რადგან ესაა კონტინენტის საკალათბურთო ენა.

12 წელია, ნბა-ში ვმუშაობ და კალათბურთია, რაც ყველაზე კარგად ვიცი. ერთ-ერთი მთავარი რამ, რაც ეროვნულ ნაკრებში მუშაობას მაიძულებს, არის ის, რომ კავშირში ვიყო ევროპულ კალათბურთთან. ვაღიარებ, რომ ნბა მსოფლიოს უძლიერესი საკალათბურთო ლიგაა, მაგრამ ევროპაში მუშაობა მეხმარება, კალათბურთი უფრო სხვა კუთხიდან დავინახო, მწვრთნელობის ევროპული თავისებურებები შევიმეცნო და საჩემოდ გამოვიყენო, — ამბობს 39 წლის სპეციალისტი.

საქართველოში 4,6 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, ანუ ისაა ევროპის ჩემპიონატის მონაწილეთაგან ერთ-ერთი ყველაზე მცირერიცხოვანი ქვეყანა. საქართველოს ჯგუფშია სლოვენია, რომლის ერთ-ერთი ლიდერი იგორ კოკოშკოვის მოწაფე გორან დრაგიჩია. დრაგიჩი 3 წლის წინ „ფინიქსმა“ დრაფტზე აიყვანა და პირველივე დღიდან იგი კოკოშკოვის განკარგულებაში იყო. სლოვენიასთან ერთად საქართველოს ჯგუფში არიან რუსეთი, ბელგია, უკრაინა და ბულგარეთი.

„ფინიქსში“ კოკოშკოვს ჰყავს ახალი თანამშრომელი ელსტონ თუნერი, რომელიც გუნდმა დაცვითი ტაქტიკის საკოორდინაციოდ დაიქირავა. კოკოშკოვი ამბობს, რომ იგი მიესალმება თუნერის გუნდში მოსვლას და იმედოვნებს, რომ მის გამოცდილებას ეს ფაქტიც წაადგება.

იგორ კოკოშკოვი იმედოვნებს, რომ მორიგი ევროპული ვოიაჟი ასევე დადებითი იქნება როგორც მისთვის, ასევე „ფინიქსისთვის“.

— როცა ევროპიდან ვბრუნდები, ყოველთვის ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ უწინდელზე უკეთესი მწვრთნელი ვარ, — ამბობს კოკოშკოვი.

# ეროვნულმა ნაკრებმა ავსტრიასთან სავარჯიშო ხასიათის მატჩი გამართა




საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ვარჯიშის ტიპის ამხანაგური მატჩი ჩაატარა ავსტრიასთან და 56:64 დამარცხდა. მხარეთა შეთანხმების საფუძველზე გუნდებმა დამატებით 15-წუთიანი პერიოდი ითამაშეს, იქ კი უკვე საქართველომ იძალა, თუმცა ძალაში თავდაპირველი, ძირითადი 40-წუთიანი მატჩის ანგარიში შევიდა.

აღსანიშნავია, რომ მატჩის დასრულებამდე 8 წუთით ადრე ჩვენები 7 ქულას იგებდნენ, მაგრამ დასკვნითი ნაწილი 17:2 წააგეს და საბოლოოდ დამარცხდნენ.

ძირითად დროში ქართველთაგან ზაზა ფაჩულია გამოირჩა, რომელმაც ორმაგი დუბლი მიითვალა — 10 ქულა, 10 მოხსნა.

საქართველოს ნაკრებმა ეს მატჩი ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გამყრელიძე (1), ა. ბოისა (6), ვ. ბოისა (7), ფაჩულია (10 ქულა, 10 მოხსნა), ცინცაძე (7), სანიკიძე (9), ცქიტიშვილი (9), ჰეინსი (7 ქ, 3 პასი), შენგელია

**დავით უსტიაშვილი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:**

***— როგორ ჩაიარა შეხვედრამ?***

— დამაკმაყოფილებლად. რისთვისაც გავმართეთ ეს მატჩი, საიმისოდ კარგად გამოვიყენეთ. შედეგს ყურადღება არ ექცეოდა, ჩვენი მიზანი კალათბურთელების ფორმის შეფასება და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები იყო.

***— მწირი ანგარიში რისი ბრალია?***

— ალბათ იმის, რომ ორივე გუნდი დაცვას აქცევდა ყურადღებას, ცდილობდნენ, ეს მნიშვნელოვანი კომპონენტი დაეხვეწათ. საბოლოოდ ანგარიში არ ყოფილა პატარა, თუმცა ის აღარ დაუთვლიათ, რადგან, როცა შეხვედრა დასრულდა, მოვილაპარაკეთ და კიდევ 15 წუთი ვითამაშეთ. თუკი ამ დამატებით დროსაც გავითვალისწინებთ, ჩვენ 2 ქულით მოვიგეთ, თუმცა, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ შედეგს ყურადღებას ნაკლებად ვაქცევდით. შეხვედრას სავარჯიშო ხასიათი ჰქონდა.

***— ავსტრიასთან დღესაც (გუშინ გვიან) გაქვთ სპარინგ-მატჩი.***

— ეს უკვე ოფიციალური ამხანაგური მატჩია. წინა შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად მაყურებელი იქნება. შეხვედრა შტაინბრუნთან ახლომდებარე ქალაქ ბადენში გაიმართება. ბილეთებიც იყიდება და მათი ფასი 5 ევროა.

***— როგორ ფორმაში არიან ნაკრების კანდიდატები?***

— დამაკმაყოფილებელ ფორმაში არიან. მანუჩარ მარკოიშვილი ნელ-ნელა შედის ფორმაში და ავსტრიასთან თუ არა, მომდევნო ამხანაგურ მატჩებში აუცილებლად ითამაშებს.

# საქართველოს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ეწვევა

დასაწყისი მე-16 გვერდზე

მივაღწიოთ, — განაცხადა ვისენტე დელ ბოსკემ.

საყოველთაო აღიარებით ძალიან დიდ ინტერესს უწვევს ა ჯგუფიც, სადაც ფინალურ ეტაპზე გასვლის პრეტენზია ერთბაშად 5 გუნდს გააჩნია.

აქვე გთავაზობთ ევროპის ზონის სხვა ჯგუფების შემადგენლობებსა და სხვა კონტინენტების ზონების კენჭისყრის შედეგებს.

## ევროპა

**ა ჯგუფი:** ხორვატია, სერბეთი, ბელგია, შოტლანდია, მაკედონია, უელსი;

**ბ ჯგუფი:** იტალია, დანია, ჩეხეთი, ბულგარეთი, სომხეთი, მალტა;

**ც ჯგუფი:** გერმანია, შვედეთი, ირლანდია, ავსტრია, ფარერები, ყაზახეთი;

**დ ჯგუფი:** ჰოლანდია, თურქეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ესტონეთი, ანდორა;

**ე ჯგუფი:** ნორვეგია, სლოვენია, შვეიცარია, ალბანეთი, კვიპროსი, ისლანდია;

**ფ ჯგუფი:** პორტუგალია, რუსეთი, ისრაელი, ჩრდ. ირლანდია, აზერბაიჯანი, ლუქსემბურგი;

**ჯ ჯგუფი:** საბერძნეთი, სლოვაკეთი, ბოსნია, ლიტვა, ლატვია, ლიხტენშტაინი;

**ჩ ჯგუფი:** ინგლისი, მონტენეგრო, უკრაინა, პოლონეთი, მოლდოვა, სან მარინო;

**ი ჯგუფი:** ესპანეთი, საფრანგეთი, ბელარუსი, საქართველი, ფინეთი;

## აფრიკა

### I ეტაპი:

სეიშელი-კენია; ჯიბუტი-ნამიბია; კომორი-მოზამბიკი; სომალი-ეთიოპია; ერითრეა-რუანდა; სან ტომე და პრინსიპი-კონგო; გვინეა ბისაუ-ტოგო; მავრიკი-ლიბრია; ეკვატორული გვინეა-მადაგასკარი; ლესოტო-ბურუნდი, სვაზილენდი-კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩადი-ტანზანია;

### II ეტაპი

**ა ჯგუფი:** სამხრეთ აფრიკა, ბოცვანა, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა, სომალი-ეთიოპია;

**ბ ჯგუფი:** ტუნისი, კაპე ვერდე, სიერა ლეონე, ეკვატორული გვინეა-მადაგასკარი;

**ც ჯგუფი:** კოტ დ□ივუარი, მაროკო, გამბია, ჩადი-ტანზანია;

**დ ჯგუფი:** განა, ზამბია, სუდანი, ლესოტო-ბურუნდი;

**ე ჯგუფი:** ბურკინა ფასო, გაბონი, ნიგერი, სან ტომე და პრინსიპი-კონგო;

**ფ ჯგუფი:** ნიგერია, მალავი, სეიშელი-კენია, ჯიბუტი-ნამიბია;

**ჯ ჯგუფი:** ეგვიპტე, გვინეა, ზიმბაბვე, კომორი-მოზამბიკი;

**ჩ ჯგუფი:** ალჟირი, მალი, ბენინი, ერითრეა-რუანდა;

**ი ჯგუფი:** კამერუნი, ლიბია, გვინეა ბისაუ-ტოგო, სვაზილენდი-კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკა;

**ჟ ჯგუფი:** სენეგალი, უგანდა, ანგოლა, მავრიკი-ლიბერია;

## აზია

**ა ჯგუფი:** ჩინეთი, იორდანია, ერაყი, სინგაპური;

**ბ ჯგუფი:** ს.კორეა, ქუვეითი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, ლობანონი;

**ც ჯგუფი:** იაპონია, უზბეკეთი, სირია, ჩრდ. კორეა;

**დ ჯგუფი:** ავსტრალია, საუდის არაბეთი, ომანი, ტაილანდი;

**ე ჯგუფი:** ირანი, ყატარი, ბაჰრეინი, ინდონეზია;

## ჩრდილო-სამხრეთ ამერიკა და კარიბის კუნძულები

**ა ჯგუფი:** ელ სალვადორი, სურინამი, კაიმანის კუნძული, დომინიკის რესპუბლიკა;

**ბ ჯგუფი:** ტრინიდადი და ტობაგო, გუანა, ბარბადოსი, ბერმუდა;

**ც ჯგუფი:** პანამა, დომინიკა, ნიკარაგუა, ბაჰამის კუნძულები;

**დ ჯგუფი:** კანადა, სენტ-კიტსი და ნევისი, პუერტო რიკო, სენტ ლუსია;

**ე ჯგუფი:** გრენადა, გვატემალა, სენტ ვინსენტი, ბელიზი;

**ფ ჯგუფი:** ჰაიტი, ანტიგუა და ბარბუდა, კიურასაო, ვირჯინიის კუნძულები;

## ოკეანეთი

**ა ჯგუფი:** ვანუატუ, ახალი კალედონია, პირველი ეტაპის გამარჯვებული, ტაიტი;

**ბ ჯგუფი:** ფიჯი, ახალი ზელანდია, სოლომონის კუნძულები, პაპუა ახალი გვინეა.

# შედეგები

## ფეხბურთი

### გერმანია. თასი

ტრირი-ზ.პაული ............ 2:1
არმინია-ნიურნბერგი ............ 1:5
ბაბელსბერგი-დუისბურგი ............ 0:2
გალეშერი-აინტრახტი ............ 0:2
დინამო(დ)-ლევერკუზენი ............ 4:3(დდ)
დინამო(ბ)-კაიზერი ............ 0:3
ოლდენბურგი-ჰამბურგი ............ 1:2
ჰაიდენჰაიმი-ვერდერი ............ 2:1
ჰანზა-ბოხუმი ............ 2:2(3:5პ)
ზანდჰაუზენი-დორტმუნდი ............ 0:3
კიკერსი-ფრანკფურტი ............ 1:5(დდ)
როტ ვაისი-აუგსბურგი ............ 1:2(დდ)
კილი-კოტბუსი ............ 3:0

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-რეიმსი ............ 0:2

### ჰოლანდია. სუპერთასი

აიაქსი-ტვენტე ............ 1:2

### რუსეთი. პრემიერლიგა

ტომი-ტერეკი ............ 0:1
რუბინი-ანჟი ............ 0:3
სპარტაკი-ყუბანი ............ 1:1

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 17 | 12 | 4 | 1 | 35:11 | 40 |
| 2.ზენიტი | 17 | 9 | 6 | 2 | 27:12 | 33 |
| 3.დინამო | 17 | 8 | 5 | 3 | 27:18 | 32 |
| 4.რუბინი | 18 | 8 | 6 | 4 | 24:16 | 30 |
| 5.ანჟი | 18 | 8 | 6 | 4 | 20:14 | 30 |
| 6.სპარტაკი | 18 | 8 | 4 | 6 | 18:20 | 28 |
| 7.ლოკომოტ. | 17 | 7 | 4 | 6 | 28:22 | 25 |
| 8.ყუბანი | 18 | 7 | 4 | 7 | 19:18 | 25 |
| 9.ტერეკი | 18 | 6 | 4 | 8 | 14:18 | 22 |
| 10.კრასნოდარი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:23 | 22 |
| 11.ამკარი | 17 | 5 | 4 | 8 | 12:23 | 19 |
| 12.ტომი | 18 | 4 | 7 | 7 | 18:28 | 19 |
| 13.ვოლგა | 17 | 5 | 1 | 11 | 17:21 | 16 |
| 14.როსტოვი | 17 | 3 | 4 | 10 | 19:30 | 13 |
| 15.ნალჩიკი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:24 | 13 |
| 16.კრ.სოვეტ. | 17 | 2 | 5 | 10 | 9:26 | 11 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.ჯონსონი-რეინჯერსი ............ 0:2
ინვერნესი-ჰიბერნიანი ............ 0:1
კილმანროკი-მოზერველი ............ 0:0
სტ.მირენი-აბერდინი ............ 1:0

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მოზერველი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:0 | 4 |
| 2.რეინჯერსი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| 3.სტ.მირენი | 2 | 1 | 1 | 0 | 1:0 | 4 |
| 4.სელტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 5.ჰიბერნიანი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | 3 |
| 6.კილმანროკი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| 7.ჰართსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 8.დანდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 9.დამფერმლაინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 10.აბერდინი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| 11.სტ.ჯონსონი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | 1 |
| 12.ინვერნესი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

ადმირა-ნოიშტადი ............ 3:0
კაფენბერგი-შტურმი ............ 3:0

### ბელგია. პროლიგა

მონსი-სტანდარდი ............ 1:1
გენკი-ბეერსხოტი ............ 3:1
გენტი-სერკლი ............ 0:1
კორტრაიკი-ლიერსი ............ 1:1
ლოკერენი-ვარეგემი ............ 0:0
მეხელენი-სტ.ტრუიდენი ............ 2:1

### შვეიცარია. სუპერლიგა

გრასჰოპერსი-ბაზელი ............ 2:2
ლოზანა-ციურიხი ............ 2:1

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ბანიკი-ტეპლიცე ............ 3:4
პლზენი-ლიბერეცი ............ 2:2
სლოვაცკო-პრჟიბრჟამი ............ 2:3

### პოლონეთი. ეკსტრაკლასა

კრაკოვია-კორონა ............ 1:2
რუხი-ბელხატოვი ............ 2:1
ვიძევი-ვისლა ............ 1:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

ალექსანდრია-ტავრია ............ 0:0
დნეპრი-ილიჩევეცი ............ 3:0
მეტალურგი(დ)-დინამო ............ 0:0

### დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ოდენსე ............ 2:2
კოპენჰაგენი-ნორდსიელნადი ............ 2:0

### შვედეთი. ალსვენსკა

ნორჩიოპინგი-ტრელებორგი ............ 2:1

### ნორვეგია. ელიტსერია

მიოლდე-ვოლერენგა ............ 2:1
სონგდალი-რუსენბორგი ............ 1:1

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰაკა-მიუპა ............ 1:2
ჰიკი-მარიეჰამნი ............ 1:0

### აშშ. მლს

ფილადელფია-კოლორადო ............ 1:2
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი ............ 0:4
ჰიუსტონი-სიეტლი ............ 3:1
კანზასი-ნიუ ინგლენდი ............ 1:1
სოლტ ლეიკი-კოლამბუსი ............ 0:2
სან ხოსე-ვაშინგტონი ............ 0:2
პორტლენდი-ტორონტო ............ 2:2

### ბრაზილია. სერია ა

კრუზეირო-ბოტაფოგო ............ 0:1
ფლამენგო-გრემიო ............ 2:0
პალმეირასი-ატლეტიკო(მ) ............ 3:2

## პლაჟის ფეხბურთი

### ევროლიგა

ჰოლანდია-საბერძნეთი ............ 4:2
რუსეთი-პოლონეთი ............ 6:1
ესპანეთი-პორტუგალია ............ 3:2

## კალათბურთი

### საერთაშორისო ტურნირი

უკრაინა-ბელარუსი ............ 78:82
ესტონეთი-იორდანია ............ 99:59

## წყალბურთი

### მსოფლიო ჩემპიონატი. კაცები

ჩერნოგორია-გერმანია ............ 8:5
აშშ-ესპანეთი ............ 10:11
ხორვატია-უნგრეთი ............ 12:11
სერბეთი-იტალია ............ 7:8(დდ)

## ფრენბურთი

### ამხანაგური მატჩი

ბულგარეთი-სერბეთი ............ 3:1

## რაგბი

### სამი ერის თასი

ა.ზელანდია-ს.აფრიკა ............ 40:7

## ჩოგბურთი

### ატპ. გშტაადი. თიხა

უიჟნი-გრანოლერსი ............ 3:6;6:3;2:6
ალმაგრო-ვერდასკო ............ 7:6;6:7;3:6

### ატპ. ლოს ანჯელესი. ჰარდი

ფიში-ჰარისონი ............ 6:0;4:6;7:6
გულბისი-ბოგომოლოვი ............ 6:2;7:6

### ატპ. უმაგი. თიხა

ჩილიჩი-ფონინი ............ 6:2;6:2
ფერერო-დოლგოპოლოვი ............ 4:6;4:6

### ვტა. ვაშინგტონი. ჰარდი

პირი-პაჩეკი ............ 3:6;7:6;6:4
პეტროვა-ფალკონი ............ 1:6;6:1;6:3

### ვტა. სტენფორდი. ჰარდი

ციბულკოვა-ერაკოვიჩი ............ 6:1;6:1
უილიამსი ს.-ლისიცკი ............ 6:1;6:2

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სპორტი

# პოლ სქოულზი: „ბარსელონას“ მილიონი მილით ჩამოვრჩებით

„მანჩესტერის“ კიდევ ერთმა ლეგენდამ, პოლ სქოულზმა, კარიერა ახლახან დაასრულა. ცხადია, მას ჯერ მოსვენება არა აქვს და „დეილი მეილთან“ საუბარში უახლოეს გეგმებს, „მანჩესტერის“ კონკურენტებსა და ინგლისის ნაკრების პრობლემებს შეეხო.



***— როგორ შეეგუეთ ახალ სტატუსს? უკვე ღიად ფიქრობთ, რომ თქვენი საფეხბურთო კარიერა დასრულდა?***

— უცნაური გრძნობა დამეუფლა, როდესაც საინფორმაციო გამოშვებებში ვუყურებდი, რომ ფეხბურთელებს შვებულება დაუსრულდათ და ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ. თუმცა, ყოველთვის ვიცოდი, რომ ერთ დღეს ასეთი მომენტი დადგებოდა. ჩემი ორგანიზმი, ჩემი ფეხები ამდენ დატვირთვას ველარ გაუძლებდა და დრო იყო, დამემთავრებინა. ასეც მოხდა.

***— როგორია თქვენი უახლოესი გეგმები?***

— მინდა, „მანჩესტერში“ მუშაობა მწვრთნელად დავიწყო და ეს მომენტი მთებს იქით ნამდვილად არ არის. მანამდე კი ვუყურებ, როგორ ძლიერდება ჩემი გუნდი ახალი სეზონისთვის.

***— არსენ ვენგერი თავისი უტიტულობის შეწყვეტას მომავალ სეზონში გეგმავს. როგორ ფიქრობთ, ეს რეალურია?***

— მეჩვენება, რომ ასეთი განცხადება მხოლოდ თავის მოტყუებაა. მართალია, ისინი მიმზიდველ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ შედეგს მოიტანს. ამასთან, შესაძლოა, ისინი ამ ზაფხულს ორ ლიდერს — სესკ ფაბრეგასსა და სამირ ნასრის გამოემშვიდობონ.

***— როგორ ფიქრობთ, ნასრის აქვს შანსი, „მანჩესტერში“ მოხვდეს?***

— რატომაც არა... მეც ამის იმედი მაქვს.

***— არ გწყინთ, როდესაც ამბობენ, რომ ინგლისში ყველაზე კარგ ფეხბურთს „არსენალი“ თამაშობს?***

— არანაირად. რა მიზანი აქვს ლამაზად თამაშს, თუ მას შედეგი არ მოაქვს? 20 წელი გავატარე „მანჩესტერში“ და წარმოდგენაც კი არ მინდოდა, რომ 6 წელი უტიტულოდ ვიქნებოდი.

***— ვინ შეიძლება იყოს „მანჩესტერის“ კონკურენტი მომავალ სეზონში, თუ „არსენალი“ უკვე გამორიცხეთ?***

— ვფიქრობ, „სიტი“ და „ჩელსი“. გამოგიტყდებით და ლონდონელთა ახალ მწვრთნელ ვილაშ□ბოაშზე არაფერი ვიცი. თუმცა, მისი თავდაჭერილობა და მის მიერ გაკეთებული განცხადებები მომწონს. იგრძნობა, რომ მან იცის, რას ითხოვს ფეხბურთელებისგან და რისკენ მიისწრაფვის.

***— სიტი?***

— მართალია, ჯერ ძვირიანი ტრანსფერი არ გაუსროლიათ, მაგრამ ვხედავ, რომ გასული სეზონის შედეგის გაუმჯობესება სურთ. ამის ფუნდამენტი მათ აქვთ და ახლა მის გამაგრებას იწყებენ.

***— „მანჩესტერის“ ბოლო მატჩიდან სასიამოვნო მოგონებები დაგრჩათ?***

— მატჩის შემდეგ ჩემთან ანდრეს ინიესტა მოვიდა და მაისური მთხოვა. ჩემთვის ეს სასიამოვნო იყო, რადგან ანდრესი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია. მე ეს ქათინაურად მივიღე. სხვა სიამოვნება ნამდვილად არ მიმიღია, კარგი მოგონებები სხვა ფინალებთან უფრო მაკავშირებს. „ბარსელონას“ ფინალში მეორედ შევხვდით და ვფიქრობდი, რომ ჩამორჩენა უკვე შემცირებული გვქონდა, მაგრამ თამაშის მომენტშივე ვიგრძენი, რომ ჯერ კიდევ მილიონი მილით ჩამოვრჩებით.

***— არის შანსი, რომ ეს ჩამორჩენა შემცირდეს?***

— დიახ. დარწმუნებული ვარ, რომ სერ ალექს ფერგიუსონი ამ ნაპრალს ამოავსებს. ყველას უნდა, ძალიან მაღალ დონეს მიაღწიოს და ამის ორიენტირი სწორედ „ბარსელონაა“. ძალიან ბევრი მუშაობაა საჭირო, რომ ასეთ სიმაღლეს მიაღწიო.

***— თქვენ ინგლისის ნაკრებთან ერთად წარმატებას ვერ მიაღწიეთ. მეტიც, ეროვნულ გუნდს საერთაშორისო არენაზე დიდი ხანია არაფერი მოუგია. ეს რისი ბრალია?***

— ჩემი შეხედულებით, ინგლისელი ფეხბურთელების ყველაზე დიდი პრობლემა ის არის, რომ ზედმეტად ეგოისტები არიან. ბევრი მათგანისთვის ნაკრები მხოლოდ ტოპ□კლუბებში გადასვლის პლაცდარმია. აქედან გამომდინარე, ბევრი მათგანი ახლო დისტანციაზე უბრალო პასის მიცემის ნაცვლად ურთულესს პასს აკეთებს შორ მანძილზე — ეს იმიტომ, რომ იქნებ ვინმემ შეამჩნიოს. და მთავარი: როდესაც ტრანსფერი შედგება, მათ ჰგონიათ, რომ საქმე გაკეთებულია და თავს მოდუნების უფლებას აძლევენ.

# ჩვენი ევრომეტოქეები: ბულგარეთი და უკრაინაც აგებენ

ბულგარეთის ნაკრებმა, რომელიც საქართველოს მეტოქეა ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე, იტალიაში გამართული საერთაშორისო ტურნირის სატიტულო მატჩი მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან 74:80 წააგო.

ქალაქ ბორმიოს ტრადიციულმა ტურნირმა, რომელშიც 8 წლის წინ საქართველოს ნაკრებსაც უთამაშია, სტარტი 29 ივლისს აიღო. მასში 4 ნაკრები: იტალია, ბულგარეთი, კანადა და მაკედონია მონაწილეობდნენ. გუნდები პირდაპირ ნახევარფინალში დაწყვილდნენ. იტალიამ მაკედონიას მოუგო, ხოლო ბულგარეთმა კანადას 79:72 მოუგო და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

ბულგარელებმა მასპინძლებს ველარ აჯობეს და მეორე ადგილს დასჯერდნენ. „ტროფეო ჯიანატის“ თასს კი იტალია დაეუფლა. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირამდე ბულგარელებმა ხორვატიაშიც ითამაშეს სპარინგ□მატჩი, რომელიც 23 ქულით, 54:77 წააგეს.

უკრაინის დედაქალაქ კიევში მიმდინარეობს საერთაშორისო ამხანაგური ტურნირი „აეროსვიტის თასი“, რომელშიც მასპინძლებთან ერთად ესტონეთის, ბელარუსისა და იორდანიის ნაკრებები მონაწილეობენ. ჩვენ, რა თქმა უნდა, უკრაინის ნაკრების ამბები გვაინტერესებს, რომელიც საქართველოს მეტოქეა კარსმომდგარ ევროპის ჩემპიონატზე.

უკრაინამ პირველ მატჩში, 29 ივლისს, დაძაბულ ბრძოლაში 93:89 დაამარცხა ესტონეთი. დიმიტრი ზაბირჩენკო 14 ქულით უკრაინელთა ბომბარდირი გახდა, ვიაჩესლავ კრავცოვმა 12 ქულას მოუყარა თავი, სერგეი ლიშჩუკმა — 11, მაქსიმ პუსტოზვანოვმა და დანილო კოზლოვმა 8-8 ქულა დააგროვეს.

მეორე დღეს უკრაინამ ბ დივიზიონის ბინადარ ბელარუსთან წააგო. გადამწყვეტი მეოთხედის წინ უკრაინელები 7 ქულით ლიდერობდნენ, თუმცა საბოლოოდ 78:82 დამარცხდნენ და დიდი შანსია, საკუთარ კედლებში მიმდინარე ტურნირი ვერ მოიგონ. უკრაინელთაგან საუკეთესო იყო სერგეი პეჩიროვი, რომელმაც 16 ქულა და 10 მოხსნა მოაგროვა. უკრაინელთა ნატურალიზებულმა ამერიკელმა უკანახაზელმა სტივენ ბურტმა 13 ქულა და 5 პასი მიითვალა. 11 ქულა იყო სერგეი გლადირის ანგარიშზე, ხოლო ვიაჩესლავ კრავცოვმა და მაქსიმ პუსტოზვანოვმა კი 10-10 ქულა დააგროვეს.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

საერთაშორისო

# სირიის არმიამ ქალაქ ჰამაში ტანკები შეიყვანა

სირიის არმია ქალაქ ჰამაში, რომელიც ანტისამთავრობო გამოსვლების ცენტრად იქცა, სამხედრო ოპერაციას აწარმოებს. ქალაქში რამდენიმე მხრიდან ტანკები შევიდნენ. თვითმხილველების თქმით, მიმდინარეობს ინტენსიური სროლა, ათეულობით ადამიანი დახოცილია.

პრეზიდენტ ასადის მთავრობის წინააღმდეგ გამოსვლები სირიაში უკვე რამდენიმე თვეა გრძელდება. ხელისუფლები ოპოზიციის წინააღმდეგ ძალის გამოყენებას ამჯობინებენ.

ჰამადან გავრცელებული ცნობების თანახმად, ტანკებმა ქვემეხების ცეცხლით გაარღვიეს ბარიკადები, რომლებიც მათ წინ ადგილობრივმა მოსახლეობამ აღმართა.

ჰამა ანტისამთავრობო განწყობილებებით ჯერ კიდევ 1982 წლიდან არის ცნობილი. ამჟამინდელი პრეზიდენტის მამამ, ჰაფეზ ასადმა, მაშინ ჰამაში ამბოხება ჩაახშო.

ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ჰამაში მსხვილი ანტისამთავრობო გამოსვლები მიმდინარეობს.

ოპოზიციის მონაცემებით, მარტის შემდეგ მასობრივი მღელვარების შედეგად სირიაში ათას ხუთასამდე სამოქალაქო პირი და უშიშროების სამსახურების 350 თანამშრომელი დაიღუპა.

დაპატიმრებულია 12 ათასამდე ადამიანი. კიდევ სამი ათასი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

მთავრობის ძალისხმევის მიუხედავად, სირიაში გამოსვლები არ წყდება. ხელისუფლების ხისტმა ზომებმა მსოფლიო საზოგადოებრიობის მრისხანება და საერთაშორისო სანქციები გამოიწვია.

პარასკევს, ერთი დღის განმავლობაში, ასადის რეჟიმით უკმაყოფილო ათასობით სირიელის გამოსვლის დროს 20 ადამიანი დაიღუპა, 35 დაიჭრა.

სირიის დედაქალაქის მხოლოდ ერთ, კადამის რაიონში ხელისუფლებმა 500-მდე ადამიანი დააპატიმრეს.

# „ეფლი“ აშშ-ის მთავრობაზე მდიდარია

ამერიკული კორპორაციის, „ეფლის“ ანგარიშზე ამჟამად უფრო მეტი თანხაა, ვიდრე აშშ-ის მთავრობის ბალანსზე.

აშშ-ის ხაზინის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად, მსოფლიოში უდიდესი ეკონომიკის მქონე სახელმწიფოს ბალანსმა 73.7 მილიარდი დოლარი შეადგინა, ხოლო სტივ ჯობსის



კორპორაციის ანგარიშზე 76.4 მილიარდი ირიცხება.

აშშ-ის კონგრესის ქვედა პალატამ ხუთშაბათს აშშ-ის სახელმწიფო ვალის მაქსიმალური ოდენობის საკითხის განხილვა კიდევ ერთხელ გადადო. ამჟამად ეს ვალი 14.3 ტრილიონ დოლარს შეადგენს.

ყოველწლიურად აშშ-ის მთავრობის ხარჯები შემოსავლებს 200 მილიარდი დოლარით აღემატება. სახელმწიფო ვალის „ჭერის“ ამაღლებით აშშ-ის მთავრობა ტექნიკური დეფოლტისაგან თავის დაღწევას შეძლებდა, მაგრამ კანონის განხილვას რესპუბლიკელებისა და დემოკრატების დაპირისპირება უშლის ხელს.

„ეფლის“ შემოსავლები კი თვალდათვალ იზრდება. 2011 წლის მეორე კვარტალში კომპანიის წმინდა მოგებამ 7.3 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 125%-ით მეტია.

კომპიუტერული გიგანტის ანგარიშზე არსებული თანხა 75 მილიარდს აღემატება და მიმომხილველები გაცხოველებული მსჯელობენ იმის შესახებ, თუ რა მიმართულებით წარმართავენ ამ ფინანსებს სტივ ჯობსი და მისი პარტნიორები.

კორპორაციის ხელმძღვანელობა ჯერჯერობით სამომავლო გეგმების შესახებ დუმილს ამჯობინებს. ექსპერტების ვარაუდით, „ეფლი“ თავის არსენალში რამდენიმე სტრატეგიული შენაძენის მოქცევას აპირებს, გარდა ამისა, რამდენიმე ტექნოლოგიური პატენტის გაფორმება სურს.

მის პოტენციურ სამიზნეებს შორის ასახელებენ აგრეთვე „ბარნს ენდ ნოუბლის“ წიგნის მაღაზიების ქსელს, აგრეთვე „ნეტფიქსის“ პოპულარულ ინტერნეტ-რესურსს. გარდა ამისა, კომპანია „ეფლისათვის“ აუცილებელი პროდუქციის მწარმოებელი ფირმების შეძენითაც შეიძლება იყოს დაინტერესებული. ამას წინათ ეფლმა კიდევ ერთ ტექნოლოგიურ გიგანტ, „მაიქროსოფთთან“ ერთად გაკოტრებული კანადური ფირმის „ნორტელის“ 6 ათასზე მეტი პატენტი 4.5 მილიარდ დოლარად შეიძინა.

# მდინარე მოსკოვზე კატერის კატასტროფამ რვა ადამიანი იმსხვერპლა

მოსკოვში, ლუჟნეცკის სანაპიროს რაიონში, მდინარე მოსკოვზე სასეირნო კატერის ავარიის შედეგად, რომლის დროსაც კატერი ბარჟას დაეჯახა, რვა ადამიანი დაიღუპა. საგანგებო ვითარებათა სამინისტროს მოსკოვის განყოფილების ინფორმაციით, ერთმა მგზავრმა ნაპირზე დამოუკიდებლად გამოაღწია, ექვსი მაშველებმა გადაარჩინეს.

სხვადასხვა ცნობების თანახმად, კერძო სასეირნო კატერში 17 ადამიანი იმყოფებოდა, მათ შორის უცხოელი მოქალაქეებიც იყვნენ. საგანგებო ვითარებათა სამინისტროს ინფორმაციით, კატერი ნაპირთან გაჩერებულ ბარჟას ნაშუაღამევს დაეჯახა და ჩაიძირა. წინასწარი მონაცემების თანახმად, „ოკა-5“ ტიპის მძიმე ბარჟასთან დაჯახება კატერის კაპიტნის დაუდევრობით მოხდა, რომელმაც მდინარეზე ნაოსნობის წესები უხეშად დაარღვია.

სააგენტო ინტერფაქსის ცნობით, კატერზე მამაკაცთა ჟურნალ „მენს ჰელთის“ რედაქციის კორპორაციული წვეულება მიმდინარეობდა. მოსკოვის ხელისუფლების განცხადებით, ავარიასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# TV პროგრამა

**ოიშაბათი 1 აგვისტო**

**06.30** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" **07.30** დოკ. ფილმი "მითებისა და გმირების კვალდაკვალ" **08.30** ან. ფილმი "სამურაი" **09.00** სათავგად. ფილმი **"საიდუმლო კუნძული"** **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.30** ქართ. ფილმი **"კარიერი"** **15.00** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **17.00** ან. ფილმი "ცეროდენა მაშველები" **18.00** სილამაზის ფორმულა **18.30** მედ-ინფო **19.05** დოკ. ფ. "ვერსაჩეს სახლი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"** **22.00** აუდიტორია **23.00** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფ. **"მოვლენათა ჰორიზონტი"** (**18**) (ს. ნილი) **02.40** მოამბე **03.00** ცხოვრება მშვენიერია

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **"შრეკი 2"** **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.00** სპექტაკლი "იაოჰან სებასტიან ბახი" **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **20.00** მხ. ფილმი **"ჰოლივუდელი დედის საიდუმლო"** **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"ბრძოლა გადარჩენისთვის"**

**08.00** კურიერი **08.30** ან. ფ. "ტრანსფორმერები" **08.40** ან. ფ."ეშმაკური ლიგა" **09.00** სერ. **"მაშველები"** **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმნდობი"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.00** კურიერი **12.30** ქართ. ფ. **"ცისფერი მთები"** **14.30** კიტანოს ციხესიმაგრე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ.**"ახალგაზრდა ქვრივი"** **22.00** მელომანია **23.30** მხ. ფილმი **"რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2"** **01.30** პატრული **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ.**"დამალული სიმართლე"** **22.00** იუმორინა **23.10** მუს. ლიგა (გან.) **00.30** მხ. ფილმი **"როგორ მოვიპაროთ მილიონი"** (ო. ჰეპბერნი) (სუბტ.) **03.05** მხ. ფ. **"პერფექტი კაკალი 3"** (ბ. უილისი) (სუბტ.) **05.30** მხ. ფილმი **"ბოროტების სავანე 3"** (**18**) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** პულსი **16.00** გადაცემა "გუნდი" **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადროვე"** **10.30** დოკ. ფ."ქალაქის ხედები" **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"სინდისის საკითხი"** **12.50, 19.35** სერ. **"მეგობრები"** **15.15** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** სახლი ბათუმში **00.30** მხ. ფილმი

ერთსულოვნება
**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.10** მხ. ფილმი **"რაც გინახავს, ველარ ნახავ"** **13.15** კონცერტი – ნ. დულაშვილი **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** სპექტაკლი **"ალალე"** **17.05** დოკ. ფ."ველური ბუნება" **17.30** საუბრები შ. ნადირაშვილთან **18.20** "დიდ ხარ შენ უფალო" **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ.ფ.**"აქედანა და შენამდე"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** საქართველოს ისტორია **22.20** დოკ. ფილმი "ექვთიმე თაყაიშვილი" **22.40** ილიაობა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დოკ. ფილმი "წმინდა სერაფიმე საროველის სავანეში" **00.30** განთიადის სტუმარი **00.50** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

1 აგვისტო

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688
ევრო —2,3929
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721
რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 34-36, ღამით — 22-24

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 35-37, ღამით — 23-25

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 31-33, ღამით — 1§-21

## ამინდის პროგნოზი 1 აგვისტოსთვის




# ორშაბათიდან ორშაბათამდე!

ჟურნალი **გუმბათი**

ფასი: 69 თეთრი



ნუგზარ ერგემლიძე:
**„ჩემს ცხოვრებაში ბედისწერული ბევრი რამეა“**

ლელა მებურიშვილი:
**„ყველაზე გემრიელი ხაჭაპური ნიუ იორკში ვჭამე“**

**ზაალ სულაკაური ფულს არავის ასესხებს**



# 27 ივლისიდან

## ჟურნალ „სარკესთან“

## ერთად გამოვა

# „ქართული მწერლობის საუნჯის“

## მე-2 ტომი



# საქართველოს მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ეწვევა

**რიო დე ჟანეიროში მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის კენჭისყრა ჩატარდა. თამამად ვიტყვით, რომ საქართველოს ნაკრებს ამჯერად ნაკლებად გაუმართლა და სამხრეთ ამერიკაში წასვლის შანსები აქედანვე შემცირდა. მართალია, არავინ იცის, ვის რა ბედი ელოდება 2 წლის შემდეგ, მაგრამ ისეთ კამპანიაში მოხვედრა, როგორიც ესპანეთი, საფრანგეთი, ბელარუსი და ფინეთია, არავის ესიამოვნება.**

ესპანეთის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის



კენჭისყრის შედეგებზე ისაუბრა. კენჭისყრით გაირკვა, რომ ესპანეთის ჯგუფში საფრანგეთი, ბელორუსია, საქართველო და ფინეთი იქნებიან.

— დამწუხრებული არ ვარ, მაგრამ კმაყოფილებასაც არ ვგრძნობ. კენჭისყრის შედეგები უნდა მივიღოთ ისეთი, როგორიც არის. ბედმა ასე გადაწყვიტა. ჩემი მხრიდან უპატივცემულობა იქნება სხვა გუნდების მიმართ, რომ ვთქვა კენჭისყრის შედეგები ჩვენთვის კარგი ან ცუდია. გაინტერესებთ, რა გავიფიქრე, როცა საფრანგეთის ჯგუფში მოვხვდით? სიმართლე გითხრათ — განსაკუთრებული არაფერი. კონცენტრაციას საფრანგეთზე თუ გავაკეთებთ, სხვა ნაკრებთან თამაში გაგვიჭირდება, რაც ჯგუფიდან გასვლის შანსებს ამცირებს. საქართველოსთან და ფინეთთან თამაშისთვის კარგად უნდა მოვემზადოთ, რომ სასურველ შედეგს

გაგრძელება მე-14 გვერდზე

ყველამ გაითვალისწინეთ!

## ასტროპროგნოზი 1 აგვისტოსთვის

**ვერძი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კურო** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ტყუპები** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **კირჩხიბი** — პოზიტიური დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **ლომი** — ეს დღე მშვიდად გაატარეთ, ზედმეტი აქტიურობა არ ღირს. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მორიელი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვილაც ბრუნდება. მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **მერწყული** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **თევზები** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 6. ალუმი; 7. ფეთქებადი ნივთიერება; 8. სახელმწიფო ცენტრალურ ამერიკაში; 10. ნელა (მუსიკა); 11. ვაჭარი; 13. მიწაში ჩარჭობილი ხიმინჯების მწკრივი; 16. დაფქვილი და გრძლად შემწვარი ხორცი (აზერბაიჯანული საჭმელი); 19. დენის ძალის მარეგულირებელი ხელსაწყო; 20. კარელია-ფინეთის ხალხური ეპოსი.

**შვეულად:** 1. ტყის სამკურნალო მცენარე; 2. სამოთხე; 3. ძალიან დაბალი ტანის ადამიანი; 4. ნუშის ლიქიორი; 5. ქრისტიანული ეკლესიის მიერ წარგზავნილი მქადაგებელი; 9. ლომების ოჯახი; 12. ზედმეტი ტვირთი; 14. თარაშ ემხვარის ცხენი; 15. პირის ღრუს ზედა თაღისებური ნაწილი; 17. ...ხაფავა; 18. თალი.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*

